

საქართველოს მეცნიერებისა და  
საზოგადოების განვითარების ფონდი  
„ინტელექტი“

ISSN 1512-0333  
E-ISSN 2960-9828

ს ა ე რ თ ა უ რ ი ს ი

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი

ინტელექტი

International periodical scientific journal

INTELLECT

№2(76)

თბილისი, Tbilisi  
აგვისტო, August - 2024

**ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდ „ინტელექტის“**

**საერთაშორისო პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას**

**რედაქტორის საბჭო**

- ჩაჩანიძე თამარ** მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
- დინს ეშლეი** მთავარი რედაქტორის მოადგილე, პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი - კოსმოსური ფიზიკის მეცნიერება, მაჰარიშის უნივერსიტეტი - ამერიკის შეერთებული შტატები.
- ბერძულიშვილი გიორგი** მთავარი რედაქტორის მოადგილე, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო.
- ჩაჩანიძე გურამ** საბჭოს მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი. ჟურნალის დამფუძნებელი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის „ინტელექტის“ პრეზიდენტი.
- ნანობაშვილი ქეთევან** საბჭოს მთავარი სარედაქციო კონსულტანტი. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

**სარედაქციო საბჭო**

- ბაირაქეთთან საფეთ** პროფესორი, განათლების მეცნიერება, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - თურქეთი.
- ბახტაძე შალვა** პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერება, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო.
- ბეკეშიენე სვაიონ** პროფესორი, კომპიუტერული მეცნიერება, ლიეტუვას სამხედრო აკადემია - ლიეტუვა.
- ბოშიცვი იური** პროფესორი, იურიდიული მეცნიერება, კიევის სამართლის უნივერსიტეტი - უკრაინა.
- გობეჩია გიგლა** ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკის მეცნიერება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - საქართველო.
- გოცირიძე გიორგი** პროფესორი, ისტორიის მეცნიერება, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო.

დიდმანიძე იბრაიმ	პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერება, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო.
კაკაშვილი გიორგი	ასოცირებული პროფესორი, კომპიუტერული მეცნიერება, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია - საქართველო.
კარაპეტიან არამ	ასოცირებული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერება, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სომხეთი.
კარიმლი ვუსალ	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერება, დასავლეთ კასპიის უნივერსიტეტი - აზერბაიჯანი.
კორახაშვილი გიორგი	პროფესორი, მედიცინის მეცნიერება. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - საქართველო.
კრეიტუსი ილმარს	პროფესორი, ფიზიკური ქიმიის მეცნიერება, რიზებას უნივერსიტეტი - ლატვია.
კუდავა კახმეგ	პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო.
მიხალევი იაროსლავ	პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერება, თავდაცვის უნივერსიტეტი - ჩეხეთის რესპუბლიკა.
მოშინსკი ვიკტორ	პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერება, წყლისა და გარემოს ინჟინერიის ეროვნული უნივერსიტეტი - უკრაინა.
ნაკონეჩნი ალექსანდრე	პროფესორი, მათემატიკური კიბერნეტიკა, კიევის ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტი - უკრაინა.
ნიკოლეიშვილი ავთანდილ	პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერება, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო.
რაო ჯ. პრაბჰაკარ	პროფესორი, ენათმეცნიერება, ჰაიდერაბადის უნივერსიტეტი - ინდოეთი.
ღვინეფაძე გელა	პროფესორი, ტექნიკური მეცნიერება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - საქართველო.
ჩაჩანიძე ნანა	ასოცირებული პროფესორი, იურიდიული მეცნიერება, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - საქართველო.
ცაცანაშვილი მარიამ	პროფესორი, იურიდიული მეცნიერება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - საქართველო.

ჟურნალი გამოდის 1997 წლიდან. გამოიცემა საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი „ინტელექტის“ მიერ  
 ჟურნალის WEB - გვერდი: [www.intelecti.ge](http://www.intelecti.ge)

THE JOURNAL "INTELLECT" REPRESENTS THE PERIODICAL-SCIENTIFIC EDITION OF THE  
GEORGIAN FOUNDATION FOR DEVELOPMENT OF SCIENCE AND  
SOCIETY "INTELLECT"

**Editor Board**

- Dr. Chachanidze Tamar** Editor-in-Chief, Doctor of Economics, Associate Professor, Georgian Technical University - Georgia.
- Dr. Deans Ashley** Deputy Editor-in-Chief, Professor, Space Physics, Maharishi University - USA.
- Dr. Berdzulishvili Giorgi** Deputy Editor-in-Chief, Professor, Pedagogy Science, Akaki Tsereteli State University-Georgia.
- Dr. Chachanidze Guram** Chief Scientific Advisor to the Council.  
Founder of the journal, Doctor of Sciences, Professor, President of The Georgian Foundation For Development of Science and Society's "Intellect" – Georgia.
- Dr. Nanobashvili Ketevan** Chief Editorial Consultant of the Council.  
Doctor of Sciences, Professor, Caucasus International University - Georgia.

**Editorial Board Member**

- Dr. Bakhtadze Shalva** Professor, Physics-Mathematics Science, Batumi Shota Rustaveli State University – Georgia.
- Dr. Bayraktutan Saffet** Professor, Education Science, International Black Sea University - Turkey.
- Dr. Bekešienė Svajonė** Professor, Computer Science, Lithuanian Military Academy – Lithuania.
- Dr. Boshytskiy Yuriy** Professor, legal science, Kyiv University of Law of the National Academy of Sciences of Ukraine - Ukraine.
- Dr. Chachanidze Nana** Associate professor, Legal Science, Caucasus International University - Georgia.

- Dr. Didmanidze Ibraim** Professor, **Physics-Mathematics Science**, Batumi Shota Rustaveli State University-Georgia.
- Dr. Gobechia Gigla** Associate Professor, **Journalism Science**, Georgian Technical University – Georgia.
- Dr. Gotsiridze Giorgi** Professor, **The Science of History**, Yakob Gogebashvili Telavi State University - Georgia.
- Dr. Gvinepadze Gela** Professor, **technical science**, Georgian Technical University - Georgia.
- Dr. Kakashvili Giorgi** Associate professor, **Computer Science**, David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgian - Georgia.
- Dr. Karapetyan Aram** Associate Professor, **Physics-Mathematics Science**, Yerevan State University -Armenia.
- Dr. Karimli Vusal** Associate Professor, **Education Science**, Western Caspian University - Azerbaijan.
- Dr. Korakhashvili Giorgi** Professor, **Medical Science**. Caucasus International University - Georgia.
- Dr. Kreituss Ilmars** Professor, **Science of Physical Chemistry**, Riseba University – Latvia.
- Dr. Kudava Kakhmeg** Professor, **Physics-Mathematics Science**, Ivane Javakishvili Tbilisi State University– Georgia.
- Dr. Michálek Jaroslav** Professor, **Physics-Mathematics Science**, University of Defence - Czech Republic.
- Dr. Moshinsky Viktor** Professor, **Agricultural Sciences**, National University of Water and Environmental Engineering - Ukraine.
- Dr. Nakonechni Alexander** Professor, **Mathematical cybernetics**, Taras Shevchenko National University of Kyiv - Ukraine.
- Dr. Nikolaishvili Avtandil** Professor, **the Science of Philology**, Akaki Tsereteli State University - Georgia.
- Dr. Rao J. Prabhakar** Professor, **Linguistics**, University of Hyderabad - India.
- Dr. Tsatsanashvili Mariam** Professor, **Legal Science**, Georgian Technical University - Georgia.

The journal is being issued by the Georgian Foundation for Development of Science and Society  
 “Intellect” since 1997

Webpage of the journal is available at: [www.intelecti.ge](http://www.intelecti.ge)

## ავტორთა საყურადღებოდ!

“ინტელექტი” არის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი.

რეფერირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ რეფერატულ ჟურნალში.

ჟურნალს აქვს WEB გვერდი ინტერნეტში: <https://inteleqti.openjournals.ge/index.php/intelecti>

ჟურნალი "ინტელექტი" გადავიდა ქართული სამეცნიერო ჟურნალების პლატფორმაზე [www.openjournals.ge](http://www.openjournals.ge). პლატფორმა მიზნად ისახავს ქართული სამეცნიერო ლია წვდომის ჟურნალების ერთ სივრცეში განთავსებას. პლატფორმა დაფუძნებულია სისტემაზე Open Journal Systems (OJS). OJS სისტემა შეიქმნა 2001 წელს, როგორც სამეცნიერო ჟურნალების გამოქვეყნებისა და მართვის სისტემა და წარმოადგენს მსოფლიოში სამეცნიერო ჟურნალების გამოქვეყნების მიზნით ყველაზე ხშირად გამოყენებად სისტემას. სისტემა ინტეგრირებულია Google Scholar-თან, რაც უზრუნველყოფს სტატიათა Google Scholar-ში ავტომატურ ინდექსირებას.

ჟურნალი მიეწოდება საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექნიკურ და სხვ.

### გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე;
- ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი სპეციალობის მეცნიერებათა დოქტორის რეცენზია;
- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს **Sylfaen** შრიფტით;
- შრიფტის ზომა 10, ინტერვალით ერთი;

### სტატიის გაფორმების საფუძვლები:

1. სტატია იწყება **სათაურით** (შრიფტის ზომა - 12, ბოლდი).
2. **ავტორების სახელი და გვარი** სრულად.
3. თითოეული ავტორის **სამუშაო ადგილი** (უნივერსიტეტი, დეპარტამენტი), **ქვეყანა და ელ-ფოსტა**.
4. იმავე ენაზე **რეფერატი** (შრიფტის ზომა - 9)

### რეფერატი უნდა შეიცავდეს:

- სამუშაოს საგანი, თემა, მიზანი;
  - სამუშაოს ჩატარების მეთოდი ან მეთოდოლოგია;
  - სამუშაოს შედეგები;
  - შედეგების გამოყენების სფერო;
  - დასკვნები.
5. **საკვანძო სიტყვები** (შრიფტის ზომა - 9)
  6. **სტატია**

სტატია (შრიფტის ზომა - 10) უნდა იყოს სტრუქტურირებული და უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

### 7. გამოყენებული ლიტერატურა (შრიფტის ზომა - 9).

გამოყენებული ლიტერატურის შემდეგ განთავსდეს რეფერატი სხვა ენაზე (თუ სტატია ქართულია ინგლისურად და თუ სტატია ინგლისურადაა ქართულად).

გამოყენებული ლიტერატურა გაფორმებული უნდა იყოს ბიბლიოგრაფიული სტანდარტის მიხედვით, კერძოდ:

- ავტორი, ა.ა., ავტორი, ბ.ბ., & ავტორი, გ.გ. (2005). სტატიის სათაური. ჟურნალის დასახელება, ნომერი 10(2), გვ. 49-53. ISSN.

**მაგალითად:**

1. დავით ივერიელი, გიორგი ქართველი. (2023). ცოდნის შეფასების გადაწყვეტილების მიღების ლოგიკურ-მათემატიკური მოდელი. საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ No 3(75), გვ. 234–239 ISSN 1512-0333.

- Author, A.A., Author, B.B., & Author, C.C. (2005). Title of article. Title of Journal, 10(2), 49-53.

**For example:**

1. David Ivereli, George Kartveli. (2023). Logical-mathematical model for decision-making of assessment of knowledge. International Periodicals Scientific Journal “Intellecti” No 3(75), pp. 234–239 ISSN 1512-0333.
- ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4 ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს, თანდართული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალით (არა უმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეფერატის ჩათვლით;
  - ნაშრომი უნდა მოგვარდეთ ელ-ფოსტით მისამართზე: [intellecti1997@gmail.com](mailto:intellecti1997@gmail.com)
  - ნაშრომის პირველი გვერდის დასაწყისში უნდა აღინიშნოს, მეცნიერების რომელ დარგს მიეკუთვნება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:

**თამარ ჩაჩანიძე** - 599 153070.    **გურამ ჩაჩანიძე** - 599 578616.

### **About the Journal**

"Intellect" is an international peer-reviewed and refereed periodical scientific journal.

It is referred to in the Georgian abstract journal of Techinform of Georgia.

The journal has a WEB page on the Internet: <https://inteleqti.openjournals.ge/index.php/intellecti>

"Intellect" journal has moved to the platform of Georgian scientific journals [www.openjournals.ge](http://www.openjournals.ge).

The platform aims to place the Georgian scientific open-access journals in one space. The platform is based on Open Journal Systems (OJS). The OJS system was created in 2001 as a system for publishing and managing scientific journals and is the most widely used system for publishing scientific journals in the world. The system is integrated with Google Scholar, which ensures the automatic indexing of articles in Google Scholar.

The journal is delivered to almost all libraries of state higher education institutions and research institutions of Georgia, the library of the Academy of Sciences of Georgia, the National Library, Techinform, etc.

**The work to be published must meet the following requirements:**

- A scientific article can be written in Georgian, Russian, or English;
- The paper must be accompanied by a submission of a Doctor of Sciences of the relevant specialty, about the feasibility of its publication;
- The work must be presented in **Sylfaen** font;
- Font size 10, spaced one;

**Steps for creating an article:**

1. The article begins with the title (font size - 12, bold).
2. Name and surname of the authors in full.
3. Each author's workplace (university, department), country and e-mail.
4. Abstract in the same language (font size - 9)

**The abstract should include:**

- subject, theme, purpose of the work;
  - method or methodology of conducting work;
  - Work results;
  - scope of application of results;
  - Conclusions.
5. **Keywords** (font size - 9)
  6. **Article**

**The article** (font size - 10) should be structured and should consist of the following parts: introduction, body and conclusion.

7. **References** (font size - 9).

After the used literature, the abstract in another language should be placed (if the article is Georgian in English and if the article is in English in Georgian).

The used literature should be formatted according to the bibliographic standard, namely:

- Author, A.A., Author, B.B., & Author, C.C. (2005). Title of article. Title of Journal, 10(2), 49-53.

For example:

1. David Iverieli, George Kartveli. (2023). Logical-mathematical model for decision-making of assessment of knowledge. International Periodicals Scientific Journal "Intelekti" No 3(75), pp. 234–239 ISSN 1512-0333.
- The volume of the paper should not exceed 4 printed A4 size pages, including the list of main literature (no more than 8-10 titles) and referat;
  - The thesis must be submitted to us on a computer disk and printed in one copy on A4 size paper, it is also possible to submit the thesis by e-mail to the following address: [intelekti1997@gmail.com](mailto:intelekti1997@gmail.com)
  - At the beginning of the first page of the paper, it should be mentioned which field of science it belongs to.

**For more information, please, contact us:**

**Tamar Chachanidze** - (+995) 599 153070. **Guram Chachanidze** - (+995) 599 578616.



## სარჩევი

### 0111 განათლების მეცნიერება

<b>ლეილა აბზიანიძე</b>	
რას ნიშნავს მასიური ადამიანი? ინდივიდის აღზრდა და განათლება . . . . .	13
<b>ეთერ ბრეგაძე</b>	
სუბიექტური პირის ნიშნები ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“-ს მიხედვით . . . . .	17
<b>ნინო მაზმიშვილი</b>	
სპეციალური მასწავლებლის როლი ინკლუზიურ განათლებაში. . . . .	20
<b>მედიკო ჩაჩიბაია</b>	
სხეულთა მოძრაობასა და სიდიდეთა გათანაბრებაზე ამოცანათა ამოხსნის სწავლებისათვის . . . . .	26
<b>ნინო ხუჯაძე</b>	
მულტიმედიური მასალის სტრუქტურა და გამოყენების არეალი . . . . .	32

### 0221 რელიგია და თეოლოგია

<b>მამა ანდრია (გიორგი) სარია</b>	
კრიზისი თეოლოგიის სწავლებაში – დასვი შეკითხვა . . . . .	35

### 0222 ისტორია და არქეოლოგია

<b>მერაბ მეგრელიშვილი, იბრაიმ დიდმანიძე</b>	
მარადიდი . . . . .	39
<b>მერაბ მეგრელიშვილი</b>	
აჭარის გზები და ხიდები XX საუკუნის 30-იან წლებში . . . . .	45

### 0231 ენის დაუფლება

<b>მაია ნიკოლაძე</b>	
„ფარისი“-ს, „მერანი“-სა და „მაზეკა“-ს მოტივებისა და ადრესატების შესახებ . . . . .	49
<b>ქეთევან ფუტკარაძე</b>	
Nihil sub Sole Novum /არაფერია მზის ქვეშ ახალი - Marcus Fabius Quintilianus . . . . .	58
<b>ქეთევან ფუტკარაძე</b>	
Vir Bonus, Dicendi Peritus - კვინტილიანუსის „კარგი კაცის“ ფილოსოფიური აპექტები . . .	67

### 0313 ფსიქოლოგია - Psychology

<b>ნათია ვარდია, ნანა ბურდული</b>	
ემპათია და კონფლიქტურ სიტუაციაზე რეაგირების ქცევის ფორმები მშობლებსა და შვილებშიმარადიდი . . . . .	74

## 0541 მათემატიკა

**როლანდ ბაკურაძე**

A(q) ოპერატორის თვისება ..... 78

### 0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

**ზებურ ბერიძე**

უსადენო ლოკალურ ქსელში მარშრუტიზაციის უსაფრთხოების ამალგების ალგორითმი ..... 81

**ბადრი მეფარიშვილი, გიორგი მურადოვი**

მოთხოვნის დამუშავება გენეტიკური პროგრამირების მეშვეობით ..... 85

**გიორგი მურადოვი**

Apache Spark MLlib პლატფორმა მონაცემთა ტბებში მოთხოვნების დამუშავებისთვის ... 90

**სიმონ პოჩოვიანი**

ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენებისას მორწყვის რეჟიმების მართვის ავტომატიზებული სისტემაში ..... 94

**ირაკლი ხაჩიძე**

ცოდნის ამოღება დიდი ტექსტური მონაცემთა ნაკრებიდან ..... 97

# C O N T E N T S

## 0111 EDUCATION SCIENCE

<b>Leila Abzianidze</b>	
WHAT DOES A MASS MAN MEAN? EDUCATION AND UPBRINGING OF THE PERSON . . .	13
<b>Eter Bregadze</b>	
SUBJECTIVE SIGNS ACCORDING TO N. DUMBADZE "ME, GRANDMA, ILIKO AND ILARION" . . . . .	17
<b>Nino Mazmishvili</b>	
THE ROLE OF A SPECIAL TEACHER IN INCLUSIVE EDUCATION . . . . .	20
<b>Mediko Chachibaia</b>	
METHODS FOR TEACHING PROBLEM-SOLVING IN OBJECT MOTION AND MAGNITUDE EQUALITY. . . . .	26
<b>Nino Khujadze</b>	
STRUCTURE AND AREA OF USE OF MULTIMEDIA MATERIAL . . . . .	32

## 0221 RELIGIO AND THEOLOGY

<b>Rev. Dr. Andria Saria</b>	
CRISIS IN THEOLOGICAL EDUCATION – ASK A QUESTION . . . . .	35

## 0222 HISTORY AND ARCHAEOLOGY

<b>Merab Megrelishvili, Ibrahim Didmanidze</b>	
MARADIDI . . . . .	39
<b>Merab Megrelishvili</b>	
ROADS AND BRIDGES OF ADJARA IN 1930S . . . . .	45

## 0231 LANGUAGE ACQUISITION

<b>Maia Nikoladze</b>	
ABOUT THE ISSUE OF THE ADDRESSEES AND MOTIVES OF «MAZEPPA», «FARIS» AND «MERANI» . . . . .	49
<b>Ketevan Futkaradze</b>	
IHIL SUB SOLE NOVUM /HERE IS NOTHING NEW UNDER THE SUN - MARCUS FABIVS QUINTILIANUS . . . . .	58
<b>Ketevan Futkaradze</b>	
VIR BONVS, DICENDI PERETVS - QUINTILIANVS PHILOSOPHICAL ASPECTS OF «GOOD MAN» . . . . .	67

**0313 PSYCHOLOGY**

---

**Natia Vardia, Nana Burduli**

Empathy and behavior patterns of response to conflict situation in parents and children. . . . . 74

**0541 MATHEMATICS**

---

**Roland Bakuradze**

A PROPERTY OF THE OPERATOR  $A(q)$  . . . . . 78

**0619 INFORMATION AND COMMUNICATION TECHNOLOGIES (ICTS)**

---

**Zebur Beridze**

ALGORITHM FOR INCREASING SECURITY OF ROUTING IN WIRELESS LOCAL AREA NETWORK . . . . . 81

**Bardi Meparishvili, Giorgi Muradovi**

REQUEST PROCESSING BY GENETIC PROGRAMMING METHOD . . . . . 85

**Giorgi Muradovi**

APACHE SPARK MLLIB PLATFORM CAPABILITIES FOR QUERY PROCESSING IN DATA LAKES . . . . . 90

**Simon Pochovyan**

ENSURING INFORMATION PROTECTION WHEN USING INFORMATION TECHNOLOGIES IN AN AUTOMATED CONTROL SYSTEM OF IRRIGATION REGIMES . . . 94

**Irakli Khachidze**

KNOWLEDGE EXTRACTING FROM BIG TEXTUAL DATASETS . . . . . 97

0111 განათლების მეცნიერება EDUCATION SCIENCE

რას ნიშნავს მასიური ადამიანი? ინდივიდის აღზრდა და განათლება

ლეილა აბზიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Akaki Tsereteli State University

E-mail: leila.abzianidze@atsu.edu.ge

რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია მასიური ადამიანის არსებობა თანამედროვე საზოგადოებაში და ინდივიდის გაქრობა. ეს პროცესი არ დაწყებულია შემთხვევით, ეს იყო ჰომოსაპიენსში და ამას დიდი დრო დასჭირდა. იყო დრო, როცა ჰომოსაპიენსი იყო სამყაროს მბრძანებელი. მან შეძლო ყველაფრის დამორჩილება და არა მარტო დამორჩილება, არამედ განადგურება ყველაფრის, ანუ ინდივიდის განადგურება. ჰომოსაპიენსი დაუპირისპირდა ყველაფერს: ეროვნულს, ტრადიციულს, სწორ ღირებულებებს და რეალობაში გაჩნდა მსოფლიო მოქალაქე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნურ ადამიანად. სტატიაში განხილული გვაქვს ჯერ კარგად დასაბუთებული პრეისტორიული მოთხრობა „იგი“, სადაც მკაფიოდ ჩანს ჯოგის, როგორც მწერალი ამბობს, ცხოვრება და თანდათან პიროვნების ფერიცვალება ანუ იგის. ეს გამოიხატება მის გარეგნულ ცვლილებებში. თუ ჯოგი დადიოდა მოხრილი, იგი ნელ-ნელა გასწორდა და ის დაუპირისპირდა თემს ანუ უპირისპირდება იმ საზოგადოებას, სადაც თავად ცხოვრობს, ესე იგი უპირისპირდება უსამართლობას. იგი მსხვერპლი ხდება, მაგრამ განვითარება მოითხოვს მსხვერპლს და ხდება ახალი საზოგადოების ნელ-ნელა დაბადება. ნაწარმოები მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „იგი იმის დარჩა რაც იგი იყო“. საზოგადოების განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ. ჰომოსაპიენსი შეიცვალა ჰომოფაბერად. მოხდა გაქრობა მოაზროვნე ადამიანის და გამრავლება მასიური ადამიანის. როგორია მასიური ადამიანი? ადამიანი, რომელიც ყველაფერზე იცინის, ყველაფერზე ტაშს უკრავს, ყველაფერზე ტირის და კითხვაზე, რატომ არის ასეთი, პასუხი არ აქვს. პასუხი ერთია, ის მასიური ადამიანია. ძალიან კარგად არის მოცემული ეს ჭაბუა ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია“. აბელი, იმედი, მისი საზოგადოება. მათ ჯოგს უფრო დავარქმევდი. გადიან გვირაბის თავიდან ბოლოში და იმ გზას იმედს, არქიფოს იმედს უწოდებენ. მასიური ადამიანი დაავადებულია ნიჰილიზმის სენით. ნიჰილიზმის სამი სტადია არსებობს. პირველი - კომფორტის მოყვარული, რაც ასე მრავლადაა თანამედროვე საზოგადოებაში. მეორე საფეხური, რომელიც ცხოვრობს მხოლოდ გრძნობადი სიამოვნებისათვის და მისთვის პატრიოტიზმი, მეგობრობა, სიყვარული „სასაცილო“ და მატერიალურის მოხვეჭის შემდგომ მედიდურად ახდენენ საკუთარი სიმდიდრის დემონსტრირებას და ამით სიამოვნებას. მესამე საფეხური ეს არის ძალაუფლების სიყვარული და ლტოლვა ძალაუფლებისაკენ. არა აქვს მნიშვნელობა, შენ ამას იმსახურებ თუ არა, როგორია შენი განათლება, გაქვს თუ არა გააზრებული პასუხისგებლობა, შეგიძლია გააკეთო სწორი არჩევანი. რომ იყო ხელისუფალი, ეს ძალიან დიდი ტვირთია, ხალხისთვის სამსახურია. ასეთ გარემოში ძნელია სკოლამ, ოჯახმა, სოციალურმა გარემომ აღზარდოს თავისუფალი, ბედნიერი, ღირსეული პიროვნება. სამწუხაროდ, დღეს სკოლის წინაშე უამრავი შეკითხვა არსებობს: რატომ სჭირდება პირველი, მეორე, მესამე კლასის მოსწავლეს რეპეტიტორთან სიარული? რატომ არ დადიან სკოლაში მე-11, მე-12 კლასის მოსწავლეები? რატომ არ უნდათ და არ უხარიათ მოსწავლეებს სკოლაში სიარული? რატომ არის სახელმძღვანელოები ასეთი, რომლისგანაც განათლებას ვერ მიიღებ? ამდენი გატარებული განათლების რეფორმა და შედეგი არ არის? რატომ ხდება მოსწავლეებში ამდენი დანაშაული? ეს კითხვები ყველა პასუხგაუცემელია.

**საკვანძო სიტყვები:** ინდივიდი. მასიური ადამიანი. ჰომოსაპიენსი. ტექნიკური ადამიანი. ღირებულებები.

როცა ცნობილ ანთროპოლოგს ჰკითხეს: „რა შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე დიდ ცივილიზაციად კაცობრიობის ისტორიაში“, მან უპასუხა: „ადამიანებს შორის ურთიერთობები“. ამ მხრივ სამყარო არაადამიანური გახდა. ამას წლები, საუკუნეები დასჭირდა. უფრო ნათლად ეს ჩადებული იყო ჰომოსაპიენსში, როცა მან აირჩია და დაიწყო თავისი ცხოვრება. იუვალ ნოაჰ ჰარარი თავისი წიგნში საპიენსი „კაცობრიობის მოკლე ისტორია“ მკაფიოდ საუბრობს ამ საკითხებზე. ჰომოსაპიენსი ერთ დროს ცხოველი იყო და აფრიკაში ცხოვრობდა. შეუმჩნევლად გადის დრო და ის ხდება სამყაროს მბრძანებელი, რომელიც შეძლებს დაიმორჩილოს ყველა და ყველაფერი, გაანადგუროს ეკოლოგია, სულიერი, უსულო, ინდივიდი და გზა გაუხსნას მასიურ ადამიანს.

ჰომოსაპიენსი დაუპირისპირდა ყველაფერს ეროვნულს, ტრადიციებს, სწორ ღირებულებებს. გაჩნდა მსოფლიო მოქალაქე, რომელსაც ყველა და ყველაფერი უნდა უყვარდეს, მაგრამ, სამწუხაროდ დაავწყდა რა არის სიყვარული; არ იცის, რა არის ადამიანის საზრისი. და ეს მსოფლიო მოქალაქე ანუ მასიური ადამიანი აგრძელებს პლანეტის დაპყრობას. კაცობრიობის მიერ განვლილი ისტორიული გზა ჯერ კარგად დასაბუთებული პრეისტორიული მოთხრობაში „იგი“ ნათლად გვიჩვენა. ეს არის საზოგადოების და

პიროვნების დაპირისპირება. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობა პირველყოფილ საზოგადოებას ეხება, აქაც არსებობს აზროვნების საწყისები და ეს არის იგი. რაც მთავარია, იგი იბრძვის უსამართლობის წინააღმდეგ და, როგორც ქარჩხაძე ამბობს, ცხოვრობს ჯოგი გაურკვეველობაში. შვილის მიერ ბელადის სიკვდილმა „იგი“-ში გააჩინა კითხვა, რატომ მოხდა ეს? და ამ შეკითხვამ ის აქცია მოაზროვნე პიროვნებად. ჯოგმა იგის სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ: „იგი“-ში ის დარჩა რაც იგიში იყო“. „იგი“ ეს მოთხრობა არის სიყვარულზე, თავისუფლებაზე, პასუხისმგებლობაზე, არჩევანზე. ეს მოთხრობა თანამედროვე მოთხრობაც გახლავთ. ეს არის მოთხრობა პიროვნების დაბადებაზე. როგორც მერაბ მამარდაშვილი ამბობს: „პიროვნების დაბადება ხანგრძლივი პროცესია“ და პიროვნების დაბადება ანუ, დავარქვათ მას აღზრდა, უნდა შეძლოს ოჯახმა სკოლამ საზოგადოებამ. რასაც, სამწუხაროდ, ვერ ახერხებს დღევანდელი საზოგადოება. იგი უკვე თავაწეულია, გასწორებულია, განსხვავებულია და ის ხდება მსხვერპლი, მაგრამ მან დიდი საქმე გააკეთა. უკვე ის პიროვნებაა, რომელიც აზროვნებს, რომელიც იბრძვის უსამართლობის წინააღმდეგ და რომელმაც იცის რა დიდი ფუფუნებაა თავისუფლება. 1969 წელს შვედეთის აკადემიამ სემუელ ბეკეტს მინიჭა ნობელის პრემია იმისათვის, რომ მან საუკეთესოდ გამოხატა თანამედროვე ადამიანის უბედურება.

თანამედროვე საზოგადოება ცხოვრობს ჭეშმარიტი კულტურის კრიზისის პირობებში. ეს გამოიხატება კულტურის ყველა დარგში. ინტელექტუალური კულტურის დეფიციტში, და დღეს მასიური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ყველაფრის მოწონება თუ ეს მისთვის სასარგებლოა ან ყველაფრის უარყოფა, თუ ამით სარგებელს ვერ პოულობს. ცნობილი რეჟისორი ინგმარ ბერგმანი თვლის, რომ ეს ყოველივე მოხდა ტექნოლოგიების გამო და ეს გახლავთ „ეგზისტენციური კრიზისი“ და ეს, როგორც მას თვლიან, არის ტექნიკური რევოლუციის შედეგად მიღებული და მას თან ახლავს „ტექნიკური გაუცხოება“. რა მოგვცა ტექნიკურმა პროგრესმა? პირველად შევეხოთ ეკოლოგიას. გაუბედურებული პლანეტა, ნაკლები ჟანგბადი, ურთულესი ბუნებრივი პირობები, მცენარეების, ფრინველების გადაშენება, წყლის დეფიციტი. ბუნება გახდა ავად. ის ვეღარ და აღარ წარმოადგენს ადამიანის სახლს. ანუ ადამიანს აღარ აქვს სამშობლო და ის ხიზანივით არის შეხიზნული დედამიწაზე და შემინებული, დათრგუნული აგრძელებს ცხოვრებას და არ იცის, რა იქნება ხვალ. ეს პრობლემა წარმოშვა თავად ადამიანმა, საზოგადოებამ და ყველაზე დიდი უბედურება არის ის, რომ ადამიანი არ აპირებს გაჩერებას. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უარყოფითი გავლენა ადამიანზე არის ის, რომ ის ადამიანის ტვინის გაზარმაცებას იწვევს. ადამიანს ეზარება აზროვნება, ფიქრი. ეს თავისთავად იწვევს გემოვნების უარყოფას, ინდივიდუალიზმის გაქრობას. თანამედროვე ცხოვრება ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გვაქვს განცდა, რომ თითქოს შენ - ადამიანი - ხარ რობოტი, რომელიც არც ფიქრობს, არც აზროვნებს. ყველაფერი ხდება შენგან დამოუკიდებლად. ადამიანი თავად უარყოფს არსებულ სინამდვილეს და ის უარს ამბობს სიამოვნების თუ უსიამოვნო განცდებზე. ცნობილი შვეიცარიელი მწერალი მაქს ფრიში თვლის, რომ: „ტექნიკა მარჯვე ხერხია იმისათვის, რათა სამყაროდან გავდევნეთ სამყარო როგორც დაბრკოლება, ისე გავაქარწყლეთ ტემპის მეშვეობით, რომ სრულიად აღარ განვიცადოთ“.

თანამედროვე ტექნიკური ადამიანი მოკლებულია განცდებს, ყველაფერი დავიდა მატერიალურ ფასეულობებზე. ადამიანს დაავიწყდა და აღარ შეუძლია საკუთარ თავთან მარტო დარჩენა. ადამიანს არ უნდა ურთიერთობა სხვა ადამიანთან. ის ცხოვრობს საკუთარ თავში და მისთვის წარმოუდგენელია იქედან გამოსვლა. მთავარია სხვადასხვა ნივთების შეძენა, ცხოვრების მისეული მოწყობა და ეს ყველაფერი ისე დაცლილია გრძნობებისაგან, რომ მის ცხოვრებას ეტყობა უგემოვნება, ადამიანური სითბოს არარსებობა.

თანამედროვე საზოგადოება ცხოვრობს ნიჰილიზმით გაჯერებულ საზოგადოებაში. ნიჰილიზმი არის სამი სხვადასხვა ტიპის. პირველი ეს არის კომფორტის მიმართ ლტოლვა და მატერიალურზე დამოკიდებულება. შემდეგი ეს არის ცხოვრება მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის. მესამე საფეხური ეს არის ძალაუფლების მოპოვება.

აი ამ მოდელით არის მოწყობილი თანამედროვე საზოგადოება. ადამიანი იწყებს ცხოვრების მოწყობას. იძენს ნივთებს (განსაკუთრებული ლტოლვა არის ბრჭყვიალა ნივთებისადმი). შემდეგ უკავშირდება მის მსგავს საზოგადოებას, სადაც ისინი განიცდიან სიამოვნებას იმით, რაც შეიძინეს და ერთმანეთს ეჯიბრებიან მატერიალური ნივთების რაოდენობით და „ღირებულებებით“; და ბოლოს, ეს საზოგადოება იბრძვის ძალაუფლებისათვის და ხდება შენი ცხოვრების განმკარგავი. ასეთი საზოგადოებისთვის ზედმეტია საუბარი ისეთ ფასეულობებზე, როგორც არის სინდისი, პატიოსნება, სულიერება, სამართლიანობა, სიკეთე, სიყვარული. მათთვის დამახასიათებელია ყველაფერი

მოჩვენებითი, ფარისევლური. მათ უყვართ მხოლოდ საკუთარი თავი, საკუთარი სიმდიდრე, რომელიც მოაგროვებს მათ კარიერის ტეხი ჰქვია და მას „უყვარს“ მისი მსგავსი კარიერისტი და ისინი ერთად აშენებენ საზოგადოებას ან აშენებულს მართავენ. ეს საზოგადოება და მისი დახასიათება ზუსტად თქვა ყვარყვარემ: „მეყვარება სამშობლო, თუ რამეში გამომადგება“. ასეთ საზოგადოებაში უხდება მოზარდს ცხოვრება, განათლების მიღება, ღირებულებების ჩამოყალიბება. სკოლას ყოველთვის ჰქონდა, აქვს და ექნება განსაკუთრებული როლი საზოგადოების განვითარებაში. „დიდი კაცი“, ასე უწოდებდნენ მასწავლებელს. სკოლა გაძლევს ყველაზე დიდ ფასეულობას - განათლებას, გასწავლის სწორ ღირებულებებს, ურთიერთობებს, აზროვნებას, რომელიც გამოგარჩევს მასისაგან და შენი ინდივიდუალიზმი მხოლოდ შენია, გიყვარს და პატივს სცემ საკუთარ თავს. სამწუხაროდ, თანამედროვე განათლება ვერ პასუხობს ბევრ შეკითხვას. რატომ სჭირდება პირველ, მეორე, მესამეკლასელ ბავშვს მომზადება. პასუხი: მშობელი - ემიგრანტია, მაგრამ, ვინც საკუთარ ოჯახშია? უფრო მეტიც - არ მუშაობს? ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქედან იწყება მოსწავლისთვის ხელოვნურად აზროვნების წართმევა. რეპეტიტორი მას აწერინებს დავალებას. ის თავის შრომას ბიზნესის კუთხით უდგება - ზედმეტი არაფერი! იყვნენ ეს პატარა ბავშვები ოჯახებში, დაეხმაროს მშობელი. დაუშვას ბავშვმა შეცდომები, ისწავლოს მისი გასწორება, ესე იგი ისწავლოს აზროვნება და შეიძინოს გაცილებით მეტი ცოდნა. პრობლემა სახელმძღვანელოები. შეუძლებელია მოსწავლემ ამ წიგნებით მიიღოს განათლება. რატომ არ უყვარს მოსწავლეს სკოლაში სიარული? (ვგულისხმობ მაღალ კლასებს). იყოს გაკვეთილები საინტერესო. მასწავლებელმა უნდა გაიგოს და შეძლოს სასიამოვნო გარემოს შექმნა. რა თქმა უნდა, მიუღებელია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ზღვარის მოშლა, მაგრამ საბჭოთა მასწავლებლის სიმკაცრე, რომელსაც არ უყვარდა შეკითხვის დასმა, უნდა დამთავრდეს. უნდა მოვუსმინოთ მოსწავლეს, ვიკამათოთ მოსწავლესთან, მაგრამ აქაც სჭირია ოქროს შუალედი. და ბოლოს, კარგი სკოლა ეს ნიშნავს განათლებულ, თავისუფალ მასწავლებელს, დირექტორს, დისციპლინას, სასიამოვნო გარემოს, კარგ სახელმძღვანელოს და აზროვნების სწავლას.

ძალიან დადებითია ის, რომ ბოლო პერიოდში დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნულობას, იდენტობას, ტრადიციას, ადათ-წესებს. საქართველო, ეს პატარა ქვეყანა, ამან გადაარჩინა. ძალიან ძნელია მსოფლიოს გაკვირვება დღეს. ერთადერთი, რაც მართლა უკვირთ - ეს არის ქართული, მხოლოდ ქართული, დაწყებული ქართული ანბანით დამთავრებული ქართული სიმღერით და სტუმარ-მასპინძლობით. სამწუხაროდ, ძნელი რეალობაა. შვილები მშობლების გარეშე, სოციალური გარემო მკაცრი და სკოლა, რომელიც ვერ პასუხობს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს. მაგრამ, ვისურვოთ, რომ ყველაფერი დალაგდება, გაიწმინდება დაბინძურებული გენი, რომელმაც უამრავი წელი გაატარა მონურ სინამდვილეში და ვისწავლით თავისუფლებას, რომლისთვისაც აუცილებელია პასუხისმგებლობა და არჩევანის გაკეთება.

### ლიტერატურა

1. ზურაბ კაკაბაძე „ვილოსოფიური საუბრები“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988 წ.
2. იუვალ ნოაჰ ჰარარი „საპიენსი. კაცობრიობის მოკლე ისტორია“, ზ.სულაკაურის გამომცემლობა.
3. რევაზ ბალანჩივაძე „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“, გამომცემლობა „უნივერსალი“.

### What does a mass man mean? Education and upbringing of the person

Leila Abzianidze

Akaki Tsereteli State University

### Abstract

The article describes the existence of mass man being in modern society and the disappearance of the individual. This process did not start by accident, it was inherent in Homo sapiens and it took a long time. There was a time when Homo sapiens ruled the world. He was able to subdue everything, and not only to subdue, but to destroy everything, that is, to destroy the individual. Homo sapiens pledged to fight everything: national, traditional, correct values, and in reality a world citizen appeared, who can be considered an artificial person. In the article, we have discussed Jemal Karchkhadze's prehistoric story "The He" where the life of a herd, as the writer says, and the gradual change of personality, or the He, are clearly visible. This is reflected in his external changes. If the herd walked bent over, he straightened up slowly, and he confronted the community, that is, he confronts the society where he lives, that is, he confronts injustice. He becomes a victim, but development requires sacrifice and new societies are born slowly. The work ends with the following words: "In him, he remained who he was in him." The scientific and technical revolution had a great impact on the development of society. Homo sapiens was replaced by Homo faber. There has been the disappearance of the thinking man and the proliferation of

mass man. What is a mass man like? A person who laughs at everything, applauds everything, cries over everything, and has no answer to the question of why he is like this. The answer is one: he is a mass man. This is very well described in the novel “Data Tutashkhia” by Chabua Amirejibi. Abel, hope, his community. I would rather call them a herd. They pass from the beginning to the end of the tunnel and that road is called hope, Arkipo’s hope. Mass man has a disease of nihilism. There are three stages of nihilism. The first is a lover of comfort, which is so abundant in modern society. The second stage, who lives only for sensual pleasure, and for him patriotism, friendship, love are “ridiculous” and after acquiring material things, they moderately demonstrate their wealth and enjoy it. The third stage is love of power and lust for power. It doesn't matter whether he deserves it or not, what his education is like, whether he has considered responsibility or not, he can make the right choice. Being a ruler is a very big burden, it is a job for the people. In such an environment, it is difficult for the school, family, and social environment to raise a free, happy, and dignified person. Unfortunately, there are many questions for the school today. Why does a first, second, third grade child need preparation. Answer: The parent is an immigrant in another country, but the one in his own family does not have a job. We believe that this is where the artificial thinking of the student begins. The tutor writes the assignment to him. He approaches his work from a business perspective - nothing extra! There were these small children in families, help the parent. Let the child make mistakes, learn to correct them, that is, learn to think and acquire much more knowledge. Textbooks are the problem. It is impossible for a student to get an education with these books. Why does the student not like going to school? (I mean in junior high). Make the lessons interesting. A teacher must understand and be able to create a pleasant environment. Of course, it is unacceptable to break the line between the teacher and the student, but the strictness of the Soviet teacher, who did not like to ask questions, must end. We should listen to the student, argue with the student, but here needs to be some golden mean. Finally, a good school means an educated, independent teacher, principal, discipline, a pleasant environment, good textbook and learning to think.

**Key words:** individual, massive man Homosapiens, Technical person, values.



0111 განათლების მეცნიერება EDUCATION SCIENCE

სუბიექტური პირის ნიშნები ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“-ს მიხედვით

ეთერ ბრეგაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Akaki Tsereteli State University

E-mail: eter.bregadze@atsu.edu.ge

რეზიუმე

ნ. დუმბაძემ ნაწარმოებში - „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ პროფესიონალიზმითა და არაჩვეულებრივი ოსტატობით გამოხატა ნაფიქრ-ნააზრევი სწორი გრამატიკული ფორმების, ზმნის სუბიექტური პირისათვის დამახასიათებელი ნიშნების დაცვით, რაც შეესაბამება ახალ ქართულ სალიტერატურო ენას.

**საკვანძო სიტყვები.** ფორმაცვალებადი სიტყვა, სუბიექტური და ობიექტური პირი, პრეფიქსი და სუფიქსი, ხანმეტი, სპირანტი, მეშველზმნიან ფორმა,

ნ.დუმბაძე XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერალი იყო. იგი ავტორია შესანიშნავი ნაწარმოებებისა, რომელშიც მისთვის დამახასიათებელი იუმორით, მკითხველისთვის საინტერესოდ და შთამბეჭდავად მოგვითხრობს ახალგაზრდების, მშრომელი ადამიანების საქმიანობაზე, მათ ზრუნვასა და სიყვარულზე. ნაწარმოებები გამსჭვალულია ოპტიმიზმის სულისკვეთებით.

ტერმინი ზმნა შემოსულია არაბული გრამატიკული ტერმინოლოგიის გავლენით, რომელიც ჩვეულებრივ „ქმნას“, „კეთებას“ ნიშნავს. ზმნა არის მოქმედების აღმნიშვნელი ფორმაცვალებადი სიტყვა. წინადადებაში ზმნა შემასმენელია, მაგალითად: „სიმწიფის ატესტატი საზეიმო ვითარებაში **გადმოგვცეს**“, ან შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი, მაგალითად: „ილიკო ისე **შტერია**, რომ შუშის თვალს და ნამდვილს ვერ გაარჩევს“.

ქართულში ზმნა წინადადების დედაძარღვია, იგი სული და გულია ქართული ენისა, მისი ბურჯია. ქართული ზმნის სირთულესა და მის მნიშვნელობაზე ბევრი ლინგვისტი მიუთითებდა. დავიმოწმებთ ზოგიერთ მათგანს:

პროფესორი ა. შანიძე: „ზმნა ყველაზე უფრო ძნელი ნაწილია ქართული გრამატიკისა.“

პროფესორი არნ. ჩიქობავა: „ქართული ზმნის აგებულებაში სათანადოდ უკუფენილია წინადადების შედგენილობა. ცალკე აღებული ზმნა წინადადებაა მინიატურაში.“

ზმნა რთული მეტყველების ნაწილია. მას ერთდროულად თოთხმეტამდე კატეგორია აქვს. ესენია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, ჯერობა, მწკრივი, სერია, ზმნისწინი, გვარი, ასპექტი, ქცევა, კონტაქტი.

ზმნის კატეგორიებიდან პირი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც მიხედვით პირი შეიძლება იყოს სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტური პირი ზმნაში წარმოდგენილია მოქმედების ჩამდენად, ე.ი. მოქმედი პირია, მოქმედი ანუ სუბიექტური პირი, ზმნაში გამოიხატება სპეციალური ნიშნებით, რასაც სუბიექტური პირის ნიშნები ჰქვია. მისი ფუნქციაა, განასხვავოს ერთი პირი მეორესაგან. პირველსა და მეორე პირში სუბიექტის ნიშნები პრეფიქსებია, მესამეში კი სუფიქსები.

პირი	მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I	ვ - - - - -	ვ - - - - - თ
II	-ხ, -ჰ, -ს, 0 - - - -	ხ, ჰ, ს, 0 - - - - თ
III	- - - - - ს, ა, ო	- - - - - ნ, ენ, ნენ, ან, ეს

პირველი სუბიექტური პირის ნიშანია მხოლოდითსა და მრავლობით რიცხვში პრეფიქსი **ვ**. მრავლობითის აღსანიშნავად ემატება სუფიქსი **თ**. მაგ: „მზის პირიანობას **ვსწავლობ**, ბებია. აქ **ვ** თავსართი პირველი სუბიექტური პირის ნიშანია, წყობა სუბიექტურია. ზმნა ინვერსიულია - III სერიაში. მაგ: **მისწავლია**. ამ შემთხვევაში რეალური სუბიექტი გადმოცემულია გრამატიკული ობიექტის ნიშნით და პირიქით, რეალური ობიექტი-გრამატიკული სუბიექტის ნიშნით.

ანალოგიური შინაარსისაა ზმნები შემდეგ წინადადებაში:

„მეოთხე გაკვეთილზე მე ვკარგავ დროსა და ზომიერების შეგრძნების უნარს“.

„რადაც ამ ბოლო დროს, სისუსტეს ვამჩნევ ამ ბაღანას“.

ახალ სალიტერატურო ქართულში პირველი სუბიექტური პირის ნიშანი დაერთვის ზმნათა დიდ უმრავლესობას, გამონაკლისია ზოგიერთი შემთხვევა:

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი არა გვაქვს მაშინ, როცა ზმნას ობიექტად მეორე პირი შეეწყობა. (ე.ი. პირველი და მეორე პირის შეხვედრას აქვს ადგილი). ასეთ დროს ზმნაში უნდა გვექონდეს ორი პრეფიქსი, მაგრამ ენამ მხოლოდ ობიექტური პირი გამოხატა ნიშნით. მაგ: „ჩამოდი, მე შენ გელაპარაკები (მე, შენ) და შენი ნებით წამომყევი (შენ, მე) კანტორაზე“.

აღსანიშნავია ზმნა გელაპარაკები, სადაც ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, არა გვაქვს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი. ანალოგიურია ზმნა - დაგინახე, შემდეგ წინადადებაში: „მას შემდეგ, რაც პირველად დაგინახე, მე ვაღიარე აბსოლუტური ჭეშმარიტება მშვენიერებისა“.

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი არ არის: მოვედი, მოვალ ზმნაში. წესის მიხედვით, უნდა იყოს - მოვევდი, მოვვალ, მაგრამ ამ ზმნებში მეორე პირის ნიშნად შემორჩენილია ძველი ქართული **ხ** (მოხვედი, მოხვალ), რის გამოც პირველი და მეორე პირი ორი ვ-ს გარეშეა გარჩეული, ამიტომ ენამ ადვილად დაკარგა პირველი პირის ნიშანი ვ პრეფიქსი. მაგალითად: „მაპატიეთ, ასე გვიან რომ მოვედი“.

ახლა განვიხილოთ ზმნები შემდეგ წინადადებაში: „ახლავე უნდა წავიყვანოთ, საავადმყოფოში და სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთოთ“.

ჩვენ დიდი ორმო გავთხარეთ და მურადა სასოებით ჩავასვენეთ შიგ“.

ოთხივე შემთხვევაში ზმნის სუბიექტური პირი პირველია. დგას მრავლობით რიცხვში. ზმნებში I სუბიექტური პირის ნიშანი გამოხატულია ვ-თავსართით და მრავლობითობა დ – ბოლოსართით.

მეორე სუბიექტური პირის ნიშნები პრეფიქსებია: ხ, ჰ, ს – მრავლობითობას აღნიშნავს სუფიქსი დ.

V-VII სს-ში ქართულ სალიტერატურო ენას ახასიათებდა ხანმეტობა. ტერმინი „ხანმეტი“ ცნობილია გიორგი მთაწმინდელის დროიდან (XIII) და აღნიშნავს ისეთი ენით დაწერილ ტექსტს, რომელშიც ხ ასო (ხან) მეტია. მაგ: (ხ-დგა, ხ-იხილო); ამჟამად შემორჩენილია ორიოდე ზმნაში: ხ-არ, მოხ-ვალ, მო-ხ-ვიდე. მრავლობითში ემატება თ სუფიქსი. II სუბიექტური პირის ნიშანი „ხ“ შენარჩუნებულია. მაგ: „მრავალცოლიანი გინდა გამოხვიდე? - შემეცხადა უცებ ბებიაძე.“ ჰ ბგერა არის სუსტი ბგერა და იკარგება ხმოვნების წინ; II სუბიექტური პირის ნიშანი „ჰ“ ხმოვნის წინ დაკარგულია.

მაგ: „ისწავლე, შე სასიკვდილე,“... ისწავლე-შენ.

„- ახლავე , აეთრიე, გარეთ გაეთრიე“... აეთრიე – შენ.

„- რატომ უწერ მერე ხუთს?“ უწერ - შენ, მას, მას.

ასევე ზოგჯერ თანხმოვნებთან, სპირანტებთან: ღ-ხ, ზ-ს, ქ-შ იკარგება, ხოლო შემორჩენილია **ხ** მხოლოდ - ხარ, მოხვედი, მოხვალ ზმნებში. აკაკი შანიძის მიხედვით პრეფიქსი ჰ იხმარება ბ, ფ, პ, გ, ქ, კ, ყ თანხმოვნების წინ, ს - დ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნების წინ.

თანამედროვე ქართული ენის განვითარების ტენდენცია ცხადყოფს, რომ მეორე სუბიექტური პირის ნიშნები დღეს თითქმის აღარ იხმარება. შესაბამისად, სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით მათი გამოყენება სავალდებულო აღარ არის.

მაგალითად: „არაყი და ხაჭაპური დადგი მაგიდაზე.“ დადგი - შენ<sup>III</sup> ის.

„ტაშტი შემოიტანე და დაუდგი ამ უბედურს,-უთხრა ილარიონმა“.

შემოიტანე - შენ<sup>III</sup> ის, დაუდგი- შენ<sup>III</sup>, მას, ის.

„კარგი ახლა ნუ იჯღანები, გადადი მეორე საკითხზე“. იჯღანები - შენ, გადადგი - შენ.

„შენ ვაჟკაც, მოდი, ამოჰკარი! - მომიბრუნდა მძლოლი“. მოდი - შენ, ამოჰკარ - შენ, მას, ის - აქ გამოყენებულია II სუბიექტური პირის ნიშანი ჰ.

„აღარ მორჩებით ღრეჯას? - გაბრაზდა ცირა“. მორჩებით - თქვენ, მას.

მესამე სუბიექტური პირის ნიშანია მხოლოდობით რიცხვში სუფიქსები: -ს, -ა, -ო, (ამათგან ძირითადია ს) მრავლობით რიცხვში: -ენ, -ნენ, -ან, -ნ, -ეს. მრავლობითში სუფიქსები ახალ ქართულში ორმაგ ფუნქციას ასრულებს, აღნიშნავს პირსაც და რიცხვსაც.

მკვლევართა აზრით, ისინი თავდაპირველად რიცხვს გამოხატავდნენ. ქვემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში, მესამე სუბიექტური პირის ნიშანია სუფიქსი -ა. მაგალითად:

„ზალპი ერთხანს გრძელდებოდა, ნაკვერცხლები შუშხუნებივით ცვიოდნ და ნაომარ ადგილას ანათებდა.“ ანათებდა – ის.

„ხუთ წუთში ყველაფერი მიწყნარდა“. მიწყნარდა – ის.

ახლა განვიხილოთ შემთხვევები, როცა - მესამე სუბიექტური პირის ნიშანია სუფიქსი დ.

„დეიდა მართამ სულ ჯიკავჯიკავით გამაგდო სამორიგოდან“.

„მძლომა დაიწყე მანქანის დაქოქვა“. დაიწყე - მან ის.

„ფაქიზოს გულწასვლის ნიშნები აშკარად დაეტყდ“.

მესამე სუბიექტური პირის ნიშანია სუფიქსი -ს მაგალითად:

„წუხანდელი დამენათევია და ძინავს - უპასუხა ილარიონმა“. ძინავს – მას.

„რას ამბობ, კაცო, ძინავს! - თქვა ილარიონმა“. ძინავს – მას.

ზმნაში სძინავს სუფიქსი -ს არის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი. მართალია, რელატიური აგებულების ზმნათა უმრავლესობას ორივე წყობა აქვს, მაგრამ არის რამდენიმე ზმნა, რომლებიც ეწარმოება ან მხოლოდ სუბიექტური ან მხოლოდ ობიექტური წყობა. ეს ზმნა მხოლოდ ობიექტური წყობისაა, აქ სუბიექტურ პირად მესამე პირია. აღსანიშნავია ისიც, რომ ზმნა ერთპირიანია, პირის ნიშანი კი მასში ორია წარმოდგენილი. მაგალითად: მ-ძინავს-ს, გ-ძინავს-ს, ს-ძინავს-ს ეს იმით აიხსნება, რომ ერთი პირი (სუბიექტური) დროთა განმავლობაში დაიკარგა და ორპირიანი ფორმა ერთპირიანად იქცა, ნიშნები კი უცვლელად დარჩა. ამ ტიპის ზმნებში, პროფესორ არნ. ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ, „თანაფარდობა დარღვეულია ზმნის აგებულებასა და წინადადების შინაარსს შორის. ზმნის ფორმა ჩამორჩა წინადადების შინაარსს“.

„ამ მოწასტრის გარშემო არსებობს ერთი ლამაზი და მხიარული ლეგენდა“. არსებობს-ის.

„ილიკო ისე შტერდა, რომ შუშის თვალს და ნამდვილს ვერ გაარჩევს ერთიმეორესაგან“.

აღნიშნულ ზმნებში მესამე სუბიექტური პირის ნიშანია-ს ბოლოსართი.

ახლა განვიხილოთ წინადადებები, რომლებშიც ზმნას შეეწყობა მესამე სუბიექტური პირი მრავლობით რიცხვში. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში პირის ნიშნები ორმაგ ფუნქციას აღნიშნავს, პირსაც და რიცხვსაც. მაგალითად:

„მე, როგორც ოჯახში ერთადერთ მამაკაცს, კრებაზე ყოველთვის მასწრებენ“. მასწრებენ - ისინი, მე, მას.

„ისინი უტირებენ ყოფას, ჯერ ხომ შეიკლავენ ხელში და მერე ტაშისკვრით გახეთქავენ“.

ამ შემთხვევაში მესამე სუბიექტური პირის ნიშანია – ენ.

„ილიკო და ილარიონი ნაცემი ძაღლებივით უყურებდნენ ერთმანეთს“.

„ილიკოს ეზოში მეზობლები მოგროვდნენ“. მოგროვდნენ – ისინი.

აქ მესამე სუბიექტური პირის ნიშანია-ნენ.

„კიდევ თითო გადაკრეს. მერე კიდევ თითო, მერე კიდევ თითო“. გადაკრეს - მათ ის.

„სიმწიფის ატესტატი საზეიმო ვითარებაში გადმოგვცეს“. გადმოგვცეს - მათ, ჩვენ, ის.

„ილიკომ და ილარიონმა სამ-სამჯერ ჩამკოცნეს“. ჩამკოცნეს - მათ, მე.

აქ მესამე სუბიექტური პირის ნიშანია – ეს.

„ილიკო და ილარიონი ადგილიდან არ დამრულან“. დამრულან – ისინი.

„მე მივდივარ ახლა ჩემს სოფელში, სადაც ამომავალ მზესავით მელოდებიან - მე, ბებია, ილიკო, ილარიონი და მერი“.

რაც შეეხება წართქმით ბრძანებითს პირის ნიშანი არ უნდა: „ადექი, ბერიკაცო, აქ ხომ არ აპირებ გათენებას“. ადექი - შენ; აპირებ - შენ მას.

უკუთქმით ბრძანებითს კი შემონახული აქვს II პირში ნიშანი ხ. ნუ მო-ხ-ვალ, არ მო-ხ-ვიდე. სხვა ზმნებში მთის კილოებშია შემონახული: ნუ დაჰბრძანებდები.

მეშველზმნიან ფორმებში სუბ. პირის ნიშნები ორმაგადაა გამოხატული: გავზრდილვარ, გავსულვარ.

ამრიგად ნაწარმოებში იგრძნობა ძალა ხალხური მეტყველებისა. მწერალმა ნაწარმოები გაამდიდრა მხატვრული ხერხებით, რითაც ხელი შეუწყო ფრაზის ბუნებრივად გამართვას. მწერალმა ნაწარმოებში - „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ პროფესიონალიზმითა და არაჩვეულებრივი ოსტატობით გამოხატა ნაფიქრ-ნააზრევი სწორი გრამატიკული ფორმების, ზმნის სუბიექტური პირისათვის დამახასიათებელი ნიშნების დაცვით, რაც შეესაბამება ახალ ქართულ სალიტერატურო ენას.

### ლიტერატურა

1. ა. შანიძე - თხზ.ტ. III თბ., 1980.
2. არნ. ჩიქობავა - მარტივი ნიშნების პრობლემა ქართულში, თბ., 1968.
3. ლ. კვაჭაძე - მორფოლოგია, ნაწ. I, თბ., 1969.
4. ნ. დუმბაძე - „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ - თბ., 1966.

### Subjective signs According to N. Dumbadze "Me, Grandma, Iliko and Ilarion"

Eter Bregadze

#### Abstract

In the work "Me, Grandma, Iliko and Ilarion", the writer expressed his thoughts with professionalism and extraordinary skill, observing the correct grammatical forms and signs characteristic of the subjective person of the verb, which corresponds to the new Georgian literary language.

0111 განათლების მეცნიერება EDUCATION SCIENCE

სპეციალური მასწავლებლის როლი ინკლუზიურ განათლებაში

ნინო მაზმიშვილი

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Gori State University

mazmishvilin@gmail.com

რეზიუმე

ნაშრომის საგანია ინკლუზიურ განათლებაში მასწავლებლის როლის, დანიშნულებისა და საგანმანათლებლო მნიშვნელობის და შედეგების კვლევა. ძირითადი თემა საქართველოში ზოგადი განათლების სისტემის მიზის - შექმნას ხელსაყრელი საგანმანათლებლო პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური განსხვავების მიუხედავად, მათთვის ზოგადი განათლების მიღების თანაბარი, შეუზღუდავი შესაძლებლობის სასწავლო ველის შექმნა. ნაშრომი მიზნად ისახავს აღნიშნული იდეალების განსახორციელებლად, განათლების რეფორმით გათვალისწინებული ინკლუზიური განათლების დანერგვას. ვგულისხმობთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თავიანთ თანატოლებთან. ცხადია, აქვე იგულისხმება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას, რაც განსაზღვრულა საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ. ჩვენი კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში სასწავლო პროცესების განხორციელების პროცესში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ კვლევის შედეგად შემოთავაზებული რჩევები და რეკომენდაციები დაეხმარება უნარშეზღუდული ბავშვების განათლების სისტემაში ინტეგრაციას, რომლის მთავარი შემოქმედი არის მასწავლებელი.

**საკვანძო სიტყვები:** სპეციალური მასწავლებელი, ზოგადი განათლების სისტემა, ინკლუზიური განათლება, ინტერვენცია, იზოლაციის სტადია, ინტეგრაციული სტადია, ინკლუზიური სტადია, საბაზო აკადემიური უნარები, მულტიდისციპლინური გუნდი.

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებაა ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური განსხვავების მიუხედავად, ყველა ადამიანის მიმდებლობა, მათთვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობის მინიჭება. სწორედ ამ იდეალების განსახორციელებლად, განათლების რეფორმით გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების დანერგვა, რომელიც გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას.<sup>1</sup> აღნიშნული პროცესის წარმატებით უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს ადამიანური, მატერიალური და ციფრული რესურსების მობილიზება და შექმნა. ეს ეხება სასკოლო მეთოდურ სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა სახის კვლევებს, კვლევების რევიზიას და მათი ანალიზის საფუძველზე ეფექტურ ინტერვენციებს საკანონმდებლო დონეზე თუ სასწავლო პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა მომსახურებამ სამი სტადია გაიარა: 1) **იზოლაციის სტადია** - მოსწავლეებს ან უარს ეუბნებოდნენ სახელმწიფო სკოლებში მიღებაზე ან დაიშვებოდნენ მხოლოდ იზოლაციურ გარემოში, 2) **ინტეგრაციული სტადია** - (დაიწყო 1970 წელს), სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები შეძლებისდაგვარად იყვნენ ჩართულნი, ინტეგრირებულნი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში, 3) **ინკლუზიური სტადია** (დაიწყო 1980-იან წლებში) - ხაზს უსვამდა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის ყველა პროგრამასა და ღონისძიებაში.

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 3

სხვადასხვა ქვეყანაში ინკლუზიური განათლების განვითარების გზები განსხვავებულია. მაგ. აშშ-ში მე-20 საუკუნის ბოლოს ჩატარებულმა ფუნდამენტურმა კვლევებმა აჩვენა, რომ „მოსწავლეთა მხოლოდ 10% სწავლობდა საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების შესატყვისად. ისეთ მოსწავლეთა რაოდენობამ კი, რომლებსაც ესაჭიროებოდა საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად მათ საჭიროებებზე ინდივიდუალურად მორგებული დახმარება, მიაღწია მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 90%-ს“.<sup>2</sup>

თანამედროვე მიდგომებით, ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკური, გონებრივი და ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე ბავშვებისა და მოზარდების ინტეგრაციას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ინკლუზიური განათლება არის სწავლების დამაბრკოლებელი ბარიერების განსაზღვრის, შემცირების ან აღმოფხვრის ორმხრივი პროცესი. მისი სტრატეგიები გულისხმობს კავშირს მოსწავლესა და გარემოს შორის, ე.ი მიზნად ისახავს ყველა მოსწავლის შეფასებას, მისი ძლიერი მხარის და საჭიროებების დადგენასა და უზრუნველყოფას. ეს პროცესი იწვევს ცვლილებებს სწავლების შინაარსის, მეთოდოლოგიის, სტრუქტურისა და სტრატეგიების თვალსაზრისით.<sup>3</sup>

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, ინკლუზიურ განათლებას განმარტავს როგორც „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად“, რაც, თავისთავად გულისხმობს, იმას, რომ ასეთი მოსწავლეები განათლებას უნდა ღებულობდნენ თავიანთ თანატოლებთან ერთად და არა იზოლირებულად. უნდა ითქვას, რომ ამ კანონის განხორციელებას, გარკვეული უკმაყოფილების ტალღა მოჰყვა არა მარტო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების მშობლებისაგან, არამედ, საჯარო სკოლებიდანაც<sup>4</sup>. თუმცა, ყველაზე მეტად აქ მაინც მასწავლებლის როლი გამოიკვეთა, რომელსაც ტიპიური განვითარების და შეზღუდული უნარების მქონე მოსწავლეზე ერთნაირად უნდა ეზრუნა. ასე დაგეგმილი სასწავლო პროცესის წარმატება კი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში დამოკიდებულია სპეციალურად მომზადებულ, შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე მასწავლებელზე. ინკლუზიური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა მასწავლებელს ტრადიციულთან ერთად, სპეციფიურ მოთხოვნს უყენებს. სპეციალური მასწავლებელი არის მასწავლებელი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია იმისთვის, რომ შეაფასოს მოსწავლის სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები; განსაზღვროს და განხორციელოს სწავლების შესაბამისი სტრატეგიები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად. კონსულტაცია გაუწიოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, მის მშობელს, მასწავლებელს/ებს და სხვა სპეციალისტებს მოსწავლის სწავლასა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე, რომელსაც, თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით, აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ვერ ძლევეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ის პედაგოგები, რომელთაც გარკვეული ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების საკითხებში, მიიჩნევენ, რომ ინკლუზიის წარმატებით განხორციელება გარკვეულწილად დამოკიდებულია მათ აქტივობასა და ქმედებებზე, ანუ იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი მოემზადონ თავად და მოამზადონ კლასი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მისაღებად; რამდენად შეძლებენ ისინი უზრუნველყოფონ კლასში სწავლების მაღალი აკადემიური დონის შენარჩუნება და ამასთანავე, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ჩართვა სწავლა სწავლების პროცესში.

<sup>2</sup> მუსერიძე-ჯავახიშვილი თ., ინკლუზიური განათლების ერთი ფსიქოლოგიური ასპექტი, თბ., 2016, გვ.115.

<sup>3</sup> ბერიტ ჰ. იონსენისა და მირიამ დ. შერტენის რედაქციით, ინკლუზიური განათლება, განათლება-განსხვავებული საჭიროებების მქონე პირთა განათლება, თბ., 2001, გვ. 12

<sup>4</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სსმ მოსწავლეების ჩვეულებრივ საკლასო სივრცეში სწავლებასთან დაკავშირებით დღესაც ვხვდებით ბევრ უკმაყოფილებას და სტერეოტიპს. ამ პრობლემის აღმოფხვრის ბერკეტად მიგვაჩნია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება შშმ და სსმ პირების მიმართ. მასში თანაგრძობისა და ემპათიის გაჩენა

ამასთან დაკავშირებით პედაგოგთა უმეტესობა ხაზგასმით აღნიშნავს სხვადასხვა სპეციალისტის მიერ პროფესიონალური დახმარების აუცილებლობას.

განისაზღვრება ოთხი სახის სპეციალური მასწავლებელი: ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი; ქცევის და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი; სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი; მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლის სპეციალური მასწავლებელი. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე შემუშავდა სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი მისი პროფესიული უნარები, მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის, განხორციელებისა და მონიტორინგის კომპონენტები, სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის თავისებურებები, თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები, მისი პროფესიული ცოდნა და სხვა.<sup>5</sup>

სპეციალური მასწავლებელი მონაწილეობას იღებს როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, ასევე ზოგადად, ინკლუზიური განათლების დანერგვასა და უზრუნველყოფაში, სასკოლო სივრცეში ინკლუზიური სწავლების კულტურის სასკოლო კულტურად ქცევის პროცესში. მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სწავლების კომპეტენცია და ასევე შეუძლია დაეხმაროს მათ მშობლებს, მასწავლებლებს და სხვა სპეციალისტებს ზოგადასაგანმანათლებლო სივრცეში ამ მოზარდების ინტეგრაციის პროცესში. სპეციალური მასწავლებელი ეხმარება კლასის დამრიგებელსა და საგნის მასწავლებელს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების, მისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მორგებისა თუ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელების დროს. ის მათ რეკომენდაციებს უწევს მოსწავლის განათლებასთან, ქცევის მართვასა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. სპეციალური მასწავლებელი, საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთან, დამრიგებელთან, სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან/მეურვესთან ერთად მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაში;

მიუხედავად პრობლემის აქტუალობისა, დღეს კიდევ ბევრი სირთულეა ინკლუზიური განათლების სფეროში. საკმაოდ ცოტაა სპეციალური მასწავლებელი და სხვა სპეციალისტი, ვისაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ცოდნა და გამოცდილება აქვს. მიუხედავად სხვადასხვა საგანმანათლებლო, აკადემიური თუ სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელებისა, მაინც შეინიშნება ამ კატეგორიის მასწავლებლების სიმცირე.

ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებით ხშირად საკმაოდ მრავალრიცხოვანია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პრობლემის მოგვარებისა და წარმატების მიღწევაში. სახელმწიფო პოლიტიკა ზრუნავს სასწავლო პროცესში არაეთიკური ტერმინების აღმოფხვრასა და ადეკვატური პროფესიული ტერმინების დამკვიდრებაზე; სპეციალური მასწავლებელი ითვალისწინებს ეთნიკურ, რელიგიურ, ლინგვისტურ, სქესობრივ და სხვა თავისებურებებს (უნიკალობას) სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში; იდენტიფიცირებას უკეთებს სხვადასხვა სახის დარღვევას, რომელიც ხელს უშლის ინდივიდს სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებაში; იცის, რა გავლენას ახდენს ეს დარღვევები მოსწავლის სწავლასა და განვითარებაზე; პროფესიულ ცოდნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის სწავლების მეთოდოლოგიების, სწავლების სტრატეგიებისა და დახმარების ტექნოლოგიების შესახებ; ასევე შეუძლია განსაზღვროს ბავშვის განვითარებაზე მოქმედი ინდივიდუალური (პიროვნული) და გარემო ფაქტორები; იცის, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ფაქტორებმა სსსმ მოსწავლის სწავლასა და განვითარებაზე; განსაზღვრავს საბაზო აკადემიური უნარების (წერა, კითხვა და ანგარიში) განვითარების მეთოდებსა და სტრატეგიებს, სსსმ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით;

სპეციალური მასწავლებლის წინაშე დღეს ძალიან ბევრი პრობლემური საკითხი დგას. უმნიშვნელოვანესია, მასწავლებლებს სჯეროდეთ, რომ შესაძლოა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების აკადემიური წინსვლა, მათი წარმატება. გარდა ამისა, მასწავლებელმა კლასში სხვა მოსწავლეებზე უნდა მოამზადონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვების მისაღებად და მათ გასაგებად. ხშირად აწუხებთ კითხვები იმის შესახებ, რა ქნან, თუ ორი ან სამი ასეთი მოსწავლე ჰყავთ და რომელიმე მათგანი (გარკვეული საჭიროების გამო) ოთახიდან გაყვანას საჭიროებს? რა ქნას მასწავლებელმა, როცა ვერ ახერხებს ნორმალური გაკვეთილის ჩატარებას? რა ქნას მასწავლებელმა მაშინ, როცა სსსმ ბავშვთან არავის სურს დაწყვილება? მის გვერდით დაჯდომა? როცა

<sup>5</sup> სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

თავს იჩენს ძალიან ბევრი უცნაური და არაპროგნოზირებადი საქციელი?! მათ სჭირდებათ დამხმარე პერსონალი. ასევე სხვა დამატებითი აქტივობები და სერვისები, როგორცაა საუბრები მშობლებთან, მათთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება. პედაგოგებმა განივითარონ უნარები, რათა შეძლონ მოსწავლის იდენტიფიკაცია, მათი ძლიერი მხარის და საჭიროებების დადგენა; გამოკვეთოს მოსწავლის ინტერესები და ჩართოს არამარტო საგაკვეთილო პროცესში, არამედ არაფორმალურ განათლებაში, სადაც ძირითადად ხდება მოსწავლის სოციალიზაცია/ინტეგრაცია. ეს შემდგომში ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასების ამაღლებას და საგაკვეთილო პროცესში აქტიურ ჩართულობას. მასწავლებელმა მოსწავლეს, მისი შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, საგანმანათლებლო შედეგის, მაღალი აკადემიური მოსწრებისა თუ სხვა კონკრეტული წარმატების მოლოდინი უნდა შეუქმნას, რომ იზრუნოს მოსწავლის ყოველდღიურ აკადემიურ წინსვლაზე და ა.შ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების მშობლებსა და სკოლას შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაა. მასწავლებელი, მშობლებთან თანამშრომლობის გზით, უნდა ეცადოს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვმა თავი საზოგადოების სრულყოფილებიან წევრად იგრძნოს.<sup>6</sup>

სპეც. მასწავლებლის როლი ინკლუზიურ განათლებაში უდავოდ დიდია. სხვადასხვა კვლევები სპეც. მასწავლებელს განიხილავს როგორც ლიდერს, რომელსაც აქვს სხვადასხვა უნარები. კ. ბორნესი, ტ. ოვერლანდი და სხვები თავიანთ კვლევაში „მასწავლებელი, როგორც ლიდერი“, თვლიან, რომ პირველ რიგში, სპეც. მასწავლებელი უნდა იყოს მისაბამი მაგალითი ბავშვებისა და მოზარდებისთვის. მან უნდა შეძლოს: სწავლა-სწავლების დაგეგმვა და ორგანიზება, მოტივაციის გაღვივება და მოსწავლეების ფორმალური და არაფორმალური გარემო, სასწავლო პროცესის მომზადება და მონიტორინგი, სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, კონსულტაცია და უფლებების გადაცემა, გუნდისა და ქსელის აგება.<sup>7</sup> ამავე დროს ავტორები მიუთითებენ იმ კომპეტენციებზეც, რასაც სპეციალური მასწავლებელი უნდა ფლობდეს: ცოდნაზე დაფუძნებული კლასის ლიდერობა, კვლევისა და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა, კლასის მართვა, მომხმარებლის ცოდნა, თანამშრომლობა სხვებთან, კოლეგებთან, მშობლებთან, კონცენტრაცია პოზიტივზე, ბრალის დადების თავიდან აცილება, გადაწყვეტაზე ორიენტაციის აღება და სხვა.

მასწავლებლის მიერ სსმ მოსწავლისთვის სწორად შერჩეული რესურსები განაპირობებს სწავლა-სწავლების წარმატებულ პროცესს. ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევადობა მხოლოდ სწორად შერჩეული რესურსების საშუალებითაა შესაძლებელი. მკვლევარები გოდმანი და ადლერი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ რესურსების შერჩევა უნდა მოიცავდეს როგორც ტრადიციულ, ასევე ინოვაციურ მიდგომებს. ტრადიციული რესურსები მოიცავს სახელმძღვანელოებს, საკლასო მასალებს და სხვა ტიპურ საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ძირითადი ცოდნის და უნარების განვითარებას.<sup>8</sup>

კოელი და სხვა ავტორები თავიანთ ნაშრომში აღნიშნავენ, რომ სოციალური და ემოციური სწავლების პროგრამები უზრუნველყოფს მოსწავლეთა უკეთეს ინტეგრაციას და ტრანზიციას საშუალო სკოლაში. ეს მიდგომა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ განმავითარებელი რესურსების შერჩევა უნდა მოიცავდეს მრავალფეროვან კომპონენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა სრული პოტენციალის განვითარებას.<sup>9</sup>

მინტცესი და სხვა ავტორები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია იცოდნენ, თუ როგორ გამოიყენონ და შეარჩიონ რესურსები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა უნარების და ცოდნის განვითარებას. ეს მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, მუდმივად განავითარონ თავიანთი

<sup>6</sup> სამწუხაროდ, როგორც კვლევები გვიჩვენებს, ძალიან ხშირად ერთიან საკლასო სივრცეში ინკლუზიური სწავლების წინააღმდეგ მშობლები გამოდიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის კლასში ყოფნა უარყოფითად აისახება საერთო აკადემიურ მოსწრებაზე

<sup>7</sup> კ. ბორნესი, ტ. ოვერლანდი და სხვები, მასწავლებელი, როგორც ლიდერი. წიგნიდან: ვისწავლოთ ერთად, ინკლუზიური განათლება, პასუხისმგებელი რედაქტორი თ. პაჭკორია, 2008, გვ. 162-163

<sup>8</sup> Goodman, J., & Adler, S. (1985). *Becoming an Elementary Social Studies Teacher: A Study of Perspectives. Theory and Research in Social Education*

<sup>9</sup> Coelho, V., Brás, P., & Matsopoulos, A. (2021). Differential effectiveness of an elementary school social and emotional learning program during middle school transition in Portugal. *School psychology*

უნარები და ცოდნა, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე ინკლუზიურ განათლებაში.<sup>10</sup>

სპეც.მასწავლებლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (შემდეგში ისგ) შედგენა. სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებელს ეხმარება გაკვეთილის დაგეგმვაში, მოსწავლის საჭიროებების და ძლიერი მხარეების განსაზღვრაში და მათი გათვალისწინებით, აქტივობების, ასახსნელი მასალის მიწოდების სწორი სტრატეგიების შერჩევაში, ასევე ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნაში, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის სენსო-მოტორულ, კოგნიტურ, ემოციურ, სოციალურ განვითარებას და მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას.

მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახის სასწავლო საჭიროება, მაგრამ მათგან მხოლოდ ნაწილი მოითხოვდეს ინტენსიურ დაგეგმვასა და მონიტორინგს. ეროვნული სასწავლო გეგმისა და ზოგადად, სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტი არ მოითხოვს ადაპტირებასა და მოდიფიცირებას ყველა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.<sup>11</sup>

სპეციალური მასწავლებელი სსსმ მოსწავლის განათლებასა თუ სასწავლო პროცესში ჩართულობაზე ზრუნავს არა მხოლოდ მოსწავლის სკოლაში ყოფნისას, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ მოსწავლე სხვა სკოლაში გადადის. მასწავლებელი ამზადებს პორტფოლიოს, რომელშიც თავმოყრილია მოსწავლის შესახებ ყველა დოკუმენტაცია: მულტიდისციპლინური გუნდის დასვნა, მოსწავლის კოგნიტური და აკადემიური უნარების შეფასების ფურცელი, ისგ გეგმები ყველა საგანში, მიღწევების დოკუმენტაცია, საბოლოო ანგარიში, მოსწავლის შექმნილი ნამუშევრები... ისგ მიყვება მოსწავლეს, რათა ახალმა პედაგოგმა გადახედოს და მოსწავლესთან მუშაობა შესაბამისად გააგრძელოს. ის აქტიურად თანამშრომლობს ახალი სკოლის სპეც. მასწავლებელთან თუ საგნის მასწავლებლებთან, დეტალურად აცნობს სსსმ მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებს, საჭიროებებს, ყველაფერს, რაც კი სსსმ მოსწავლის სწავლასთან არის დაკავშირებული. ამ გზით ის ზრუნავს სსსმ მოსწავლის მომავალ მიღწევებზე.<sup>12</sup>

სპეციალური მასწავლებელი მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების საფუძველზე ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. მულტიდისციპლინური გუნდი შედგება სხვადასხვა სპეციალისტებისაგან.. საჭიროების შემთხვევაში ერთვება მეტყველებისა და ქცევის თერაპევტი, რომელთა დასკვნის გათვალისწინებით, მოსწავლეზე დაკვირვებით, მშობელთან გასაუბრებისა თუ აკადემიური უნარების შეფასების საფუძველზე ადგენს ისგ-ს, შემდეგ კი მონაწილეობს, როგორც ამ გეგმის განხორციელებაში, ასევე მისი განხორციელების მონიტორინგში, გეგმის გადახედვის პროცესში; ისგ-ს ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი იწარმოება მოსწავლის პირად საქმეში; ისგ დგება სწავლის დაწყებიდან ორ კვირაში. ამ პერიოდში ხდება მოსწავლეზე სხვადასხვა საგნის პედაგოგების მიერ დაკვირვება/შეფასება. შემდეგ შეიკრიბება ისგ გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს კლასის ხელმძღვანელი/დამრიგებელი. ისგ გუნდი შედგება ადმინისტრაციის წევრისაგან, დამრიგებელი, სპეციალური პედაგოგი, მშობელი, საგნის პედაგოგები. საჭიროებისამებრ სხვა სპეციალისტები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს. ისგ ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას უნდა მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად, მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.)<sup>13</sup>. მონაცემები კონფიდენციალურია და მშობლის ნებართვის გარეშე აკრძალულია მისი სხვა პირისთვის გადაცემა.

ხშირად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები მოუმზადებლად ხვდებიან სსსმ მოსწავლის მშობლების სურვილს, რომლებსაც ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე აქვთ უფლება, შეარჩიონ ის სკოლა, რომელიც მისთვის ტერიტორიულად ხელმისაწვდომია. ამავე კანონის თანახმად, „ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც

<sup>10</sup> Mintzes, J., Marcum, B., Messerschmidt-Yates, C., & Mark, A. (2013). Enhancing Self-Efficacy in Elementary Science Teaching With Professional Learning Communities. *Journal of Science Teacher Education*

<sup>11</sup> თ. გაგომიძე, თ. ჭინჭარაული, ქ. ფილაური, მ. ბაგრატიონი, ინკლუზიური განათლების პრინციპები, გვ. 139

<sup>12</sup> თ. პაჭკორია ს. მაზმიშვილი თ. კბილცეცხლაშვილი, ქ. იაშვილი, მ. ჭელიძე- ინკლუზიური განათლება, მოსწავლე, ოჯახი და სკოლა, გვ.20

<sup>13</sup> იქვე



აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის“ (მუხლი 9), „დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია“ (მუხლი 13). მაგალითად, თუ სკოლაში ირიცხება ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, იქ კი სათანადოდ ადაპტირებულია მხოლოდ პირველი სართული და ყველა დანარჩენი „სერვისი“, რომლითაც შეუძლიათ სარგებლობა სხვა მოსწავლეებს (სპორტული დარბაზი, სათამაშო მოედანი, ქიმიის ლაბორატორია მე-3 სართულზე და ა. შ.) ეტლით მოსარგებლე ბავშვისთვის ხელმისაწვდომი არ არის, დარღვეულია განათლების პირველი ფუნდამენტური უფლება – ხელმისაწვდომობა.<sup>14</sup>

ჩვენ ზედმიწევნით მართებულად მიგვაჩნია სალამანკას დეკლარაციით შემოთავაზებული რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც; „სპეციალურმა სკოლებმა უნდა შეძლონ მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების იდენტიფიკაცია, გამოიყენონ სწავლების განსხვავებული სტილი და ტემპი, უზრუნველყონ ყველასათვის ხარისხიანი განათლება ადეკვატური სასწავლო პროგრამების, ორგანიზაციული ღონისძიებების, სასწავლო სტრატეგიებისა და რესურსების გამოყენებით. ყველა სკოლაში უნდა იყოს მომსახურების სპექტრი, რომელიც შეესატყვისება სწავლაში განსაკუთრებულ მოთხოვნებსა და გამოწვევას. ასეთი ტიპის სკოლები ხელს უწყობს მისაწვდომობის პრინციპის განხორციელებას, მნიშვნელოვნად ზრდის სწავლის ეფექტურობას და განათლების ხარჯთეფექტურობას“.<sup>15</sup>

Nino Mazmishvili

### The role of a special teacher in inclusive education

#### Abstract

Education is an inherent right of every child. The state is mandated to ensure access to education and provide equal opportunities for all children, irrespective of their needs, ethnic, religious, or racial background. Historically, children with special educational needs were often isolated from the broader society and denied the opportunity to receive education alongside their peers in mainstream educational settings. The success of inclusive education is contingent upon having a well-trained staff, with the teacher playing a pivotal role in this context. Teachers today face significant challenges, including effectively conducting integrated lessons, facilitating communication between children with disabilities and their typically developing peers, and implementing appropriate responses to unusual or unpredictable behavior. We think that state policy plays a crucial role in the integration of children with disabilities into the education system, with the teacher serving as the primary driving force behind this effort.

<sup>14</sup> მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი, ჟ. კვაჭაძე, რ. ლორთქიფანიძე, ნ. გაჩეჩილაძე, სასწავლო აქტივობები ყველასათვის სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში გზამკვლევი მასწავლებლებისთვის,

0111 განათლების მეცნიერება EDUCATION SCIENCE

სხეულთა მოძრაობასა და სიდიდეთა გათანაბრებაზე ამოცანათა ამოხსნის  
სწავლებისათვის

მედიკო ჩაჩიბაია

E-mail: medikochachibaia@yahoo.com

რეფერატი

სტატია ეხება სწავლების თანამედროვე გამოწვევებს - როცა მოსწავლეს მოეთხოვება ცოდნის პრაქტიკული კუთხით გააზრება და მისი დაკავშირება გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენებთან. აქ საუბარია სასკოლო პრაქტიკაში კერძო მეთოდის ჩართულობაზე. ამ გზით სასწავლო თემების ნაწილი, რომელთა აღქმა მოსწავლეებს უძნელდებათ, ან გარკვეული მიზნებიდან გამომდინარე, მათი უფრო ღრმა გააზრება საჭირო გადამუშავდება და მოხდება მათი ახლებურად წარმოჩენა. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ახალი მათემატიკური ტერმინების შემოტანას. სხეულთა მოძრაობისას „დაწვევა-გასწრებისა“ და „შეხვედრა-დაშორების“ სიჩქარეებს. ხოლო სიდიდეთა გათანაბრებისას „ზედმეტის ნახევარს“. ეს ტერმინები ქმედების აღმნიშვნელია, უზრუნველყოფს საკითხის მარტივად გააზრებას და მოსწავლეებს უადვილებს საკითხისადმი სიღრმისეულ წვდომას. ზოგადად, ასეთი მიდგომები ხელს შეუწყობს მასალის სიღრმისეულ აღქმასა და გაზრდის თანხვედრას სასწავლო მასალასა და მოსწავლეთა შესაძლებლობებს შორის, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სწავლების ხარისხს.

**საკვანძო სიტყვები:** დაწვევა-გასწრება, შეხვედრა-დაშორება, ზედმეტის ნახევარი.

სასკოლო მათემატიკა სწავლების პირველი საფეხური მრავალფეროვან სასწავლო თემებს მოიაზრებს, მათ შორის მრავალადაა საყოფაცხოვრებო ხასიათის ამოცანებიც. რაც მეტად მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ცხადია თითოეული საკითხის ღრმა და საფუძვლიანი სწავლება აუცილებელია. მაგრამ არის საკითხები, რომელთა სწავლებაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მათ შორისაა ამოცანები სხეულთა მოძრაობაზე. მოძრაობაზე ამოცანების შესწავლასაც ჩვეულებრივ წინარე ცოდნის გააქტიურებით ვიწყებთ. პირველ რიგში მოსწავლეებს შევახსენებთ მანძილისა და დროის ურთიერთდამოკიდებულებას, ვმუშაობთ სიჩქარის ცნების ღრმა გააზრებაზე. მოსწავლეებს ვაცნობთ მარტივ ამოცანებს დროის, მანძილისა და სიჩქარის სიდიდეთა შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე. შემდგომ ვიხილავთ შედარებით რთულ ამოცანებს, როგორცაა ამოცანები წყალში მოძრაობაზე, ურთიერთსაპირისპიროდ, ერთიდაიგივე მიმართულებით მოძრაე სხეულებზე და ა.შ. სწორედ ამ ამოცანათა უკეთ სწავლების მიზნით, მიზანშეწონილად მივიჩნიე რამდენიმე ტერმინის შემოტანა.

პირველად, მინდა შევეხო ამოცანებს ურთიერთშემხვედრი მიმართულებით მოძრაე სხეულებზე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 1. მოძრაობაზე ამოცანების განხილვისას, მნიშვნელოვანია ამოცანის პირობის ილუსტრირება ნახაზით (რაც მოსწავლეებს ეხმარება, ამოცანის პირობის საფუძვლიან გააზრებაში). 2. მივიჩნევთ რომ სხეულები რომლებზეც ვსაუბრობთ, მოძრაობენ მუდმივი სიჩქარით. მოძრაობაზე ამოცანების გაცნობას ვიწყებ უმარტივესი ამოცანით:

ორი ქალაქიდან, რომელთა შორის მანძილი 280 კმ-ია, ურთიერთშემხვედრი მიმართულებით გაემგზავრა ორი ავტომობილი, ერთიდაიგივე დროს და ერთიდაიგივე სიჩქარით. ისინი შეხვდნენ ორი საათის შემდეგ. რომელი ავტომობილი გაივლის მეტ მანძილს და რამდენით? ქალაქებიდან რა მანძილის დაშორებით შეხვდებიან ავტომობილები ერთმანეთს? რას უდრის ავტომობილების სიჩქარე?

ამის შემდგომ განვიხილავ ამოცანას N2:

ორი ქალაქებიდან, ერთმანეთის შესახვედრად გამოვიდა ორი ველოდიპედისტი, პირველი მოძრაობდა 18 კმ/სთ, ხოლო მეორე 14 კმ/სთ სიჩქარით. ავტომობილები ერთმანეთს შეხვდნენ 3 საათის შემდეგ. ა) რა მანძილია ქალაქებს შორის? ბ) რა მანძილი იქნება ველოსიპედისტებს შორის 5 სთ-ის შემდგომ, თუ ისინი იგივე მიმართულებით აგრძელებენ მოძრაობას?

ამოხსნა



ნახ.1.

პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ცნობილია, რომ ამ ამოცანის ამოხსნისას მოსწავლეები (თითქმის სრული უმრავლესობა) ჩვეულებრივ მიმართავენ ამოხსნის ასეთ ხერხს:


1. რა მანძილი გაიარა პირველმა ავტომობილმა 3 სთ-ში? -  $18 \times 3 = 54$ .
2. რა მანძილი გაიარა მეორემ 3 სთ-ში? -  $14 \times 3 = 42$ .
3. რა მანძილია ქალაქებს შორის? -  $54 + 42 = 96$  კმ.
4. რა დროის მანძილზე იმოდრავეს ავტომობილებმა შეხვედრის შემდგომ? -  $5 - 3 = 2$ .



ნახ. 2.

5. რა მანძილს გაივლის პირველი ავტომობილი 2 საათში? -  $14 \times 2 = 28$ .
  6. რა მანძილს გაივლის მეორე ავტომობილი 2 საათში? -  $18 \times 2 = 36$ .
  7. რა მანძილია ავტომობილებს შორის 5 საათში? -  $28 + 36 = 64$ .
- პასუხი: 96 კმ; 64 კმ.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ამოხსნის სხვა გზა მოძებნონ, საჭიროა მიზანმიმართული კითხვებით „აღმოაჩინონ“, რომ ველოსიკედისტები, ყოველ ერთ საათში (დროის ერთეულში), ერთიდაიგივე მანძილით უახლოვდებიან ერთმანეთს, ხოლო შეხვედრის შემდგომ, იგივე მანძილით ხდება დაშორებაც. ამასთან, ერთ საათში მათი მიახლოების სიდიდე, მათი სიჩქარეების ჯამის ტოლია. ზუსტად იგივე ხდება დაშორებისას. ეს „აღმოჩენა“ დაეხმარება მათ ამოხსნის სხვა ვარიანტის მიგნებაში, კერძოდ:



ნახ. 3.


1. რა მანძილით უახლოვდებიან ავტომობილები 1 საათში? -  $4 + 18 = 32$
  2. რა მანძილი გაიარეს ავტომობილებმა შეხვედრამდე? (ქალაქებს შორის მანძილი) -  $32 \times 3 = 96$
  3. რა დროის მანძილზე იმოდრავეს ავტომობილებმა შეხვედრის შემდგომ? -  $5 - 3 = 2$
  4. რა მანძილით დაშორდებიან შეხვედრის შემდგომ (2 სთ-ში)? -  $32 \times 2 = 64$
- პასუხი: 96 კმ; 64 კმ.

თუ ამოხსნის ამ ორ გზას შევადარებთ, უფრო მოსახერხებელი და მოკლე მეორე ვარიანტი აღმოჩნდება. ყურადღების იმ კუთხით კონცენტრაცია, რომ სხეულები ყოველ 1 საათში (დროის ერთეულიში) უახლოვდებიან, ან შორდებიან (შეხვედრის შემდგომ) მანძილით, რომელიც მათი სიჩქარეების ჯამის ტოლია, მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული მანძილი ფაქტობრივად სიჩქარეა, რამდენადაც ის განსაზღვრავს დროის ერთეულში ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით მოძრავ სხეულთა გავლილ მანძილს, ხოლო შეხვედრის შემდგომ დროის ერთეულში სხეულთა დაშორებას.

რამდენადაც მიახლოება ხდება მაშინაც როცა ერთი ავტომობილი ეწევა მეორეს. თუმცა, ამ შემთხვევაში ე.წ. მიახლოების სიჩქარე სიჩქარეთა სხვაობით განისაზღვრება. ზემონათქვამიდან გამომდინარე, მოსახერხებელია შემოვიტანოთ ტერმინი „შეხვედრა-დაშორების“ ანუ უბრალოდ „შეხვედრის“ სიჩქარე. ახლა შევნიშნოთ, რომ შესაძლებელია სხეულები მოძრაობას იწყებდნენ სხვადასხვა დროს და განვიხილოთ ამოცანა N3.

A ქალაქიდან გამოვიდა ავტომობილი, რომლის სიჩქარეა 80 კმ/სთ. 2 საათის შემდეგ B ქალაქიდან შემხვედრი მიმართულებით გამოვიდა მეორე ავტომობილი, რომლის სიჩქარეა 75 კმ/სთ. პირველი ავტომობილის გამოსვლიდან 5 სთ-ის შემდგომ ავტომობილები შეხვდნენ ერთმანეთს. რა მანძილია ქალაქებს შორის?

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ შეხვედრა-დაშორების სიჩქარეზე ვსაუბრობთ მხოლოდ იმ დროიდან, როცა ავტომობილები ერთდროულად იწყებენ მოძრაობას. (ნახ.4).



ნახ. 4.

(სიმარტივის გამო ამოხსნას არ განვიხილავ). „შეხვედრა-დაშორების“ ტერმინის შემოღება და მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაცია ამ კუთხით მოსწავლეებს აიძულებს გაიაზრონ, რომ მოცემულ შემთხვევაში სხეულების ურთიერთშემხვედრი და შეხვედრის შემდგომ ურთიერთსაპირისპიროდ მოძრაობა (ანუ დაშორება) განისაზღვრება ერთიდაიგივე სიდიდით სიჩქარით, რომელიც მათი სიჩქარეების ჯამის ტოლია. ამის შემდგომ ამოცანა ამოიხსნება მოკლე გზით.

ამოცანა N4: ორი ქალაქიდან, რომელთა შორის მანძილი 232 კმ-ია, ერთდროულად ურთიერთშემხვედრი მიმართულებით ორი ველოსიპედისტი გამოვიდა. ერთის სიჩქარეა 15 კმ/სთ. ვიპოვოთ მეორე ველოსიპედისტის სიჩქარე, თუ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, მოძრაობის დაწყებიდან 8 სთ-ის შემდეგ?

ამოხსნა:

1. რას უდრის ველოსიპედისტთა შეხვედრა-დაშორების სიჩქარე? -  $232:8=29$  კმ-სთ.
2. რას უდრის მეორე ველოსიპედისტის სიჩქარე? -  $29-15=14$  კმ/სთ.

პასუხი: 14 კმ/სთ.

ეხლა შევეხოთ ამოცანებს ერთიდაიგივე მიმართულებით მოძრავ სხეულებზე. ასეთ დროს განსახილველია შემთხვევები, როცა სხეულები მოძრაობას იწყებენ:

1. ერთიდაიგივე დროს, ერთიდაიგივე პუნქტიდან.
2. ერთიდაიგივე დროს, სხვადასხვა პუნქტიდან.
3. სხვადასხვა დროს ერთიდაიგივე პუნქტიდან.
4. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პუნქტიდან.


განვიხილოთ პირველი შემთხვევა. ამჯერადაც, გაკვეთილს ვიწყებ მარტივი ამოცანითა და შესაბამისი კითხვებით: თუ ორი ავტომობილი ერთიდაიგივე დროს და ერთიდაიგივე მიმართულებით გამოდიან A და B ქალაქებიდან. რა დროს შემდგომ დაეწევა პირველი მეორეს, თუ მათ შორის მანძილი 80 კმ-ია? რა მანძილი იქნება მათ შორის 3 სთ-ს შემდგომ? რის შემდგომაც განვიხილავ ამოცანა N5-ს.

ამოცანა N5: A პუნქტიდან ერთდროულად, ერთიდაიგივე მიმართულებით, გაემგზავრა ორი ავტომობილი. პირველის სიჩქარეა 65 კმ/სთ, ხოლო მეორის 90 კმ/სთ. რა მანძილი იქნება მათ შორის 5 სთ-ის შემდეგ?

როგორც წესი, სასკოლო პრაქტიკაში მოსწავლეები მიმართავენ შემდეგ ხერხს:

1. რა მანძილი გაიარა პირველმა ავტომობილმა 5 საათში? -  $65 \times 5 = 325$ .
2. რა მანძილი გაიარა მეორე ავტომობილმა 5 საათში? -  $90 \times 5 = 450$ .
3. რა მანძილია ავტომობილებს შორის 5 სთ-ის შემდეგ? -  $450 - 325 = 125$

პასუხი: 125 კმ.



ნახ. 5.


ახლა შევნიშნოთ, რომ თუ მეორე ავტომობილი ასწრებს პირველს, მაშინ პირველი ავტომობილი ჩამორჩება მეორეს ყოველ 1 საათში (დროის ერთეულში) 25 კმ-ით. გამოდის რომ გასწრება-ჩამორჩენა ერთიდაიგივე ფაქტის ორი მხარეა. ამასთან, დროის ერთეულში (ჩვენ შემთხვევაში ყოველ ერთ საათში) გარკვეული სიდიდით გასწრება-ჩამორჩენა მიგვითითებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს სიჩქარესთან, რომლის სიდიდე სიჩქარეთა სხვაობით განისაზღვრება. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულს, ამოცანა შეიძლება ამოიხსნას შედარებით მარტივად:

1. რას უდრის „გასწრების“ სიჩქარე? -  $90-65=25$
2. რა მანძილია ავტომობილებს შორის 5 სთ-ის შემდეგ? -  $25 \times 5 = 125$

პასუხი: 125 კმ.

ახლა განვიხილოთ მეორე შემთხვევა, ამოცანა N6.

A და B პუნქტებიდან, რომელთა შორის მანძილი 120 კმ-ია, ერთდროულად, ერთიდაიგივე მიმართულებით გაემგზავრა ორი ავტომობილი. პირველის სიჩქარეა 90 კმ/სთ, ხოლო მეორის 75 კმ/სთ. რა მანძილი იქნება მათ შორის 5 სთ-ის შემდეგ?



ნახ. 6.

როგორც ვხედავთ, 1 საათში პირველმა გაიარა 90, ხოლო მეორემ ადვილი მისახვედრია, რომ ყოველ ერთ საათში ავტომობილებს შორის მანძილი მუდმივად 15 კმ-ით იცვლება ანუ საქმე გვაქვს სიჩქარესთან. ეს ფაქტი ასეც შეიძლება აღვნიშნოთ, პირველი ავტომობილი მეორეს ეწევა 15 კმ-ით (დროის ერთეულში). რამდენადაც ავტომობილებს შორის მანძილი 120 კმ-ია, ცხადი ხდება, რომ პირველი ავტომობილი დაეწევა მეორეს 8 საათში ( $120:15=8$ ). ამის შემდგომ კი A პუნქტიდან გამომავალი ავტომობილი „გასწრებს“ მეორეს 15კმ-ით ყოველ საათში. ამრიგად, დროის ერთეულში ჩამორჩენის, დაწევის ან გასწრების სიდიდე განისაზღვრება სიჩქარეთა სხვაობით. ცხადია, ამჯერადაც საქმე გვაქვს სიჩქარესთან. რასაც შეიძლება ვუწოდოთ „დაწევა-გასწრების“ ანუ უბრალოდ „გასწრების“ სიჩქარე მისი სიდიდე განისაზღვრება სიჩქარეების სხვაობით. მე-3 და მე-4 შემთხვევებს არ განვიხილავ წინა ამოხსნებთან იდენტურობისა და იმ მიზეზით, რომ ამჯერად „ვხეებით“ მათემატიკურ ტერმინებს. ამრიგად, სხეულთა მოძრაობაზე (საპირისპირო ან ერთიდაიგივე მიმართულებით) ამოცანების განხილვისას საქმე გვაქვს „შეხვედრა-დამორების“ ან „დაწევა-გასწრების“ სიჩქარესთან, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ შეხვედრის ან გასწრების სიჩქარე და რომელთა სიდიდე განისაზღვრება შესაბამისად სიჩქარეთა ჯამითა და სხვაობით. მოძრაობაზე ამოცანების ამოხსნისადმი ასეთი მიდგომით მოსწავლეები ადვილად აღიქვამენ, რომ ერთიდაიგივე ან საპირისპირო მიმართულებით მოძრაე სხეულებს შორის მანძილი მცირდება ან იზრდება ერთიდაიგივე სიჩქარით, რომლის სიდიდე ამ

სხელთა სიჩქარეების ჯამით ან სხვაობით განისაზღვრება. ამასთან, შემოტანილი ტერმინები მათ უადვილებს დაადგინონ, რა შემთხვევაში ითვლიან სიჩქარეთა ჯამს და რა შემთხვევაში – სხვაობას.

ახლა შევეხოთ „გათანაბრების“ თემაზე ამოცანების ამოხსნას.

განვიხილოთ ამოცანა N7: ერთ ამბარში 120 კგ ფქვილია, მეორეში - 90 კგ. რამდენი კგ ფქვილი უნდა გადავიტანოთ პირველი ამბარიდან მეორეში, რომ ორივე ამბარში ფქვილის რაოდენობა გათანაბრდეს? (ნახ.7)

პრაქტიკოსი მასწავლებელი ადვილად შენიშნავს, რომ ჩვეულებრივ მოსწავლეები ამოცანას ასე ამოხსნიდნენ:

პირველი ხერხი:

1. რამდენი ფქვილია ორივე ამბარში? -  $120+90 = 210$
2. რამდენი ფქვილი იქნება გათანაბრების შემდგომ თითოეულში? -  $210:2=105$
3. რამდენი კგ ფქვილი უნდა გადავიტანოთ პირველი ამბარიდან მეორეში? -  $105-90=15$


პასუხი: 15 კგ.

ქვემოთ მოცემული ნახაზისა და მიზანმიმართული კითხვების დასმით მოსწავლეები შეძლებენ ღრმად გაიაზრონ ამოცანის პირობა. ჩვენი დახმარებით ისინი მიგვყავს დასკვნამდე, რომ პირველ ამბარში არსებული ზედმეტი მასა, ანუ ( $120-90=30$ ) თანაბრად უნდა „გაიყოს“ ორმა ამბარმა. ე.ი. მეორე ამბარში უნდა გადავიტანოთ პირველ ამბარში არსებული ზედმეტის რაოდენობის ნახევარი, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „ზედმეტის ნახევარი“. თუ მოსწავლე კარგად გაითავისებს ტერმინს „ზედმეტის ნახევარი“, ამოცანას ამოხსნის მარტივად (ნახ.7).

მეორე ხერხი:

1. რამდენით მეტი ფქვილია პირველ ამბარში? -  $120-90 = 30$
2. რამდენი ფქვილი უნდა გადავიყაროთ მეორე ამბარში? -  $30 : 2 = 15$

პასუხი: 15 კგ.




ნახ. 7.

ახლა გთავაზობთ შემოადინიშნული ტერმინის გამოყენებას, უფრო განსხვავებული სახით. ამოცანა: მარიამს 37 სათამაშო ჰქონდა. მას ნატომ უთხრა, რომ თუ მისცემდა 10 სათამაშოს მათ ერთნაირი რაოდენობის სათამაშოები ექნებოდათ. რამდენი სათამაშო აქვს ნატოს. აქ მოსწავლეს თუ გათავისებული ექნება ახალი ტერმინი – „ზედმეტის ნახევარი“, ის ადვილად გაიაზრებს, რომ მარიამმა სათამაშოთა გათანაბრების მიზნით სწორედ ზედმეტის ნახევარი უნდა მისცეს ნატოს, გამოდის რომ რადგან 10 სათამაშოს მიცემით ხდება გათანაბრება 10 „ზედმეტის“ ნახევარია, ე.ი. მარიამს **ქონია** ზედმეტად  $10 \times 2 = 20$  სათამაშო. ამიტომ სვამს კითხვას:

1. რამდენით მეტი სათამაშო ჰქონია მარიამს? -  $10 \times 2 = 20$
2. რამდენი სათამაშო ჰქონია ნატოს? -  $37 - 20 = 17$

პასუხი: 17 სათამაშო.

ამჯერად განვიხილოთ ამოცანა: ერთი ტომრიდან დანარჩენ სამში ათ-ათი კგ. ფქვილი გადაიტანეს, რის შემდგომაც ტომრებში ფქვილის რაოდენობა გათანაბრდა. რამდენით მეტი ფქვილი იყო პირველ ტომარაში?



ნახ. 8.

ჩვეულებრივ ბავშვები უპასუხებდნენ, რომ პირველ ტომარაში 30 კგ-ით მეტი ფქვილია, ვიდრე დანარჩენში.

პრაქტიკოსი მასწავლებლები ადვილად შენიშნავენ, რომ „ზედმეტის ნახევრის“ ტერმინის შემოტანით, მოსწავლეებს უმარტივდებათ ამ ტიპის ამოცანების ამოხსნა. ისინი მოიაზრებენ შესაბამის სქემას (ნახ.8) და სქემის გაკეთებისთანავე აკეთებენ დასკვნას, რომ „ზედმეტი“ ფქვილი თანაბრად უნდა გაიყოს ოთხმა ტომარამ რის შემდგომაც მარტივად პასუხობენ კითხვას, რომ პირველ ტომარაში 40 კგ-ით მეტი ფქვილი იყო ვიდრე დანარჩენებში.

ტერმინები, რომლებსაც გავეცანით, ქმედების აღმნიშვნელია, შინაარსობრივად ახლოს დგას (მოცემული შემთხვევებისათვის) ამოცანის პირობასთან და ეხმარება მოსწავლეს პირობის ღრმა გააზრებასა თუ სიღრმისეულ აღქმაში. ასევე მიგვითითებს როგორც მოძრაობის ხასიათზე ასევე გათანაბრების ამოცანების ტიპზე. ყოველივე კი უზრუნველყოფს მასალის ნათლად გაგებასა და შეგნებულ შეთვისებას. გარდა აღნიშნულისა ტერმინების შეთვისება მოსწავლეს ეხმარება ამოხსნის სხვადასხვა ხერხის დანახვაში, რაც თავისთავად განაპირობებს ფართო და კრეატიული აზროვნების უნარს და საგრძნობლად აადვილებს მასალის ათვისებას. ასეთ დროს მოსწავლე ხედავს ამოხსნის სხვადასხვა ხერხს.რაც ამოცანის ამოხსნისას არჩევანის საშუალებას იძლევა და განაპირობებს ამოცანის მარტივი ხერხით ამოხსნის უნარის გამომუშავებას. აღსანიშნავია, რომ ტერმინოლოგია გარკვეული თვალსაზრისით პირობითობაა, თუმცა ამ ტერმინების შემოტანა საგრძნობლად დაეხმარება მოსწავლეებს ამოცანის პირობის სიღრმისეულ გააზრებასა თუ ამოხსნის მარტივი გზების პოვნაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ განხილული ამოცანები საყოფაცხოვრებო ხასიათისაა, ეს კი საფუძვლიანი მიზეზია მოსწავლეთა სიღრმისეული აზროვნების გასაადვილებლად.

### Methods for Teaching Problem-Solving in Object Motion and Magnitude Equality

Mediko Chachibaia

#### Abstract

The article delves into the challenges posed by modern study methods, emphasizing the need for students to understand knowledge from a practical standpoint and connect it to real-world events. It discusses the integration of practical teaching methods into school practices, where difficult or conceptually complex topics are restructured and presented in new ways. The terms “Encounter and Departure”, “Lagging-Catching Up” (related to movement problems in mathematics), and “Excess Halving” describe actions and correspond to phenomena observed in real-world processes. These new mathematical concepts help students deepen their understanding and enhance problem-solving skills. These methods will deepen students' understanding of the material and better align the content with their capabilities, leading to a notable improvement in teaching effectiveness.

**Key words:** “Encounter and Departure”, “Lagging-Catching Up”, “Excess Halving”.

**0111 განათლების მეცნიერება EDUCATION SCIENCE**

**მულტიმედია მასალის სტრუქტურა და გამოყენების არეალი**

**ნინო ხუჯაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Batumi Shota Rustaveli State University

E-mail: aninia82@mail.ru

**რეზიუმე**

მულტიმედია საშუალებების მოდელურ დონეზე განვითარება დაკავშირებულია, როგორც მისი გამოყენების აუცილებლობასთან, ასევე მის ისეთ მოხერხებულ პარამეტრებთან, როგორცაა: მობილურობა, ფუნქციონალობა, სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციული ნაკადის გავრცელების სიმარტივე, საიმედოობა, სისწრაფე, კომუნიკაბელობა და სხვა.

მულტიმედია მოდელები, ეს არ არის მხოლოდ ტექნიკური თვალსაჩინოების რაღაც ნაკრები, არამედ წარმოადგენს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის ხელსაყრელ ასპექტს – თანამედროვე ელექტრონულ საშუალებას. რაც შეეხება მულტიმედია მოდელების ეფექტურ გამოყენებას, ეს შესაძლებელია მხოლოდ მულტიმედია მოდელების შექმნის ინსტრუქციული მასალის ზედმიწევნით ზუსტი დამუშავებითა და მეცნიერულ-პრაქტიკული ანალიზის მეშვეობით [1].

მძლავრი ინტერაქტიული კომპიუტერული პროგრამების არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ შექმნილია თანამედროვე სასწავლო მულტიმედია კურსები. მულტიმედია მოდელების ანალიზმა აჩვენა, რომ თანამედროვე სასწავლო მულტიმედია მოდელების უმრავლესობა ჯერჯერობით მხოლოდ ინტერაქტიული ტექსტური, თუნდაც ჰიპერტექსტური მასალაა, რომელიც წარმოადგენილია ელექტრონულ ფორმაში და თან ახლავს ვიდეო და აუდიო დანართები. შეიძლება ითქვას, რომ ესეც დიდი მიღწევაა და საგრძნობი გარღვევაა ტრადიციულ სასწავლო თვალსაჩინოების სფეროში, მაგრამ იმ სიმძლავრეებზე დაყრდნობით, რასაც ფლობს თანამედროვე საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მეტის მიღწევა აშკარად შეიძლება.

საჭიროა, სასწავლო ინფორმაციის დინამიკაში, სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა, რაც მულტიმედია მოდელების მიანიჭებს მეტ ემოციოგენურობას და სტუდენტში გამოიწვევს მზაობისა და განწყობის ემოციას. ამ აზრის საიმედოობა იქედან მტკიცდება, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სტუდენტის ინფორმაციის მიმღებობის არხი (გამოწვეული წამყვანი სენსორული მოდალურობიდან) ინდივიდისგან დამოკიდებულებით ისეა მოწყობილი, რომ ზოგი ადვილად ითვისებს ვიზუალურ (ვიდეო) ინფორმაციას, ზოგი ხმოვანს (აუდიო) ინფორმაციას, ზოგისათვის კი საჭიროა გარკვეული „მუსკულური“ აქტიურობა (კინესტეტიკა) [2, 3]. როცა ვახსენებთ ემოციოგენურობას, აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი. პირველი ის, რომ კომპიუტერის მონიტორიდან მიღებული ინფორმაცია თავისი ხასიათით თვითონ წარმოადგენს ემოციოგენურს და მეორე – მულტიმედია კურსიც თავისი სტრუქტურით წარმოადგენს ემოციოგენურ სისტემას, რადგან მხოლოდ კომპიუტერზე შეიძლება იყოს რეალიზებული, რომლის ნაირსახეობაა ელექტრონული სახელმძღვანელო და საცნობარო; საწვრთნელი კომპლექსები, ტესტირების სისტემა, ლაბორატორიული პრაქტიკუმები და სხვ.

მულტიმედია სალექციო მოდელში დიდი მნიშვნელობა აქვს კომპაქტური ელექტრონული საცნობარო სისტემის არსებობას. ხშირია შემთხვევა, როდესაც სტუდენტისათვის უცნობია ამა, თუ იმ ინფორმაციის სენტენციური მხარე. მულტიმედია ელექტრონულმა საცნობარო სისტემამ სტუდენტს ნებისმიერ დროს, მოთხოვნისთანავე, ოპერატიულად უნდა მიაწოდოს აუცილებელი საცნობარო ინფორმაცია. ვფიქრობთ, მულტიმედია მოდელების პროექტირების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ეს მოთხოვნა და ელექტრონული საცნობარო სისტემა მიერთებულ იქნას მულტიმედია მოდელზე, როგორც მისი შემადგენელი, და ამავე დროს, როგორც დამოუკიდებელი ელემენტი.

სასწავლო მულტიმედია კურსის (სმკ) საფუძველს წარმოადგენს მისი ინტერაქტიული ნაწილი, რომლის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერზე. ეს არის: ელექტრონული სახელმძღვანელო, ელექტრონული საძიებელი, ტრენაჟორის კომპლექსი (კომპიუტერული მოდელები,



კონსტრუქტორები და ტრენაჟორები), ამოცანათა კრებული, ელექტრონული ლაბორატორიული პრაქტიკუმი, კომპიუტერული სატესტო სისტემა.

ინტერაქტიური მულტიმედიური საშუალებების სალექციო მასალის პროექტირების პროცესში უდიდეს მნიშვნელობა ენიჭება მის ინფორმაციულ უზრუნველყოფას. განათლების თანამედროვე სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი იქნება უმაღლესი სასწავლებლების გადასვლა ელექტრონულ ბიბლიოთეკებზე, სადაც ძირითადი ვექტორი მიმართულია ახალი ინფორმაციული (კომპიუტერული) ტექნოლოგიების (აიტ) გამოყენებაზე. მომხმარებლის მომსახურებაში მთავარი იქნება საცნობარო-ბიბლიოგრაფიული სამუშაოს შესაძლებლობების გაფართოება. სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებების სამეცნიერო ბიბლიოთეკების აიტ-ის ერთერთი შემადგენელი ნაწილი გახდება ხარისხობრივად (თვისობრივად) ახალი ქვეგანყოფი – მედიათეკა, რაც ფაქტობრივად და შინაარსობრივად სხვა არაფერია, თუ არა ელექტრონული ბიბლიოთეკა.

საინფორმაციო მედიათეკა არის გარემო, სადაც მომხმარებელს შეეძლება კომფორტულად და ეფექტურად გამოიყენოს სხვადასხვა საინფორმაციო რესურსები (ბეჭდური გამოცემები და ფურცლოვანი მასალები, აუდიო- და ვიდეო-მონაცემები, მანქანით / კომპიუტერით / წაკითხვადი ინფორმაცია), რომლებიც იმყოფება, როგორც ამ ბიბლიოთეკაში ასევე მის ფარგლებს გარეთ [2, 3, 4]. საინფორმაციო მედიათეკის კონცეფცია გულისხმობს კომპლექსურ სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს მკითხველთა დარბაზის, არატრადიციული ინფორმაციის მატარებლების ფონდის და ნებისმიერი სახის ინფორმაციის მატარებლების საინფორმაციო ცენტრის ფუნქციას. საინფორმაციო მედიათეკის ყველა კომპიუტერი გაერთიანებულია ლოკალურ ქსელში, რომლის სერვერიც იმყოფება უშუალოდ მედიათეკაში. მედიათეკის სერვერი შეერთებულია ბიბლიოთეკის სერვერთან, რომელიც, თავის მხრივ, შეერთებულია უმაღლესი სასწავლებლის საერთო ქსელში. მას აქვს საკუთარი საიტი და, შესაბამისად, მაღალსიხშირიანი გასასვლელი ინტერნეტში. აქ ფორმირებული რესურსები კომპლექტურ ოპტიკურ დისკზე, აუდიო და ვიდეო-კასეტებზე მისაწვდომია მედიათეკის ყველა მომხმარებლისთვის.

საინფორმაციო მედიათეკის თანამშრომლები იძლევიან საშუალებას, რომ მომხმარებლებმა დამოუკიდებლად მოიძიონ საჭირო საინფორმაციო რესურსი, აწვიან სხვადასხვა გვარის საინფორმაციო მომსახურებას, უწევენ კონსულტირებას მედიათეკაში არსებული მრავალგვარი (მათ შორის ადგილობრივი გენერაციის) რესურსებთან მუშაობისას. მედიათეკაში შეკრებილია ტრადიციული საცნობარო და პერიოდული გამოცემის მასალები, მანქანით კითხვადი მასალების ფართო ასორტიმენტი, მონაცემთა ბაზები (მბ), მრავალფეროვანი აუდიო, ვიდეო და მულტიმედია მონაცემები, რომელთა წვდომა შესაძლებელია როგორც უშუალოდ მედიათეკაში, ასევე, დარბაზში დაყენებული კომპიუტერების მეშვეობით, ინტერნეტშიც.

შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტია მედიათეკის მომხმარებლის მიერ საჭირო საინფორმაციო რესურსის მოძებნის ორგანიზება. ამ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს რამდენიმე ამოცანა. ერთის მხრივ, გარდა ბიბლიოთეკის ფონდების და ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული საქმიანობის საფუძვლების ცოდნისა მედიათეკის თანამშრომელი უნდა კარგად ფლობდეს პერსონალურ კომპიუტერს (პკ), მის სამომხმარებლო პროგრამებს (განსაკუთრებით ბრაუზერებს), შეეძლოს ასწავლოს მათი გამოყენება, ჩაუტაროს კონსულტირება მომხმარებლებს, რათა ამ უკანასკნელებმა შეძლონ, უმეტეს შემთხვევაში, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ საძიებო მოთხოვნის წესი და მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, როგორც ლოკალურ ქსელში ასევე დაშორებულ მონაცემთა ბაზებში.

ამასობაში საკმაოდ იზრდება მათი დატვირთვა, ფართოვდება შტატები, სადაც ემატება აიტ-ის სპეციალისტები (ინჟინრები და ტექნიკოსები, ტექნოლოგები, პროგრამისტები და სხვ.) საჭირო ხდება კომპიუტერული ტექნიკის გაზრდილი პარკის ტექნიკური მომსახურების პრობლემების გადაწყვეტა და ა.შ. ასეთი მომზადებული სპეციალისტების პოვნა პრაქტიკულად ძნელია. ამიტომ, ბიბლიოთეკის დამატებითი ამოცანა ხდება ასეთი სპეციალისტების მომზადება საკუთარი კადრებისაგან, მათი მუდმივი სწავლება აიტ-ის შექმნის და გამოყენების საკითხებში, რათა უკეთ დაკმაყოფილდეს მომხმარებლების გაზრდილი მოთხოვნები. მსგავსი ღონისძიებები, მთლიანად ან ნაწილობრივად, შესაძლოა ჩატარდეს არსებული მედიათეკების ბაზაზე, რომ ეს ხდებოდეს მეტად საგნობრივად და ეფექტურად.

რაც შეეხება ინტერაქტიური ტექნოლოგიების გამოყენების არეალს იგი საგანმანათლებლო სისტემაში დღით-დღე სწრაფი ტემპით იზრდება და განიცდის მუდმივ სრულყოფას. ეს საფუძვლიანი პროცესია, რადგან ინტერაქტიური მოდელების უპირატესობა თვალნათელია, იგი იძლევა მოსწავლისა და მასწავლებლის აქტიური ურთიერთობის და კოლექტიური მუშაობის სტიმულს, მისი გამოყენება

მარტივია, მასთან მუშაობა სახალისო და საინტერესოა; აქვს მულტიმედიაური მოდელების, ტექსტების, გრაფიკების, აუდიო-ვიდეო მასალების, ცხრილების, ტექსტების და სხვ. ფაილების ერთ დანართად გამოყენების მაღალი შესაძლებლობა. გარდა ამისა, ინტერაქტიული მოდელების აპარატურის პროგრამული უზრუნველყოფა თავისი უნივერსალური ბუნების მეშვეობით თავსებადი და ადვილად გამოყენებადია ყველასათვის [5].

სწავლების ინტერაქტიული მოდელის გამოყენება ითვალისწინებს ადამიანის ცხოვრებისეული ბუნების, მის მოღვაწეობაში შექმნილი სიტუაციების მოდელირებას, რაც შეიძლება გამოიხატოს სწავლების პროცესში როლური თამაშების გამოყენებით, რაც აადვილებს პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტის შესაძლებლობას [6].

ინტერაქტიული სწავლება, როგორც ინოვაციური შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა არის დიალოგი, რომელიც მიმდინარეობს მასწავლებელს და მოსწავლეს (პროფესორსა და სტუდენტს) შორის აქტიური ურთიერთობის სქემით, სადაც გამორიცხულია რომელიმე მხარის დომინირება. ცხადია, ასეთი ფორმით ერთობლივ საქმიანობაში სტუდენტების (მოსწავლეების) ჩართვა ნაყოფიერად მოქმედებს მათ ინდივიდუალურ აქტიობაზე, რომელიც არის ლექციის (გაკვეთილის) მასალის ხარისხიანი გაგების და აღქმის პირველი და მნიშვნელოვანი ბიძგი.

მიუხედავად იმისა, რომ ვირტუალური მულტიმედიაური საგანმანათლებლო გარემო სწრაფი ტემპით ვითარდება, მისი დიდაქტიკური პოტენციალი დღეისათვის ბოლომდე გამოვლენილი არ არის და მრავალ ასპექტში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

### დასკვნა

როგორც ვხედავთ, ინტერაქტიურობა შეიცავს შესაძლებლობების ფართო დიაპაზონს, რათა მოახდინოს დადებითი გავლენა სწავლებაზე და ინფორმაციის შინაარსზე. სალექციო მასალის მულტიმედიაური მოდელები ძირითადად ვირტუალური ხასიათის სისტემებია. ასეთი სისტემები, თავიანთი დიზაინითა და ვირტუალურობით ემოციოგენური ხასიათისაა, რისი მეშვეობითაც, სწავლების ტრადიციულ საშუალებებთან შედარებით, ძალზე ეფექტური ქმედებით გამოირჩევა. ამ თვისებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს მულტიმედიაური ვირტუალური გარემოს განსაზღვრისა და ფორმირების მეცნიერული დასაბუთება. საჭიროა, იმ ვექტორის განსაზღვრა, რომლის კოორდინატებშიც მოექცევა მულტიმედიაური ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს ეფექტური, ინტერაქტიული სწავლების ორგანიზებას.

### ლიტერატურა

1. Chapman Nigel, Chapman Jenny. Digital Multimedia. – John Wiley and Sons, LID Chichester, NY, – 2000. – 568 p.
2. Barron Ann E., Orwing Gary W. Multimedia technology for Training: An Introduction. – Englewood, Colorado, 1995. – 207 p.
3. [http://multimediatrainingvideos.com/intro\\_html/Multimedia Training Videos. What is Multimedia Training Videos?](http://multimediatrainingvideos.com/intro_html/Multimedia Training Videos. What is Multimedia Training Videos?)
4. ქევანიშვილი ე. „განათლება ყველასათვის“. იუნესკოს გლობალური მონიტორინგის ანგარიში - თბილისი, 19.10.2012.
5. Didmanidze I., Akhvlediani N., Didmanidze D., Khujadze N. TEACHING OF COMPUTER TECHNOLOGIES. XXXIII international conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCER-TAINTIES (PDMU-2019). ABSTRACTS. January 24 – February 1, 2019, Hurgada, Egypet. p. 33-34.
6. Didmanidze Ibraim, Akhvlediani Neli, Didmanidze Didar, Khujadze Nino. Interactive multimedia tools. XXXV international conference PROBLEMS OF DECISION MAKING UNDER UNCER-TAINTIES (PDMU-2020). ABSTRACTS. May 11-15, 2020, Baku-Sheki, Republic of Azerbaijan. p. 33-34. ISBN 978-617-7828-41-8.

### Structure and area of use of multimedia material

Nino Khujadze

#### Abstract

The development of multimedia tools at the model level is related to both the necessity of its use and its convenient parameters, such as: mobility, functionality, ease of dissemination of the information flow necessary for the implementation of the educational process, reliability, speed, communication and others.

0221 რელიგია და თეოლოგია Religion and Theology

Crisis in Theological Education — Ask a Question

Rev. Dr. Andria Saria

Columbia Theological Seminary(USA)

კოლუმბიის თეოლოგიური სემინარია(აშშ)

E-mail: mamaandriasaria@gmail.com

Saria.Giorgi@ptsem.edu

ORCID: 0009-0005-9351-5867

The article belongs to the field of theological studies:

**Christian Ethics, Educational Studies.**

**Abstract**

Theological education is currently facing a crisis marked by declining applications and school closures. This paper examines the challenges discussed in Ted A. Smith’s *The End of Theological Education* (2023), highlighting how shifting societal values, economic pressures, and evolving religious contexts contribute to this issue. It explores the dynamic nature of Christian ethics and the transformation of knowledge into a commodity, arguing for a renewed focus on curiosity and critical questioning in theological study. To sustain the relevance of religious institutions, the paper calls for a dialogical approach that embraces diverse perspectives and ongoing inquiry.

**Keywords:** Theological Education, Christian Ethics, Knowledge Crisis, Societal Shifts, Curiosity, Dialogical Approach, Religious Institutions.

Religious schools are facing closures, and theological institutes are experiencing a decline in applications. While the situation in other fields remains uncertain, it is clear that theological education is facing significant challenges and conflicts. This crisis can be attributed to shifting priorities over the centuries, influenced by various factors including economic pressures, religious transformations, and pragmatic considerations. “*The End of Theological Education*” by Ted A. Smith discusses how changes in societal priorities and economic pressures impact theological institutions, providing a nuanced understanding of the current crisis in theological education (2023).

Christian ethics is the study of morals and practices guided by the life, ministry, and teachings of Jesus. This field of study is dynamic and varied, reflecting how people in specific historical contexts understand their faith in relation to the unfolding world around them, with its scientific discoveries, cultural shifts, political movements, and ecological changes. Christian ethics is inherently a process of interaction and conflict, as it involves navigating differences in interpretation and application of Scripture, authority, and moral discernment. This dynamic process invites us to engage deeply with the complexities of faith and morality, encouraging a multiplicity of perspectives that enrich our understanding of what it means to live ethically as Christians (Marshall, 2018).

In contemporary society, knowledge has transformed from a pursuit of intellectual inquiry into a commodity that is integral to business and economic growth. As financial resources become concentrated in areas of high market demand, the value and perception of knowledge have shifted accordingly. This shift raises several critical questions: What constitutes knowledge in today’s world? How do we comprehend its importance, and what steps are necessary to deepen our understanding?

To address these questions, we can consider the guiding principles found in the life, ministry, and teachings of Jesus. How do we interpret and understand these teachings? This inquiry varies widely depending on individual perspectives and cultural contexts. How do I understand them? How do you? How did our great-grandparents interpret them? How might someone in Bolivia, Georgia, Baltimore, or Berlin perceive them? (Marshall, 2018).

These questions highlight the diverse approaches to Scripture and underscore the importance of context in shaping our understanding of religious teachings. Such diversity in interpretation enriches our collective comprehension and encourages dialogue across different perspectives. Engaging with these varied approaches invites us to explore and appreciate the multiplicity of ways in which knowledge, particularly theological knowledge, can be understood and applied.

My approach will focus on Christian knowledge and its role in shaping a lifestyle that reflects the unique aspects of human existence. By connecting knowledge with religion, specifically Christianity, we can explore its profound significance. Unlike any other being in the universe, humans are distinguished by their capacity to question their existence. No deity, animal, plant, or other entity questions existence; for them, it is a given, marked by a cyclical routine and repetition.

Humans, however, are dynamic beings characterized by their desire for growth and development. This drive for understanding sets us apart as discontented creatures, always seeking more. Philosopher Ilia Miniatis offers a thought-provoking perspective: when considering why God did not create humans on the first day, he humorously suggests that humans, with their inherent curiosity, began teaching God, proposing, “Let’s create it together in this way and in another way.” (2007). This reflects the uniquely inquisitive nature of humanity, highlighting our role as active participants in the ongoing creation and understanding of the world. To truly comprehend the essence of God and engage in meaningful inquiry, the Word and knowledge must be born within us. This inner awakening enables us to understand what it means to participate in creative engagement, akin to the divine. It is through the Incarnation that we gain the tools necessary to reflect deeply on the significance of being made in the image of God (McFarland, 2005).

Humans are inherently curious and restless beings, and much of human knowledge is driven by this sense of dissatisfaction. We are naturally drawn to explore the meaning of life, yet the vastness of knowledge is such that it cannot be fully exhausted. This is why Socrates famously said, “I know that I know nothing.” This perspective reflects a healthy attitude toward knowledge: an acknowledgment of our own limitations and a commitment to lifelong learning. It is not a statement of despair at never knowing enough, but rather an invitation to continually seek more. This recognition of what we do not know is something divine within humanity.

Knowledge begins with wonder, admiration, and the passion of curiosity (Cahalan, 2017). A person must be intrigued and captivated by the unknown to embark on the pursuit of understanding. In theology, this journey begins with spiritual astonishment and continues with even greater awe, highlighting that it is a never-ending process. While reading a book can provide some knowledge, the entirety of knowledge is neither exhaustive nor complete. Complacency is akin to stagnation, whereas an insatiable desire for knowledge is vital for growth.

There is a peril in becoming complacent and losing interest, akin to a form of intellectual death. In the Gospel of Matthew, Jesus says, “Let the little children come to me, and do not hinder them, for the kingdom of heaven belongs to such as these” (Matthew 19:14). These words can be interpreted in many ways, but one interpretation is that to be like a child means to retain a sense of wonder and curiosity about the world, always ready to ask questions and be intrigued by the mysteries around us.

We live in a world full of surprising events – pandemics, wars, hardships, and unemployment – that should provoke our curiosity and lead us to ask difficult questions. To be like a child means to nurture this innate curiosity continuously, which can transform us throughout our lives. For children, a week can feel like an entire era because they encounter new and intriguing things every day. For adults, if this sense of wonder fades, interest in knowledge diminishes, and time seems to pass quickly without meaning. By rekindling our sense of wonder, we can relive the vitality of our childhood curiosity.

Curiosity is not something that can be purchased or obtained through special tools; it is a gift, a profound interest that places us inside the experience of discovery. The Latin root of the word “interest,” *inter esse*, means “to be within.” If our interest in religious knowledge wanes, and the desire to learn about the supernatural world fades, then pragmatic thoughts alone will fill our minds. In such a scenario, the theological seminary, the church, and even the concept of God could lose their significance. Religious rituals would lose their meaning if we no longer ask, “Who is God, and what is the importance of God’s presence in my life?”

As long as we can engage people with these essential questions, the church will continue to thrive. Sustaining this curiosity and interest in the profound mysteries of life is crucial for the enduring relevance of religious institutions.

Christian theologians and pastors are entrusted with the responsibility and privilege of pursuing religious knowledge. It is their role to inspire and assist others in cultivating their own understanding (Maguire, 2024). The Gospel of Matthew contains a profound teaching: “Whoever has will be given more, and they will have an abundance. Whoever does not have, even what they have will be taken from them” (Matthew 13:12). This passage highlights the importance of actively developing the knowledge inherent in each of us and striving for more. Knowledge is infinite, while we are finite beings.

When our hearts are devoted to seeking the infinite, this desire remains alive and vibrant within us. However, if we cease to be interested in learning and growth, even the knowledge we have will diminish. Without appreciation and active engagement, knowledge can fade, becoming inert within us. We may possess vast amounts of information, but if we do not care or engage with it, that knowledge becomes lifeless.

In this way, the pursuit of knowledge is a continuous journey, requiring both commitment and curiosity. As we actively engage with the world around us and with the divine, we nurture the desire for understanding and ensure that our knowledge remains dynamic and alive.

For theology to remain relevant, a culture of dialogue and an openness to challenges are essential. A dialogical culture recognizes that neither I nor you possess the entire truth, but together, we can seek the path to understanding. The pursuit of knowledge itself is a quest for truth.

To nurture this pursuit, we must break free from routine and approach learning with the curiosity of a child, asking questions and exploring new ideas. Without this engagement, we risk becoming complacent and losing interest in existential matters. The current lack of interest in studying theology may stem from our failure to raise meaningful questions and adequately motivate the next generation (Parker, 2022).

In contemporary theology, fragmentation is often perceived due to theologians presenting divergent perspectives rather than a unified front. However, the emphasis should not solely be on the differences in their ideas but rather on the scale and depth of their intellectual engagement. For instance, while Karl Barth and Marcella Althaus-Reid may hold divergent views, both have dedicated their lives to exploring and analyzing theological issues. Their commitment to cultivating thought exemplifies their *modus vivendi*, or way of life. Theology encompasses a multitude of questions, as Ian A. McFarland notes: “The category of the divine image has occupied an important place in theological anthropology from the second century and continues to serve as the framework for a good deal of contemporary Christian reflection on human being. While the content of the divine image remains a matter of debate...” (2005, 1) The evolution of opinion among theologians over time is a natural aspect of the pursuit of knowledge. For instance, Karl Barth revised his understanding of the Trinity in his later work. Initially, Barth dismissed the use of creation to describe the Trinity as a dangerous distraction that did not contribute meaningfully to the knowledge of God. This shift illustrates the importance of embracing thought, change, and adaptation. Knowledge fosters growth, dynamism, and transformation.

The evolution of theological opinions over time is a natural facet of the pursuit of knowledge. For example, Karl Barth’s later work revealed a shift in his understanding of the Trinity. Initially, Barth criticized the use of creation as a framework for understanding the Trinity, viewing it as a potential distraction that did not advance the knowledge of God. This evolution underscores the value of embracing change, intellectual flexibility, and development within theological inquiry.

We should aim to see humanity not merely as a series of situations but as a complex task involving the discovery of knowledge structures. Life is indeed worthy of immortality, and being human involves embracing the ongoing quest for understanding (Souled, 2011).

Finally, individuals should focus on what lies within their power and responsibility, rather than concerning themselves with matters beyond their control. In theological education, this perspective should serve as a guiding principle. We must strive to provide students with a platform for inquiry and free thought, acting as facilitators of their intellectual growth. By doing so, we offer a form of intellectual and spiritual therapy, empowering students to explore and engage deeply with theological questions.

### References

1. Cahalan, F. (2017). Integrating work in theological education (1st ed.). Pickwick Publications. 1-268.
2. Maguire, A., & Miller, H. (2024). The professional christian or the christian professional? assessing spiritual formation in theological education. Religion & Education, 51(1-2), 156-175.
3. Marshall, E. O. (2018). Introduction to christian ethics: Conflict, faith, and human life (First;1; ed.). Westminster John Knox Press. 9-12.
4. Miniatis, Ilia (2007). Homily on the Judgment, Sermons, Tbilisi. 8.
5. McFarland, Ian, The divine image: Envisioning the invisible god (2005). . Fortress Press. 1-6.
6. Parker, E. (2022). Trust in theological education: Deconstructing "trustworthiness" for a pedagogy of liberation (1st ed.). SCM Press. 1-135.
7. Smith, T. A. (2023). The end of theological education (1st ed.). William B. Eerdmans Publishing Company. 22-78.
8. Soulen, R. K. (2011). Part one A threefold cord: The name of the trinity in christian tradition. The divine name(s) and the holy trinity, volume one. Westminster John Knox Press. 122-134.

### კრიზისი თეოლოგიის სწავლებაში – დასვი შეკითხვა

მამა ანდრია (გიორგი) სარია

#### რეფერატი

სასულიერო განათლება ამჟამად კრიზისის წინაშე დგას, რაც გამოიხატება აპლიკანტების შემცირებასა და სემინარიების დახურვაში. ეს ნაშრომი განიხილავს ტედ ა. სმიტის წიგნს "სასულიერო განათლების დასასრული" (2023). ასევე გამახვილებულია ყურადღება გამოწვევებზე და ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ უწყობს ხელს ამ საკითხს სოციალური ღირებულებების შეცვლა, ეკონომიკური ზეწოლა და რელიგიური კონტექსტის ფორმირება. ნაშრომი იკვლევს ქრისტიანული ეთიკის დინამიურ ბუნებას და ცოდნის სუბიექტად გარდაქმნას, ამტკიცებს ცნობისმოყვარეობისა და კრიტიკული კითხვის განახლებას და ახლებური მიდგომის აუცილებლობას სასულიერო კვლევებში. რელიგიური ინსტიტუტების რელევანტურობის შესანარჩუნებლად ნაშრომი ითხოვს დიალოგურ მიდგომას, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან პერსპექტივებს და მუდმივ გამოძიებას.

**საკვანძო სიტყვები:** სასულიერო განათლება, ქრისტიანული ეთიკა, ცოდნის კრიზისი, საზოგადოებრივი ძვრები, ცნობისმოყვარეობა, დიალოგური მიდგომა, რელიგიური ინსტიტუტები.

0222 ისტორია და არქეოლოგია History and Archaeology

მარადიდი

მერაბ მეგრელიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Batumi Shota Rustaveli State University  
E-mail: merab.megrelishvili@mail.ru

იბრაიმ დიდმანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Batumi Shota Rustaveli State University  
E-mail: ibraimd@mail.ru

რეფერატი

მარადიდი საქართველოს საზღვრისპირა, მთებით გარშემორტყმულ ნაოსნობის უძველეს კერას წარმოადგენს. მარადიდის, როგორც ნავმშენებლობის ტრადიციის მქონე მხარის შესახებ ნიკო მარი მიანიშნებს ნაშრომში „მოგზაურობიდან თურქეთის ლაზეთში“.

ყარსის ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთიდან მომავალი მენავეები თავისუფლად მგზავრობდნენ და ეზიდებოდნენ ტვირთს კაპანდიბამდე და თვით ბათომამდეც კი. მარადიდი ბუნებრივი, სამკურნალო წყლებით მდიდარი სოფელია. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში აჭარის ოლქის ექიმმა ჟილინსკიმ გონიის მხარის სოფელ მარადიდში აღმოაჩინა მჟავე წყალი, რომელიც მიწიდან ამოდიოდა ცერის სიმსხოდ და იგი ზელცერის წყლებს არ ჩამოუარდებოდა. 1884 წელს სოფელ მარადიდში იხსნება პირველი დაწყებითი სკოლა. მარადიდში გაშენებული იყო ჩაის, თამბაქოს, სიმინდის, ყურძნის, დაფნის და სხვა სასოფლო სამეურნეო კულტურები. სოფელ მარადიდს მდიდარი შრომითი და საბრძოლო ტრადიციები გააჩნია. სტატიაში საარქივო დიკუმენტური მასალის საფუძველზე წარმოჩენილია ერთი სოფლის ისტორია.

”შენი ჭერის სიმაღლისთვის  
მარადიდში ვხლიჩავ ყავარს“  
ზურაბ გორგილაძე

მარადიდი საქართველოს საზღვრისპირა, მთებით გარშემორტყმულ ნაოსნობის უძველეს კერას წარმოადგენს. მარადიდის, როგორც ნავმშენებლობის ტრადიციის მქონე მხარის შესახებ ნიკო მარი მიანიშნებს ნაშრომში „მოგზაურობიდან თურქეთის ლაზეთში“.

ყარსის ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთიდან მომავალი მენავეები თავისუფლად მგზავრობდნენ და ეზიდებოდნენ ტვირთს კაპანდიბამდე და თვით ბათომამდეც კი. მარადიდის მცხოვრებნი, პროფესიონალი მენავეები ალი დიდმანიძე, ილია დიასამიძე, ცნობილნი იყვნენ, როგორც ბრტყელძირა ნავების მშენებელი ოსტატები. მენავეები მოკლებულნი იყვნენ სარგებელს და შემოსავალს თავისი ხელობიდან, რადგან ისინი აქედან ოსმალეთში გამგზავრებულნი, 15 ვერსის მანძილის ფარგლებში ტიტველი მთების მეტს ვერა-რას მიაღწევდნენ და ქალაქში ჩასვლის უფლება კი მათ არ ჰქონდათ და ამიტომაც ისინი უკმაყოფილებას გამოხატავდნენ და მოითხოვდნენ, რომ ოსმალეთის საზღვრიდან გადმოსული მენავეებისთვის აეკრძალათ ქვედა მარადიდის თემის აქეთ წამოსვლა და იქვე გადმოეტვირთათ ჩამოტანილი საქონელი მათ ნავებში, კაბანდიბსა ან ბათუმში წასაღებად, სადაც პატრონები მოითხოვდნენ ან და თუ ის მოუხერხებელი იქნებოდა, მაშინ აჭარაში მცხოვრებ მენავეებს მიცემოდათ შესვლის უფლება ქალაქებში, ართვინში, ბორჩხაში და სხვა ადგილებში. ამავე ხელშეკრულების თანახმად საზღვრიდან 15 ვერსის მანძილზე მცხოვრებნი აჭარელი მენავეები, რომელთაც ხშირად უხდებოდათ დადებული ხელშეკრულების წესით საზღვარზე გადასვლა, იქით მხარეზე დარჩენილნი, განთავისუფლებულიყვნენ სხვადასხვა ვალდებულებებისგან, კერძოდ ისინი ვალდებულნი იყვნენ მესაზღვრეებისთვის წარედგინათ ნებართვა ზედ დაკრული ორი სურათით, რომლის გარეშე საზღვარზე გადასვლა შეუძლებელი იყო. ეს უკანასკნელი კი იწვევდა სრულიად უკანონო ხარჯებს და დროის დაკარგვას, რადგან სურათის გადასაღებად ისინი უნდა ჩასულიყვნენ ბათუმში. მარადიდელების ძირითად შემოსავალს ნაოსნობა და ფიზიკური შრომის შედეგად აღებული მოსავლის ოსმალეთში გატანა იყო. 1921 წლის შემდეგ, როცა დადგინდა საზღვრები თურქეთსა და

აჭარას შორის, ადგილობრივ მცხოვრებლებს აკრძალათ ვაჭრობის უფლება. საბჭოთა მესაზღვრეები ოსმალეთიდან უნებართვოდ გადმოტანილი საქონლისთვის ადგილობრივ მცხოვრებლებს აჯარიმებდნენ. აჭარის ხელისუფლებამ მიიღო კანონი კონტრაბანდის შესახებ, რომელიც ზღუდავდა ვაჭრობას აჭარასა და თურქეთს შორის [ასს. ფ. 3-1, ან. 1, ს. 385 ფურც. 23].

მარადიდი ბუნებრივი, სამკურნალო წყლებით მდიდარი სოფელია. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში აჭარის ოლქის ექიმმა ჟილინსკიმ გონიის მაზრის სოფელ მარადიდში აღმოაჩინა მჟავე წყალი, რომელიც მიწიდან ამოდიოდა ცერის სიმსხოდ, ზელცერის წყლებს არ ჩამოუარდებოდა და დასუსტებული კაცისთვის ძლიერ მარგებელი იყო. 1884 წელს „დროება“ (N167) იუწყებოდა, რომ ეს წყლები ბათუმიდან 30 ვერსზეა, ჭოროხის სანაპიროზე, სოფელ ცოცხებთან ახლოს. სამკურნალო წყალი მოჩუხჩუხებდა ქვებიდან და სადაც გაივლიდა, იქ ქვებზე რკინის ჟანგის ფერს ტოვებდა. მარადიდის სამკურნალო წყალს ამსგავსებდნენ ყაზბეგის მთის ძირას მოჩუხჩუხე კობის მჟავე წყალს. ამავე ექიმს შავშეთისა და ერუშეთის მთებს შუა მდებარე კარჩხალის მთის ძირში აღმოუჩინა სამკურნალო წყალი, სახელად „ბაგინი“. აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი ეს წყალი ამავე მთის ძირში ერთვოდა ჭოროხს. ამავე წყლის სათავედან გამოდიოდა ერთი აბანოს წყალი „ოთინგო“, რომელიც ორი ადლის მანძილზე 27 გრადუსს აღწევდა. ექიმი ჟილინსკი აღნიშნავდა, რომ ეს წყლები სხვადასხვა ავადმყოფობის სამკურნალო საშუალება და მადის აღმძვრელი იყო. აბანოს წყალი მდებარეობდა ბათუმიდან 65 ვერსზე და ეს გეოგრაფიული სივრცე სრულიად სწორი და ვაკე ადგილით შემოიფარგლებოდა. მარადიდის უბნის უფროსს მაიორ ახმედ ხალვაშს აბანომდე გზა გაუყვანია. გზის კეთების დროს გონიოს ხეობაში, მიუვალ ტყეში, მას აღმოუჩინა ცხელი წყალი და მასთან ახლოს ძველი ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა თამარის საყდრის სახელით მოიხსენიებდა. ეკლესია განთავსებული იყო 6 ვერსის მანძილზე თამარ დედოფლის სასახლიდან, რომელიც კარჩხალის მთების კალთებიდან გადმოჰყურებდა სოფელს. ეკლესია ჟამთა ვითარებას დაუნგრევია და მხოლოდ კედლები შემორჩა.

სოფელ მარადიდის მშენებლობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ახმედ ხალვაშის ოჯახს. 1884 წელს სოფელ მარადიდში იხსნება პირველი დაწყებითი სკოლა. გონიოს უბნის უფროსმა გუბერნატორს გადასცა ხალხის სურვილი სკოლის დაარსების შესახებ. მარადიდის მცხოვრებნი მოითხოვდნენ საღვთო სჯულის, ქართული და რუსული ენების მცოდნე მასწავლებლებს. ამავე პერიოდში საფუძველი ეყრება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადებას. საღვთო სჯულის მასწავლებელს უხდიდნენ 150 მანეთს, ხოლო ქართულის და რუსულის ენის მასწავლებელს 300 მანეთს. მათ უფასოდ ეძლეოდათ სახლი, შეშა და სანთელი. ქუთაისის საერო სკოლების დირექციამ მარადიდში დანიშნა მასწავლებლად ბ.პეტროვი, რომელიც ანტიქართულ, ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. 1886 წლის 8 მარტს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა, რომ ბ. პეტროვის დიდი მცდელობის მიუხედავად, მარადიდლები სახლშიც და გარეთაც მომეტებულ ნაწილად სულ ქართულად ლაპარაკობდნენ, ან რა არის ამაში გასაკვირი, რომ ძველმა მესხებმა ქართულად ილაპარაკონ [ასს. ფ. ი-82, ან. 1, ს. 27 გაზეთი ივერია].

1918 წლის 22 იანვარს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ბათუმში გააგზავნა დელეგაცია, რომელსაც სოფელ მარადიდში უნდა გაეხსნა საოსტატო სემინარია, ამავე დელეგაციამ დაათვალიერა სოფელ მარადიდის ქალაქთა კავშირის საავადმყოფო, ბათუმის თვითმმართველობას განზრახული ჰქონდა მისი დახურვა, რასაც წინ აღუდგა მარადიდის მოსახლეობა. პირველი ცნობით, ვიდრე საქართველოს ეროვნული საბჭო სახელმწიფოებრივი უფლებით აღიჭურვებოდა და ხალხის ჯანმრთელობაზე თვით იზრუნებდა, მანამ მარადიდის საავადმყოფოს ხარჯები და ხელმძღვანელობა დაეკისრა საქველმოქმედო საზოგადოებას [ასს.ფ.ი-82,ან.1,ს.18,ფ.129]. მარადიდის საავადმყოფო ემსახურებოდა კირნათის და მარადიდის მოსახლეობას. ამ ორი სოფლის ჯანმრთელობის კერის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის აჭარის დამსახურებულ ექიმს როლანდ დიდმანიძეს. მარადიდში პირველდაწყებითი სკოლის დაარსებიდან 140 წელი გავიდა. აჭარაში პირველ ქართულ სკოლას მდიდარი სასწავლო-საგანმანათლებლო ტრადიციები გააჩნია, რომლის სათავეებთან ღვაწლმოსილი პედაგოგები იდგნენ.

1921 წლის 8 დეკემბერს წითელი მეჯლისის (თავმჯდომარე თახსიმ ხიმშიაშვილი, მდივანი ოსმან მოწყობილი) დადგენილების საფუძველზე აჭარის წყლის მიმდებარე ტერიტორიაზე დაარსებული იქნა 2 რაიონი, დოლოგანი და ქვემო მარადიდი.



მარადიდის თემში 1923 წელს შედიოდა შემდეგი სოფლები:

ქვემო მარადიდი	კომლი 22
ძაბლავეთი	14
მირვეთი	9
ბრეკეთი, პაპალავეთი	9
კეთიეთი	9
ჭაკნარეთი	14
ჯლილიფეთი	12
ბალაბანა ქედი	8
ბერბნევი	13
კათახზია	12
გიდრევეთი	7
მერკოვეთი	6
კაბრელაკარი	2
ბელლევანი	17
სუჯუნა	7
სერუჩა	8
ოდორდია	14
ნეძია	4
ხინშკანა	14
ოღლაური	14
რება	19
ქერტაში	4
გორკაული	5
შუბანი	15
ჭინკური	9
ზედუბანი	9
კინცხურეთი, ბაშკლი	6

1923წელი – აჭარის ადმინისტრაციული დაწესებულებების და აჭარის მაზრების, თემებისა და სოფლების დასახელებათა სიები, მცხოვრებთა რიცხვის ჩვენებით [ასს. ფ. რ-77, ან. 1ა, ს. 20 ფურც. 48].

აჭარის მდინარეები ყოფდნენ რეგიონს მრავალ ნაწილად და ქმნიდნენ დასახლებულ ფართო და ღრმა ხეობებს. მდინარეთა სანაპიროების ჩამორეცხვა და მასთან არსებული დაბლობების სიმცირე, მოსახლეობას აიძულებდა დასახლებულიყვნენ მთაგრეხილზე. ადგილობრივი მკაცრი პირობების და უგზოობის გამო მოსახლეობა სოფლიდან რაიონში ფეხით გადაადგილდებოდა. გამონაკლისს შემთხვევაში ისინი იყენებდნენ სამხედრო დანიშნულების ბილიკებს, რომელსაც წმინდა სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. ასეთი გეოგრაფიული მდებარეობის არის, მოსაზღვრე თურქეთთან მთებით გარშემორტყმული, ვაკე ადგილზე, მდინარის პირას გაშენებული სოფელი მარადიდი. დღეს, მდინარის წყალზე არსებული ჰიდროელექტროსადგური საფრთხეს უქმნის სოფლის ხვალისდელ დღეს.

გზების უქონლობა უარყოფითათ მოქმედებდა რეგიონის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. მოსახლეობა ვერ ახერხებდა ქალაქში ჩასვლას და მისი შრომით მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვას. ამ და სხვა მიზეზების გამო აჭარაში ჯერ კიდევ 1884 წელს დაიწყო გზების და ხიდების მშენებლობა. განსაზღვრებამდე 37 წლის განმავლობაში აშენდა 150 ვერსის გზა (ბათუმი გოდერძის უღელტეხილი 118 ვერსი, აჭარისწყალი-მარადიდი 6 ვერსი, ბათუმი-ქობულეთი 26

ვერსი) განსაზღვრავდა გზებზე დახარჯული იქნა 3. 760. 000 მან. 1926-1929 წლებში აჭარაში გაიყვანეს ახალი გზები, მათ შორის მარადიდი-კირნათის საავტომობილო გზა. მარადიდი, შრომითი ტრადიციებით მდიდარი სოფელია. მარადიდში გაშენებული არის ჩაის, თამბაქოს, სიმინდის, ყურძნის, დაფნის და სხვა სასოფლო სამეურნეო კულტურები.

განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო მეოცე საუკუნის 40-იან წლებში მარადიდში გაშენებული კანაფის კულტურა. მოგეხსენებათ, არსებობს 2 სახის კანაფი, ტექნიკური და ფარმაცევტული. ტექნიკური სახის კანაფი დღესაც მოჰყავთ ბრიანსკის მხარეში. მისგან გამოჰყავთ მაღალი ხარისხის ზეთი. 1934 წელს მარადიდში იყო ჩუღქის საქსოვი ფაბრიკა, 1921 წლის 8 ოქტომბერს მიღებული იქნა კანონი „საქართველო ოსმალეთის საზღვრებში არსებული სამოვრების შესახებ“. აღნიშნული კანონის მეორე მუხლით ოსმალეთში მცხოვრებს შეეძლო ესარგებლა საქართველოს ფარგლებში არსებული სამოვრებით, რომლებიც ბათუმის ყოფილი ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებში და ოზურგეთის, ახალციხის და ახალქალაქის ყოფილ მაზრებში ადგილმდებარეობდა. ხოლო მე-3 მუხლით საქართველოში მცხოვრებს შეეძლო ესარგებლა ოსმალეთში არსებული იმ სამოვრებით, რომლებიც მდებარეობდნენ არდაგანის, ართვინის და ყარსის საზღვრებში. მწყემსებს უფლება ჰქონდათ ეტარებინათ ბერძანები, უვაზო ყუთით. 1924 წლის ყარსის კონვენციით საქართველოს მოქალაქეებს ეძლეოდათ უფლება 21 დღის ვადით გაეყვანათ საქონელი სამოვარზე. ყარსის ხელშეკრულების თანახმად აჭარის მცხოვრებლებს თურქეთში გადაჰყავდათ საქონელი შემდეგი რაოდენობით: მსხვილფეხა 3. 500 სულამდე, წვრილფეხა 30. 000, ცხენები და სხვა 600. 1931 წლის 12 მაისიდან ბათუმის მესაზღვრეთა რაზმის თანხმობის საფუძველზე მარადიდის თემიდან შემთურები გადადიოდნენ თურქეთის საზღვრულ სამოვრებზე, ყოველ სულ საქონელზე დაწესებული იყო გადასახადი. მწყემსებისთვის შემდეგი სახის გადასახადები იყო: „აგნამ ჩემსი“ (გადასახადი ცხვრის ჯოგზე) „აშარი“ - თითო სულ საქონელზე 3-5 ლირამდე. აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მარადიდის თემიდან ეძლეოდა ინფორმაცია სამოვრების რაოდენობის, პირუტყვის სახეობის შესახებ. ცნობები საჭირო იყო სამოვრების პასპორტიზაციისთვის [ასს. ფ. რ-84, ან. 1, ს. 361 ფურც. 38].

1930 წელს შეიქმნა მარადიდის კოლმეურნეობა სახელწოდებით „ჭოროხი“. 1936 წლის 5 იანვარს მას ეწოდა ბუდიონის სახელობის მარადიდის სასოფლო-სამეურნეო არტელი, ხოლო 1957 წლის 2 დეკემბრიდან სოფელ მარადიდის კოლმეურნეობა. 1957 წლის 23 აგვისტოს მარადიდის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ჩაის, თამბაქოს და სიმინდის გეგმა. სოფლის კეთილმოწყობის მიზნით 1958 წლის აპრილში დასრულდა სოფლის მთლიანი ელექტროფიკაცია და რადიოფიცირება. ასევე გაყვანილი იქნა ბათუმი-მარადიდი-კირნათის საავტომობილო გზა და დასრულდა მარადიდის ხიდის მშენებლობა. წლების განმავლობაში მარადიდის კოლმეურნეობას სათავეში ედგა სამეურნეო დარგის გამოცდილი სპეციალისტი შოთა ისაყის ძე დიდმანიძე, რომელიც 1994 წელს მეორედ აირჩიეს აღნიშნულ თანამდებობაზე.

წინაპრების ხსოვნისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად მარადიდის კოლმეურნეობასთან შექმნილი იყო საფლავების მოვლა-პატრონობის კომისია ი. დიდმანიძის, ილია დიასამიძის, ალი ლომაძის შემადგენლობით. ამავე პერიოდში შეიქმნა ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომლის წევრები იყვნენ დიდმანიძე ილია საიდის ძე, ლომაძე ოსმან ხასანის ძე, მუთიძე ჯემალ ხასანის ძე, ჩერქეზიშვილი ხატიჯე ჯემალის ასული, ლომაძე გულვარდი რიზას ასული. კოლექტივიზაციის მკაცრი ხელი მარადიდელებსაც შეეხო. 1941 წლის 16 იანვარს სოფელ მარადიდის სასოფლო სამეურნეო არტელის წევრთა კრებამ კოლმეურნეობიდან გარიცხა მეხზე ალის ძე კარალიძე და ალი მემედის ძე მეგრელიძე მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ასრულებდნენ კერძო სამუშაოებს და დღეში შოულობდნენ 100 მანეთს, ხოლო კოლმეურნეობიდან იღებდნენ 50 კაპიკს. კლასობრივი მტრის სახეს წარმოადგენდა მდიდარი გლეხი, ე.წ. კულაკი. კოლექტივიზაციის წლებში ბრძოლა გამოუცხადეს ადამიანის უზენაეს უფლებას კერძო საკუთრებაზე. 1935 წლის 21 აგვისტოს ქვედა მარადიდის „ჭოროხის“ კოლმეურნეობამ განიხილა იზეთ ღომიძის (უწოდეს „გამქვეველი“) „უძრავ-მომრავი“ ქონების ჩაბარების საკითხი. იზეთ ღომიძის ქონება გადასცეს კოლმეურნეობის ყველა წევრს, როგორც საკუთარი ქონება და მისი დაცვა პატრონობა დაევალა მემედ ჩოთრაძეს. 1937 წლის 30 აპრილს მარადიდის კოლმეურნეობის კრებამ მიიღო დადგენილება საზღვარგარეთ გაქცეული ხალხის მიწების აზომვის, დანომრვის და კოლმეურნეობისთვის გადაცემის შესახებ [ასს. ფ. რ-698, ან. 1, ს. 12, ფურც. 27].

1951-1953 წლების პოლიტიკურ რეპრესიებს ვერც სოფელი მარადიდი გადაურჩა. 1951 წლის 26 დეკემბერს სისხლიანი რეპრესიების მსხვერპლი გახდა ბათუმის რაიონის სოფელ მარადიდის მცხოვრები შუქრი ხაჯის ძე ლომიძეს ოჯახი, რომელიც გადასახლებული იქნა თავის ცოლშვილთან ერთად უცხოეთში. როგორც დაწესებული იყო აღნიშნული პიროვნების ქონებას, როგორც მოძრავს, ისე უძრავს გაუკეთეს კონფისკაცია. მიუხედავად ამისა სპეც-გასახლებაში მყოფი შუქრი ლომიძის საკუთრებაში არსებული ერთი ტონა სიმინდი, ერთი ძროხა, ერთი დეკეული და ოთხი ცხვარი აღწერის გარეშე იქნა დატოვებული და რეალიზებული ფულადი თანხა კი მისმა მეგობრებმა გაუზავნეს სპეც-გასახლებაში მყოფ შუქრი ლომიძეს. ამის საფუძველზე სოფელ მარადიდის მცხოვრები ხასან ოსმანის ძე ლომიძე აღიარეს ბოროტი საქმის ჩამდენ პიროვნებად და მას წაუყენეს ბრალდება. ამის შესახებ იცოდნენ კირნათის სასოფლო საბჭოს და მარადიდის კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა, მაგრამ მის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიიღეს. ზემოთ აღნიშნული საქმის ყველა მონაწილე დასაჯეს. საარქივო დოკუმენტებში წარმოჩენილია ქვეყანაში იმ დროს არსებული პოლიტიკური ვითარება, რომელსაც ეწირებოდნენ ადამიანები, მათი იჯახები, მათი ქონება [ასს.ფ. პ-7,ან.10,ს.90,ფურც.2].

სოფელ მარადიდს მდიდარი საბრძოლო ტრადიციები გააჩნია. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის თურქეთში მოქმედ ქართულ ლეგიონს, რომელიც 1914 წლის დამლევს შეიქმნა ტრაპიზონში, პეტრე სურგულაძის ინიციატივით. პირველად იგი აერთიანებდა 400 მეზრძოლს. ევროპაში დიდად აფასებდნენ ქართული ლეგიონის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ სამშობლოს განთავისუფლებისთვის. ქართული ლეგიონის ერთ-ერთი მეზრძოლი ოფიცერი იყო მარადიდელი შუქრი ხალვაში, ჩინით პოლიციის პროპორშჩიკი. თურქეთის მიერ ბათუმის ოლქის დაკავების შემდეგ იგი ოჯახთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად რიზეში [ასს. ფ. ი-1 ან.1, ს. 765. ფურც. 45]. ამასთან ერთად შუქრი ხალვაში ხელმძღვანელობდა ლტოლვილებს ტრაპიზონში.

მენშევიკური საქართველოს სამხედრო წარმომადგენელი ქალაქ ბათუმში გენერალური შტაბის პოლკოვნიკი გედევანოვი, 1919 წლის 8 თებერვალს ბათუმის ოლქის სამხედრო გენერალ-გუბერნატორისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ თებერვლის 5 რიცხვში, სოფელ მარადიდში სამოქალაქო ხელისუფლებამ უკანონოდ დააპატიმრა საქართველოს არმიის ოფიცერი აბაშიძე, რომელიც ჩამოსული იყო მშობლების სანახავად [აჭარის მხარეთცოდნეობის მუზეუმი,ფონდი 466, ფურც.28]. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი საქართველოს მთავრობას სთხოვდა მის დაუყონებლივ გაწვევას ბათუმიდან.

1941 წელს სოფელ მარადიდის მკვიდრი ხასან ალის ძე დიდმანიძე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. იგი იბრძოდა ყირიმის ოლქის ტერიტორიაზე, პერეკოპის მიმართულებით. 1941 წლის ოქტომბერში დივიზია გერმანელთა ალყაში მოექცა. დივიზიის მეთაურის ბრძანებით მეომრების პარტილეტები შეაგროვეს და დაწვეს. 1941 წლის ოქტომბრის ბოლოდან ხასან დიდმანიძე იყო ტყვედ ქალაქ ნიკოლაევსკში. 1942 წლის მაისში იგი გადმოიყვანეს ყირიმის ოლქის სარაბუსის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც დაჰყო ერთი წელი.ხასან დიდმანიძე მძიმედ დაავადდა და 3 თვე იწვა სიმფეროპოლის სავადმყოფოში. 1944 წლის იანვარში იგი გაიქცა საკონცენტრაციო ბანაკიდან და შეუერთდა საბრძოლველად პარტიზანთა რაზმს, ხოლო 1944 წლის 10-11 აპრილს ქალაქ ფეოდოსიაში შემოსულ საბჭოთა არმიის ნაწილებს. ომის დამთავრების შემდეგ მას გაუხსენეს პარტილეტის დაწვის ფაქტი და ისევ გაამწესეს მოსკოვის ოლქის ქალაქ სტალინოგორსკის სამხედრო ბანაკში. 1960 წელს სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო ხასან დიდმანიძე და იგი აღადგინეს პარტიის რიგებში. ხასან დიდმანიძე დაუბრუნდა სოფელ მარადიდს და ის წლების განმავლობაში მუშაობდა მარადიდის სასოფლო-სამეურნეო არტელში სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე [ასს.ფ. პ-1,ან.11,ს.405,ფურც.2].

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება მაჭახელში დამზადებული საუკეთესო ხარისხის თოფი და ხანჯალი. 1881 წელს მარადიდის გავლენიან პირს, მაიორ ახმედ ხალვაშს გურიის ქვეითი რაზმის უფროსს პოლკოვნიკ ერმალო ნიჟარაძისთვის საჩუქრად გადაუცია მაჭახელი ოსტატების მიერ დამზადებული თოფი. პროფ. ნოდარ კახიძე გადმოგვცემს ახმედ ხალვაშის ნაამბობს ერმალო ნიჟარაძისათვის, რომ თოფი მაჭახელე ოსტატებს ჯერ კიდევ მაშინ გაუკეთებიათ, როდესაც ხალვაშის წინაპრები ქრისტიანები ყოფილან.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა ნათლად წარმოაჩენს სოფელ მარადიდის მდიდარ ისტორიას.



მარადიდი. 2009 წლის 17 ივნისი, შოთა დიდმანიძის 80 წლის იუბილე.

#### ლიტერატურა

1. ასს.ფ. პ-7, ან.10, ს.90--აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი პ-7 ანაწერი 11, საქმე N90
2. ასს.ფ. პ-1, ან.11, ს.405 --აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი პ-1 ანაწერი 11, საქმე N405
3. ასს. ფ. პ-1, ან. 1, ს. 385 --აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი პ-1 ანაწერი 1, საქმე N385
4. ასს. ფ. ი-82, ან. 1, ს. 27 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-82 ანაწერი 1, საქმე N27
5. ასს. ფ. რ-77, ან. 1ა, ს. 20 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-77 ანაწერი 1, საქმე N20
6. ასს. ფ. რ-84, ან. 1, ს. 361 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-84 ანაწერი 1, საქმე N361
7. ასს. ფ. ი-1, ან. 1, ს. 765 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1 ანაწერი 1, საქმე N765
8. ასს.ფ.ი-82, ან.1, ს.18-აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-82 ანაწერი 1, საქმე N18
9. ასს. ფ. რ-77, ან. 1ა, ს. 20 -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-77 ანაწერი 1, საქმე N20
10. ასს.ფ.რ-698, ან.1, ს.12. -აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი რ-698 ანაწერი 1, საქმე N12
11. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფონდი N466
12. ისლამის გავრცელება აჭარაში - კ.კლილუაშვილი ბათუმი 1959 წ.
13. მარადიდი - რედ. მ.ჩოხარაძე ბათუმი 2002 წ.
14. ლიგანის ხეობა - რ. მალაყმაძე თბილისი 2008 წ.
15. მოგზაურობანი თ. სახოკია თბილისი 1950 წ.
16. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში - დ. ბაქრაძე თბილისი 1987 წ.

Merab Megrelishvili, Ibraim Didmanidze

#### Maradidi

#### Abstract

Maradidi is the oldest center of sailing on the border of Georgia, surrounded by mountains. Niko Mari indicates about Maradidi as a country with a boatbuilding tradition in his work "From a trip to Lazeti, Turkey". According to the Treaty of Kars, sailors coming from Ottomans could travel freely and were attracted up to Kapandibi and even Batomi. Maradidi is a village rich in natural healing waters. Already in the nineteenth century, the doctor of Adjara District, Zhilinski, in the village of Maradidi, Mazri Gonia, discovered acidic water, which rose from the ground as thick as a thumb, and it was not inferior to seltzer waters. In 1884, the first primary school was opened in Maradidi village. Tea, tobacco, corn, grapes, laurel and other agricultural crops were grown in Maradidi. Maradidi village has rich labor and fighting traditions. The article presents the history of one village based on archival documentary material.

0222 ისტორია და არქეოლოგია History and Archaeology

აჭარის გზები და ხიდები XX საუკუნის 30-იან წლებში

მერაბ მეგრელიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Batumi Shota Rustaveli State University

E-mail: merab.megrelishvili@mail.ru

რეზიუმე

ევროპულ ქვეყნებს, რუსეთს თუ თურქეთს ბათუმი სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით აინტერესებდა, რომელზეც გადიოდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი გზები, კერძოდ: ბათუმი-ახალციხე, ბათუმი-ყარსი-ერევანი, ბათუმი-ართვინი-არტანუჯი, ბათუმი-თბილისი. ბათუმის მეშვეობით რუსეთი უზრუნველყოფდა სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უშიშროებას, ხოლო კოდორის გზით ამყარებდა გავლენას აფხაზეთზე და კონტროლს შავ ზღვაზე. XIX-XX საუკუნეებში აჭარაში არსებული გზები მოუწესრიგებელი იყო. ძირითადი ყურადღება ექცეოდა სამხედრო გზას, კერძოდ, ბათუმი-ახალციხის, არდაგანი-ყარსის და გურიასთან დამაკავშირებელ ბათუმი-ქობულეთის გზას. გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე საბჭოთა პერიოდში აჭარაში გზების მოწესრიგებას დიდი ყურადღება დაეთმო.


1929 წლის 11 სექტემბერს შეიქმნა აჭარის გზატკეცილის, გრუნტის გზის და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო. 1938 წლის 11 აგვისტოს საგზაო სამმართველო გადავიდა აჭარის ასსრ. სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო 1946 წლის 15 მარტიდან აჭარის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში. 1939 წელს გზები დაჰყვეს ორ ნაწილად: სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის და შეიქმნა ბათუმის გზის საექსპლუატაციო უბანი N730. აჭარის გზები შედიოდა კავკასიის ოლქის გზათა მიმოსვლის უწყებაში. აჭარაში არსებულ გზებს გააჩნდა სტრატეგიული მნიშვნელობა. გზებზე უზრუნველყოფილი იყო ჯავშნიანი მანქანების მიმოსვლა. 1932 წლის 3 აგვისტოს ამიერკავკასიის გზის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ინჟინერმა რეკიმ, საქართველოს გზათა სამმართველოს წარმომადგენლებმა სიმონსოვმა და პეტროვმა და აჭარის გზათა სამმართველოს ინჟინერმა დ. გაბუნია და კეკელიძემ დაათვალიერეს ბათუმი-გოდერძის გზა. 62 კილომეტრიან გზის მონაკვეთში, მთებს შორის არსებული დაკლაკნილი გზის მშენებლობა დიდ სიფრთხილესთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით თოვლის დნობის, წვიმების და წყლის დონის ამაღლების დროს. კლდიდან ქვების ცვენის შედეგად გზა გრუნტით იფარებოდა და ტრანსპორტით მოძრაობა შეუძლებელი იყო. აუცილებელი იყო კლდის დამცავი ზღუდეების აგება, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ასე მაგალითად, 5 მეტრის სიმაღლის და 247 მეტრის სიგრძის კედლის გამაგრებაზე იხარჯებოდა 296. 400 მანეთი. 313 მეტრზე გზის გაფართოვება აღწევდა 30000 მანეთს, ხოლო დამატებით გზის სხვადასხვა სამუშაოების ჩათვლით დანახარჯი შეადგენდა 258. 265 მანეთს [ასს. გ. რ-4, ან. 1, ს. 383, ფურც. 99].

ამავე პერიოდში აჭარის პრეზიდიუმმა გზების დაზიანებისგან თავდაცვის მიზნით მიიღო სპეციალური დადგენილება 1. საკავშირო მნიშვნელობის პირველი კლასის გზად აღიარეს ბათუმი-გოდერძის უღელტეხილი, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზად დაამტკიცეს სხალთა და სარფი, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზად (მე-6 კლასი) ახალშენის, ორთაბათუმის, ბობოყვათის და ჭახათის გზები, ასევე განსაზღვრეს ზემოთ აღნიშნული გზების სიგანის ნორმები. აიკრძალა გზის სარტყელში ნაგებობების მშენებლობა, ტყის გაჩეხვა და ა.შ. ამიერკავკასიის სამხედრო უწყება აწარმოებდა შუბანის (იორამი) სამხედრო გზის მშენებლობას. აღნიშნული გზის მშენებლობაში გაწეული დიდი შრომისთვის შუბანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბერიძემ გზის მშენებელი მ. მახარაძე იარაღით დააჯილდოვა [ასს. გ. რ-2, ან. 1, ს. 383, ფურც. 205].

აჭარის გზის მშენებლობაში აქტიურ მონაწილებას იღებდნენ გურიის შრომითი ბრიგადები. გურიის სოფელ შემოქმედის მკვიდრი თეოფილე ოქროპირიძე ერქომაიშვილი ბათუმი-გოდერძის გზის და ოზურგეთის რკინიგზის მშენებლობის საქმეში გაწეული დიდი ღვაწლისთვის წარადგინეს შრომის გმირის წოდებაზე და დაუნიშნეს პერსონალური პენსია 120 მანეთის ოდენობით.

ბათუმი-გოდერძის უღელტეხილზე გაფართოვდა გზა. ბათუმის-ლიმანის გზაზე გაშენდა ახალი მაგისტრალი და მასზე უზრუნველყოფილი იქნა ჯავშნიანი მანქანების მიმოსვლა. აჭა ბათუმი-ახალციხის და ბათუმ-ქობულეთის გზის საშიშ და მოსახვევ ადგილებში გაკეთდა ქვის და ტინობის მოაჯირები, ხოლო თხრილებში წყლის საწრეტების ნაცვლად აიგო რკინა-ბეტონის წყალსადენი. XX - საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში გაშენდა და მოწესრიგდა შემდეგი გზები: ხიჭაური, ჭვანა-ცხემლისის გზა - 8 ვერსზე, რომელიც ემსახურებოდა 20 სოფელს -686 სულს. ასევე შუახევი- უჩამბის გზა 7 1/2 ვერსზე, რომელც იწყებოდა მშენებარე შუახევის ხიდთან. გაშენდა ბათუმი-ახალციხის გზატკეცილი 65 ვერსზე. სხალთის გზა იწყებოდა ბათუმი-ახალციხის გზატკეცილის 75 -ე ვერსზე, იგი გადაკვეთდა მდინარე აჭარისწყალის ხიდს და მიდიოდა მდინარე სხალთისწყლის მარჯვენა სანაპიროსკენ, რომელიც ემსახურებოდა 238 სულს. ღორჯომის-გზა 8 ვერსზე იწყებოდა ხულოდან და მიდიოდა მდინარე ღორჯომის მარჯვენა სანაპიროდან უღელტეხილამდე. იგი ემსახურებოდა 19 სოფელს -1002 სულს. მარადიდის გზატკეცილი აერთიანებდა მაჭახლისპირა სოფლებს. ამავე პერიოდში გაშენდა გზა მდინარე მაჭახელზე, სოფელ ჩიქუნეთთან 11 ვერსზე, იგი იწყებოდა მარადიდის გზატკეცილზე და ემსახურებოდა 385 სულს. 8 ვერსზე გაშენებული ქედა-მერისის გზა იწყებოდა მშენებარე ხიდდთან და მიემართებოდა მდინარე მერისის მარჯვენა სანაპიროსკენ. იგი ემსახურებოდა 8 სოფელს - 280 სულს. სამხედრო ინჟინერ დიმიტრი სვისშჩევსკის წინადადებით დაიწყო მწვანე კონცხამდე მისასვლელი ტრამვაის ხაზის გასაყვანად მიწის სამუშაოები. [ასს. ფ. რ-18, ან. 1, ს. 7, ფურც. 66] 1939 წელს აჭარის საგზაო სამმართველოს (უფროსი შანიძე) ურთიერთობა ჰქონდა კიევის საგზაო სამმართველოსთან (უფროსი ერემენკო). [ასს. ფ. რ-883, ან. 1, ს. 35, ფურც. 1] 1939 წელს საგზაო მშენებლობაში გამოვლინებულ სტახანოველებს გადასცემდნ ფულად ჯოლდოს 100 მანეთის ოდენობით. 1941 წლის 21 სექტემბერს აჭარის საგზაო სამმართველომ განაახლა სოფელ ახალშენის გზაზე მდებარე სამხედრო მნიშვნელობის მდინარე ბარცხანის ხიდის მშენებლობა. ასევე განახლდა მერისის გზის მშენებლობა. მოეწყო გადასასვლელი გზები მდინარე მერიახევსა და აკავრეთზე, სოფელ ჩელტამდე. 1940 წელს აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ ხულოში ხიდების და გზების მსენებლობაზე გამოჰყო 156 995 მანეთი, ქედაში 43 398 მანეთი, ბათუმის რაიონში - 145 791 მანეთი, ქობულეთის რაიონში 174 966. 1940 წელს განახლდა გონიოს გზის მშენებლობა. ადგილობრივი გზათა სამმართველოს უფროსის ხელფასი განისაზღვრა 1000 მანეთის ოდენობით. 1939-1940 წლებში აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ გზათა სამმართველოს უფროსად ისმაილ მოწყობილის ნაცვლად დანიშნა ოსმან შანიძე. 1939 წელს აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა რეგიონის გზათა მშენებლობის გეგმა, კერძოდ ხულოს რაიონში ყარა-დერეს გზა 1,2 კმ. მერისის გზა 1,2 , ბათუმის რაიონში, აჭარის აღმართის გზა 2 კმ. ქობულეთი- კოხი-ჭახათის გზა 1 კმ. ქობულეთი-კოხი-ჭახათის გზა იწყებოდა 4 1/2 ვერსზე სოფელ კოხიდან, იგი ემსახურებოდა 8 სოფელს - 308 სულს. ჩაქვი-ჩაქვისთავის გზა - 17 ვერსზე იწყებოდა ჩაქვის საუფლისწულო მამულთან და მთავრდებოდა ჩაქვისთავის მეჩეთთან. იგი ემსახურებოდა 6 სოფელს -164 სულს. 1940 წელს სწრაფი მეთოდით ჩატარდა აჭარის აღმართი- გორგაძეების ახალი გზის მშენებლობა. ქვის სამუშაოები შეასრულა სამხედრო უწყებამ პოლკოვნიკ სამელიოვის ხელმძღვანელობით. [ასს. ფ. რ-88, ან. 1, ს. 34, ფურც. 126] მასში მონაწილეობა მიიღეს აჭარისწყლის, კირნათის, მახუნცეთის მცხოვრებლებმა, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ წელიწადში 6 დღეს, უსასყიდლოდ, თავისი გამწევი ძალით და შრომის იარაღით ემუშავათ გზებზე. 1938 წლის 20 დეკემბერს აჭარის სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა 2 კილომეტრზე ქობულეთის საკურორტო გზის მშენებლობის საკითხი. კეთილმოეწყო ქობულეთ-ნატანების, აჭარის-აღმართის, ბათუმ-ჩოლოქის გზები. 1938 წელს გაშენდა სახლმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ჩოლოქის გზა 52, 5 კმ. ბათუმი გოდერძის გზა 126, 5 კმ. 1938 წლის გეგმის მიხედვით გაშენდა რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები, ბათუმი-სარფი 15,7 კმ. აჭარისწყალი -მარადიდი 10,5 კმ. 1938 წელს დაიწყო ვაიო-სირაბიძეების გზის მშენებლობა. ამავე პერიოდში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ქედა-მერისის გზას (8 კმ.) ზვარე-ვაიოს გზა 2 კმ. ქედა-ზენდიდის გზა 3 კმ. 1938 წელს დაიგო ადგილობრივი მნიშვნელობის გზა 32, 8 კმ. და სახლმწიფო მნიშვნელობის გზა 30,0 კმ. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ქობულეთი-ნატანების გზას 2 კმ. ჭახათის გზას 16 კმ. დაგვის გზას 8 კმ. ჩაქვისთავის გზას 16 კმ. მუხაესტატე-აჭყვისთავის გზას 5 კმ. 1938 წელს ხულოს რაიონში დაიგო ადგილობრივი მნიშვნელობის გზები: ზომლეთი-ხიხადირი 27 კმ. ღორჯომი-აგარა 8, 5 კმ. ხიჭაური-ჭვანა 8.5 კმ. რეკონსტრუქცია ჩატარდა შუახევი-უჩამბის 12 კმ. გზის მონაკვეთს, ასევე ზომლეთი-სხალთა 10 კმ. ბეშუმი 7 კმ. სულ დაიგო


ადგილობრივი მნიშვნელობის 45,5 კმ. გზა, ხოლო სახელმწიფო მნიშვნელობის 56 კმ. გზა XX საუკუნის 30-ან წლებში ბათუმის რაიონში დაიწყო ახალი გზის მშენებლობები: მაჭახლისპირი აჭარისწყალი 24 კმ., თხილნარი-მახო 2 კმ., სულ ახალი გზის მშენებლობა გაგრძელდა 26 კილომეტრზე. კაპიტალური რემონტი ჩატარდა ორთაბათუმი-ყოროლისთავის გზას 1,5 კმ., თამარის უბანი-ყარადერე 4 კმ., ორთაბათუმი-აგარა 3 კმ., ასევე ბარცხანა-ორთაბათუმი 6 კმ., გოროდოკი-ახალშენი 3,5 კმ., ახალშენი-ერგე 5 კმ., თხილნარი 1,5 კმ., ხელვაჩაური 1,5 კმ., ერგე-ზემო ჯოჭო 2,5 კმ., ბათუმის რაიონში 31 დეკემბრის ქუჩა ფერია 2,5 კმ., ორთაბათუმი-ჩაის ფაბრიკა-სტეფანაოვკა 2 კმ., სარფის გზა 1 კმ., ადლია-ტოპალოღლები 3 კმ., მახინჯაური 2 კმ., აჭარისწყალი-კიბე 2 კმ., ბაბუჩოღლები-ბზუბზუ 2 კმ., ქობულეთის რაიონში დაიგო ადგილობრივი მნიშვნელობის ახალი გზები, მუხაესტატე-ჩაის ფაბრიკა 15 კმ., აჭყვა 2 კმ., მუხაესტატე-აჭყვის თავი 5 კმ., ზედა და ქვედა სამება 2 კმ., დაგვა 2 კმ., ქობულეთი-ჭახათის გზა 16 კმ.



საგზაო რუკა. [ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 1, ფურც. 290]

**ხიდები:** XX საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში განვითარდა რკინა-ბეტონის ხიდების მშენებლობა. მდინარე აჭარის წყალზე სოფელ ქედასთან აიგო 48 საყენის სიგრძით რკინა ბეტონის ხიდი. იგი შედგებოდა სამი რკინა-ტინობის თალიანი მანძებისგან, ორი სანაპირო და ორი შუაბიჯა ქვის დასაყრდნობებზე. მარჯვენა ნაპირის ბურჯი აგებული იყო ღია ქვაბულში, მარცხენა ნაპირის კი კლდეზედ. ორი შუაბიჯა ბურჯი აგებულია ჩასადგმელი ჯებით. ნაპირების ორივე მხრით გაშენებული იყო ქვის ჯავლმომართი ჯებირები და დასაყრდნობი კედლები.

აჭარისწყალზე სოფელ შუახევთან აიგო 24 საყენი რკინა-ტინობის ხიდი. იგი შედგებოდა ვიზინტინის სისტემის 2 მანძისა, 2 სანაპირო და ერთი შუაბიჯა ბურჯებისგან. მარჯვენა ნაპირის ბურჯი აგებულია ჩასადგმელი ჭით, მარცხენა კი კლდეზე ბურჯი ჩადგმულია ჩასადგმელი ჭით რკინა-ტინობისგან. ორივე ბურჯებს აქვს ჭკალმომართი ჯებირები და კედლები. მდინარე კინტრიშზე სოფელ ხუცუბანთან გაშენდა ქვის ხიდი. იგი შედგებოდა 2 მანძისგან, ერთი ქვისა და მეორე კი ტინობის თაღებისგან. მდინარე მაჭახელის გასწვრივ სოფელ ჩიქუნეთის მიმართულებით, სიგრძით 11 ვერსისი გზა იწყებოდა გზატკეცილის ხიდთან, 4 ვერსზე სოფელ მარადიდის შტოზედ.



აჭარის გზები და ხიდები [ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 1, ფურც. 113]

წარმოგიდგინთ XX საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში გზების და ხიდების მშენებლობის მასალებს თვალსაჩინოებით მასალას.

### ლიტერატურა

1. ასს. ფ. რ-4, ან. 1, ს. 383
2. ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 383
3. ასს. ფ. რ-18, ან. 1, ს. 7
4. ასს. ფ. რ-883, ან. 1, ს. 35
5. ასს. ფ. რ-88, ან. 1, ს. 34
6. ასს. ფ. რ-2, ან. 1, ს. 1

### Roads and bridges of Adjara in 1930s

Merab Megrelishvili

#### Abstract

European countries, Russia and Turkey were interested in Batumi from a military strategic point of view, on which the most important Transcaucasian roads passed, namely: Batumi-Akhalsikhe, Batumi-Kars-Yerevan, Batumi-Artvin-Artaan, Batumi-Tbilisi. Through Batumi, Russia ensured the security of the southwestern borders, and through Kodori Gorge it established influence over Abkhazia and control over the Black Sea. Until the 19th-20th centuries, the roads in Adjara were unorganized. The main attention was paid to the military road, namely Batumi-Akhalsikhe, Ardagani-Kars and Batumi-Kobuleti road connecting with Guria. During the rule of Sherip Khimshiashvili, the roads connecting with Upper Adjara were improved. Due to its geostrategic location, a lot of attention was paid to the maintenance of roads in Adjara during the Soviet period.



**0231 ენის დაუფლება LANGUAGE ACQUISITION**

**„ფარისი“-ს, „მერანი“-სა და „მაზეპა“-ს მოტივებისა და ადრესატების შესახებ**

მაია ნიკოლაძე

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

E-mail: m.nikoladze2019@gmail.com

**რეზიუმე:** XIX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა სამი უდიდესი პოეტური ნაწარმოები: ჯ.გ. ბაირონის „მაზეპა“, ა. მიცკევიჩის „ფარისი“ და ნ. ბარათაშვილის „მერანი“. სამივე მათგანმა არნახული გავლენა იქონია ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე. მათ შორის ბევრი რამ არის საერთო, მაგრამ ასევე ბევრია განსხვავებაც. ამ განსხვავებებს შორის არის ამ პოეტური ნაწარმოებების ადრესატები და გარკვეულწილად მოტივები. სტატიაში სწორედ ეს საკითხები იქნება განხილული.

**საკვანძო სიტყვები:** რომანტიზმი, ჯ.გ. ბაირონი, ა. მიცკევიჩი, ნ. ბარათაშვილი, ლიტერატურული გავლენები, „ფარისი“-ს, „მერანი“-სა და „მაზეპა“-ს ადრესატები.

დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროში თეთრ რაშზე ამხედრებული რაინდი ყოველთვის იყო კეთილის ბოროტზე გამარჯვებისა და თავისუფლების სიმბოლო, რომელიც ღრმად აღიბეჭდა ცნობიერებაში როგორც სახე თავისუფლებისთვის ბრძოლისა და გამარჯვებისა. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ XIX საუკუნეში, როდესაც ფეხს იკიდებს რომანტიზმი - მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომელიც თითქოს იძირება თავის თავში, თავის გრძნობებში, რათა იქ იპოვოს პასუხები ზოგადსაკაცობრიო კითხვებზე, იპოვოს გასაღები სოციალური უსამართლობისა და ჩაგვრის აღმოფხვრისა, მის ცნობიერში თითქოს ერთბაშად წამოტივტივდა რაშზე ამხედრებული რაინდი, რომელმაც სხვადასხვაგვარად შეისხა ხორცი რომანტიკოსი პოეტების ჯ.გ. ბაირონის, ა. მიცკევიჩის და ნ. ბარათაშვილის პოეზიაში „მაზეპას“, „ფარისისა“ და „მერანის“ სახით. სამივე პოეტური ნაწარმოები ჯ.გ. ბაირონის „მაზეპა“, ა. მიცკევიჩის „ფარისი“ და ნ. ბარათაშვილის „მერანი“ შექმნილია ერთსა და იმავე ეპოქაში, ჯერ დაიწერა „მაზეპა“ (გამოქვეყნდა 1819 წ.), შემდეგ „ფარისი“ (გამოქვეყნდა 1829 წ.), ბოლოს - „მერანი“ (დაიწერა 1842 წ.). დაიწერა განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალში: ჯორჯ ბაირონი ინგლისელი პოეტი გახლდათ, ადამ მიცკევიჩი - პოლონელი, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი - ქართველი. ძნელია ცალსახად ითქვას, რომ „ფარისი“ „მაზეპა“-ს შთაგონებით დაიწერა, მით უფრო რომ თავად მიცკევიჩს არსად აქვს მითითება „მაზეპა“-ზე, ხოლო გარკვეული ვერსიის მიხედვით, ლექსის ერთ-ერთი „სტროფი წარმოადგენს არაბულიდან თარგმანს, ამოღებულს ლაგრანჟის „არაბული ანთოლოგიის“ შენიშვნებიდან“:

*„ჰკავს სეტყვის ღრუბელს ყორნისფერი ტაიჭი ჩქარი,  
შუბლზე ვარსკვლავი უციმციმებს რიჟრაჟის სხივად,  
ვით სირაქლემას ფრთებს, მის ფაფარს აღელვებს ქარი  
და თითქო თეთრი ფეხებიდან ელვები ცვივა“ [1].*

თუმცა მსგავსება „ფარის“-სა და „მაზეპა“-ს შორის ხელშესახებია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამ მიცკევიჩი გახლდათ დიდი თავყანისმცემელი ჯორჯ ბაირონის პოეზიისა. შეიძლება ითქვას, რომ „მაზეპა“-ს ძირითადი ნაწილი, როდესაც მას ცხენი მიაქანებს უგზო-უკვლოდ, ფოკუსირებულია და გაშლილი ლირიულ-შინაარსობრივად „ფარისი“-ში.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით ვიცით, რომ ა. მიცკევიჩმა თავისი პოემა მიუძღვნა ვ. რჟევუსკის, პოლონელ აღმოსავლეთმცოდნეს, რომელიც სამეცნიერო კვლევების მიზნით არაბეთში ყოფნისას დაიღუპა: „ფარისი“ ნიშნავს „მხედარს“, „რაინდს“. მიცკევიჩმა დასწერა თავისი პოემა პოლონეთის ორიენტალისტის ვ. რჟევუსკის სახსოვრად, რომელსაც ის ბედი ეწია, რაც პოემის მხედარს. ვენეცესლავ რჟევუსკი სამეცნიერო გამოკვლევებისთვის არაბეთს იყო წასული, სადაც 15 წელი დაჰყო და

მცირე ხნით ევროპაში ჩამოსვლის შემდეგ ხელახლა განშორდა სამშობლოს, თვისთა და მეგობართა. და წავიდა არაბეთს, საცა დაიღუპა ისე, რომ ცოლშვილმა ამბავიც კი ვერ შეიტყო მისი.

„ფარისი“-ში გამოხატულია არაბი, დაუღვრელი უდაბნოში გავარდნილი, სადაც არც წყალია, არც მცენარე, არც კაცის სული მოიძებნება, საცა მარტო მზე და ქვიშაა. არაბი სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელიც იმას ხვდება გზაზე და განაგრძობს წინ-ქროლვას:

„თეთრფეხა რაშო, წინ გასწი მალე!  
მთებო, ტყეებო, გზა დამიცალეთ!“

შუაგულ უდაბნოში მას საშინელი ჩხავილით აედევნება მელქორი, რომელსაც მხედრისა და ცხენის ლემის მადა აშლია, მაგრამ არაბი იმასაც დააღწევს თავს და ეტყვის თავის მერანს:

„თეთრფეხა რაშო, წინ გასწი მალე!  
კლდეებო, ძვრავ, გზა დამიცალეთ!“

მფრინავის შემდეგ დაეწევა მას ცის ღრუბელი. ის აფრთხილებს მხედარს, რომ წინ არ წავიდეს, რადგანაც წინ არც ერთი ცვარი წყალი არ არის, მაგრამ ვერც ეს მუქარა შეაშინებს თავგანწირულ მხედარს... გზა-გზა ის შეეყრება უდაბნოში დაღუპულ ქარავანს, მაგრამ ვერც ეს ძვლები მოიყვანს გონზე არაბს. ბოლოს ატყდება საშინელი ქარიშხალი, რომლის მძვინვარებასაც გადაურჩება მხედარი. შემდეგ ის განერთხება დედამიწაზე და მოისვენებს. დაუწყებს ცქერას ვარსკვლავებს. მისი ფიქრები იკარგებიან ზეცას და ფიქრებთან ერთად მისი სულიც.“ როგორც ამ შინაარსიდან სჩანს, ბარათაშვილის ლექსსა და „ფარის“-ს შორის ცოტა განსხვავება არ არის. ჩვენმა პოეტმა გადმოიტანა თავის ლექსში მხოლოდ დედააზრი ლექსისა: მხედარი და მერანი და ჩაურთო შიგა და შიგ ელემენტები „ფარის“-სა: „თვალბედითი შავი ყორანი“, „გასწი, მერანო“, „კლდენი“ და „მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა“ და სხვ. (ეს ელემენტები მიცკვეიჩისა და არაბული ლექსებიდან აქვს გადმოღებული, როგორც ლაგრანჟის ანთოლოგიიდან ჩანს). მაგრამ შინაარსი მისი ლექსისა სულ სხვაა, ვიდრე შინაარსი „ფარის“-სა“ [2].

„ნაშრომში გადმოცემულია ბედუნების სული, მათი მჭიდრო კავშირი თავიანთ ცხენებთან და მათი უშიშარი ხასიათი. იგი სხვა რომანტიკული პოემებისგან იმით განსხვავდება, რომ ფოკუსირებულია უდაბნოზე, როგორც მოვლენების ადგილზე და მხედრის შეუდრეკელობაზე. პოემა ასახავს რომანტიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელ ალტაცებას ეგზოტიკურითა და გაუხედნავით, ამასთან ეს არის ზეიმი ადამიანის დაუმორჩილებელი სულისა“ [3].

"ბარათაშვილმა ჩინებულად გამოიყენა მიცკვეიჩის ლექსის საერთო ფონი. „ფარისი“-ში არავინ იცის, რატომ გადმოჰრილა არაბი და სად მისწრაფის იგი! ბარათაშვილის ლექსში კი მხედრის განზრახვა ცხადია. ის მირბის და მიფრინავს, რომ გაექცეს კაცს, სწორთა და მეგობარსა, მამულს, რომელთანაც ყოფნა მოსწყენია, რომ ან ნიავს მისცეს მისი შავად მღელვარე ფიქრი, ან თან გაატანოს მერნის გიჟურ ლტოლვას. არაბულ მერანზე ბარათაშვილმა მისი სულით ობოლი კაცი შესვა, რომელსაც, როგორც ვიცით, კაცთშორის ყოფნა ეზარება. ეს მერანი უგზო-უკვლოდ მიაფრენს მის მხედარს, რომელიც ბედს არ ეურჩება“ [4].

ბოლო ნაწილში უნდა შევედგეთ ი. მეუნარგიას, პირველ რიგში, ბარათაშვილის მხედარი სწორედაც რომ ბედს ეურჩება, სხვაგვარად რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები სტროფიდან:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება,  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს!“

ტატოს მერანის მიერ გაკვალული გზა მათთვისაა, ვინც იმავე გზით მიდის, რა გზითაც ტატო წავიდა, და ეს გზა მათთვისაა, ვინც შავი ბედის წინ გამოაქროლებს თავის რაშს, “წინ გამოქროლება“ დაპირისპირებას ნიშნავს და არა მიყოლას; ბარათაშვილის „მერანი“ ბედთან მეზრმოლია და მისი სწრაფვა არდანებებას ნიშნავს. ასევე არ მიგვაჩნია მართებულად, რომ თითქოს ახალგაზრდა ბარათაშვილს სურდეს მეგობრებისა და ტოლ-სწორებისგან გაქცევა, არამედ ეს გაქცევა განპირობებულია დაუოკებელი სწრაფვით რაღაც უსაზღვროსაკენ, შეუცნობელისაკენ, შინაგანი ვრცელი თავისუფლებისაკენ, გაკვადნიერდებით და ვიტყვით, სწრაფვა პირველყოფილი ბიბლიური ჰარმონიულობისკენ, ედემისკენ, სადაც არც უსამართლობაა, არც უმეცრება, არც სულმცირეობა, არც დალატი და არც გულისგამაწვრილებელი სიდუხჭირე, რამაც ასე გაუმწარა ცხოვრება ლალსა და

დიდბუნებოვან პოეტს. ეს სწრაფვა ამაღლებულისკენ თავისთავად გულისხმობს მსხვერპლს მისი მხრიდან: განმარტოებას, განშორებას ყველასგან, მეგობართა და ნათესავთაგან.

შემდეგ ი. მეუნარგია აგრძელებს: „ბარათაშვილის „მერანი“ დაწერილია იმგვარსავე შემთხვევის გამო, რომლის გამოც დაწერილია მიცვეციხის პოემა. როგორც ამ უკანასკნელმა დასწერა „ფარისი“ რევეუსკის დაკარგვის გამო, ბარათაშვილმაც, როგორც ის თვითონ აღნიშნავს გრ. ორბელიანთან მიწერილ ერთს ბარათში, „ჩემს მერანს“ დასწერა მაშინ, როდესაც შეიტყო, რომ მისი საყვარელი ბიძა ილია ორბელიანი დაკარგულიყო, - შამილის მიუხედავად მოეტაცნათ და ტყვედ წაეყვანათ...“ [5].

თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც „მერანი“-ს ლირიკული გმირის შესახებ (პ. ინგოროყვა, რ. ჩხეიძე), რომლის მიხედვით იგი რუსეთის იმპერიის ერთგული ჯარისკაცი და კავკასიის დამორჩილებისთვის მებრძოლი ილია ორბელიანი კი არ არის, არამედ საქართველოს ეროვნული გმირი, რუსეთის იმპერიასთან დაუღალავი და მოუხელთებელი მებრძოლი, მეფე ერეკლე II-ის ძე - ალექსანდრე ბატონიშვილია (1770-1844). მოსაზრება ეფუძნება ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებულ ლეგენდას, რომლის შინაარსი და „მერანთან“ მისი დაკავშირების ამბები შემონახულია ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ვასილ ბარნოვი“. მწერლის თქმით ალექსანდრე ბატონიშვილი „კავკასიის ხალხთა ლეგენდებში შესულიყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად“; „ერთი ლეკური თქმულების მიხედვით, მფრინავი ცხენი ჰყოლია ალექსანდრე ბატონიშვილსა, იმ ცხენით დაჰქროდა, უცებ გაჩნდებოდა, სადაც საჭირო იყო, და უცბადვე გაჰქრებოდა, ღრუბლებს გაეკვროდა, გადაიღვებდა. მზის მიერ დალოცვისა და ზეცით მოვლენის სცენა „ისკანდარში“ (იგულისხმება ვასილ ბარნოვის მოთხრობა „ისკანდერ“ - მ.ც.) ამ და ამდაგვარი თქმულებიდან უნდა მომდინარეობდეს. ესევე თქმულება უფრო ადრე ნიკოლოზ ბარათაშვილს გამოუყენებია. გიორგი შატბერაშვილი გულისხმობდა, რომ მერანის დაწერის საბაბი არ უნდა ყოფილიყო ილია ორბელიანის დატყვევება ლეკთა მიერა, - ილია ორბელიანი და მისი დატყვევება შეუსაბამო საბაბია, ან ძალიან პატარა საბაბია „მერანის“ შთაგონებისთვისა. „მერანი“ შთაგონებულია ალექსანდრე ბატონიშვილისა და მისი მფრინავი ცხენის ლეკური თქმულებისაგანაო; ნიკოლოზ ბარათაშვილმა ილია ორბელიანის დატყვევება კონსპირაციული მიზნით გაისაბაბაო“ [6].

ვერ დავეთანხმებით გიორგი შატბერაშვილის მოსაზრებას, რომ ილია ორბელიანის დატყვევება არ არის საკმარისი მიზეზი „მერანის“ დასაწერად, რადგანაც ბარათაშვილის პირადი წერილებიდან გრ. ორბელიანისადმი ჩანს, რომ მან ძალიან განიცადა ბიძის ამბავი: „ილიას ამბავი რომ შევიტყვე, ჰსწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავი ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლქსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო“ [7].

ამ წერილიდან ისიც აშკარაა, რომ „მერანის“ დაწერის გამომწვევი ფაქტორი ილია ორბელიანის დატყვევებაა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პოეტი თვითონ ამბობს, რომ გაბრუებული იყო უცნაური ფიქრებით და სურვილით და თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა, შეიძლება დავუშვათ ის ვარაუდიც, რომ ადრესატი ალექსანდრე ბატონიშვილი იყო. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, თუ რარიგ ეწვოდა ტატოს გული სამშობლოს ბედზე [8]. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი მას ნათესავად ერგებოდა და ნიკოლოზ ბარათაშვილი დაახლოებული იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით არც თუ ისე უსაფუძვლოდ ჟღერს ეს ვერსია.

არის კიდევ ერთი განსხვავებული ვერსია, რომელიც ეკუთვნის პავლე ინგოროყვას და რომელიც ყველაზე უფრო მართებულად ჟღერს. პავლე ინგოროყვა წერს, რომ ზემოთაღნიშნულ წერილში გრ. ორბელიანისადმი „მას შემდეგ, რაც აღწერილია ილიას ვაჟკაცობა, ყოფილა საკმაოდ ვრცელი ტექსტი - 21 სიტყვისგან შემდგარი - რომელიც წერილის პირველად დაბეჭდვის დროს წერილიდან ამოუღიათ, ცხადია, იმის გამო, რომ იგი პოლიტიკურად სახიფათო ყოფილა.

თუ რა ეწერა წერილიდან ამოღებულ ამ ტექსტში, ამას ისევ დავუბრუნდებით. წერილიდან ამოღებულ ამ ტექსტს (21 სიტყვისგან შემდგარს) წერილში მოჰყვება შემდეგი ტექსტი:

„აი, რას ფიქრობს პოეტი ილიას მაგივრად (ეს ფრაზა რუსულად არის ნაწერი: „Вот что думает поэт за Илико“, აღვნიშნავთ ამასთან, რომ ამ ტექსტს დღემდე შეცდომით თარგმნიდნენ ამრიგად: „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს შესახებ“. ასეთი თარგმანი აშკარა დამახინჯებაა წერილის დედააზრისა.):

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი...“ (მოყვანილია მთელი ლექსი).

გავეცნოთ ამის შემდეგ წერილის პუბლიკაციის ისტორიას, რა დროსაც მომხდარა წერილიდან ამოღება ზემოთ მოხსენებული პოლიტიკურად სახიფათო ნაწილისა. ეს ჩვენ ბევრ საკითხში გაგვარკვევს.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა ზემოთ, რომ წერილის დედანი 1873 წელს გრიგოლ ორბელიანს გადაუცია გამოსაქვეყნებლად პეტრე უმიკაშვილისთვის. პ. უმიკაშვილს იმავე 1873 წელს გადმოუწერია პირი წერილისა და ამ გადმონაწერის მიხედვით დაიბეჭდა წერილის ტექსტი ჟურნალ „კრებულში“ 1873 წელს (N III). ეს ტექსტი განმეორებულია შემდეგ სხვა გამოცემებშიაც (სად ინახება ამჟამად თვით დედანი გრ. ორბელიანის წერილისა, უცნობია).

პ. უმიკაშვილის გადმონაწერიდან ირკვევა, რომ წერილის დედანში, მითითებულ ადგილას, ყოფილა ვრცელი ტექსტი, 21 სიტყვისაგან შემდგარი; ეს ტექსტი, როგორც ირკვევა, იმდენად სახიფათო ყოფილა პოლიტიკური მხრით, რომ პ. უმიკაშვილს არა თუ არ უცდია მისი დაბეჭდვა ჟურნალ „კრებულში“, არამედ შეუძლებლად ჩაუთვლია მისი გადმოწერაც კი თავის ხელნაწერში; პ. უმიკაშვილს ჩაუნიშნავს ეს ტექსტი თავის გადმონაწერში დაშიფრულად, ასეთი სახის კოდით: ხაზების სიმოკლე-სიგრძით აღუნიშნავს სიტყვების სიმოკლე-სიგრძე; სიტყვათა ჯგუფები გაუყვია ნიშნით ); ამავე დროს აღუნიშნავს სასვენი ნიშნები (, ოთხჯერ; ბოლოში !).

ტექსტი როგორც ირკვევა, არა მარტო სახიფათო ყოფილა პოლიტიკურად, არამედ, ამავე დროს, იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ პ. უმიკაშვილს სურდა არ დაევიწყნოდა იგი და ასეთი კოდისათვის მიუმართავს.

თუ რას შეიცავდა საცენზურო პირობების გამო ამოღებული ეს ტექსტი, ამის ამოცნობა შესაძლო ხდება თუმცა ზოგადად, მაგრამ, ვფიქრობ, სავსებით ზუსტად.

ჯერ გავითვალისწინოთ ტექსტების თანმიმდევრობა:

1. პირველი ტექსტი - ილიას ვაჟკაცობის აღწერილობა;

2. ამას მოსდევს მეორე ტექსტი, შემდგარი 21 სიტყვისაგან, ამოღებული საცენზურო მიზეზების გამო;

3. ამას უშუალოდ მოსდევს პოეტის განცხადება: „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად“ - რასაც მიჰყვება ლექსი: „მირბის, მიმაფრენს...“ (მერანო).

ილია ფიქრობს ერთს, ხოლო პოეტი ფიქრობს სხვას; სახელდობრ, პოეტი ფიქრობს მას, რაც გადმოცემულია „მერანში“.

რაში მდგომარეობდა მათ შორის სხვაობა? ცხადია, ეს იყო აღნიშნული მეორე ტექსტში, რომელიც საცენზურო პირობების გამო ამოთებული იქნა წერილიდან.

ჩვენ არ შევცდებით, თუ დავასკვნით, რომ ამ მეორე ტექსტში მოხსენებული იყო იმპერატორი (ან პირდაპირ ამ დაწერილობით „იმპერატორი“, ან სრულიად გამჭვირვალე მითითებით).

წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია, რომ მიემართათ ასეთი საგანგებო კოდისათვის ტექსტის დასაშიფრავად.

პოეტი დიდად აფასებს ილიას დიდ ვაჟკაცობას, მაგრამ უმძიმს, რომ ილია ამ ვაჟკაცობას სწირავს იმპერატორს, და არა თავის ქვეყანას, თავის ხალხს. ილია ფიქრობს ერთს - „იმპერატორსა ემსხვერპლეთ“; ხოლო პოეტი ფიქრობს სხვას, რაც მან „მერანში“ გამოსახა, ე.ი. თავისი ქვეყნისა და ხალხის თავგანწირულ სამსახურს, თავდადებას, „რათა მოძმესა მისსა სიმძნელე გზისა გაუადვილდეს“... [9].

ამ ნაწილში პავლე ინგოროყვა საუბრობს იმაზე, რომ ბარათაშვილს გასაკიცხ საქმედ მიაჩნია რუსეთის იმპერატორის ჯარში სამსახური, ამ ვარაუდს ამყარებს ბარათაშვილის გიმნაზიის დროინდელი ამბები და მისი ახლო კავშირები 1832 წლის აჯანყების მონაწილეებთან, რაც კარგად ჩანს გრიგოლ გურიელის მონათხრობიდან: „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის სკამზედ ვიჯექით. ნ. ბარათაშვილმა წინეთ შეიტყო, რომ შენ გაგჩხრეკენო. მას ბევრი ლექსები აქვდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი. იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამიყვანა, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა“ [10].

თუმცა ამ ვარაუდის საწინააღმდეგო ფონს ქმნის ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გამოთქმული გულისწყვეტა იმის თაობაზე, რომ ოჯახმა იგი არ გაუშვა ჯარში სამსახუროდ, რაზეც გრ. ორბელიანისადმი წერილში საუბრობს: „საყვარელო ძიავ! ავერ წელიწადნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდა ი რასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანსიონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в

*радушных мечтаниях, да არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში“ [11]. ასევე 1843 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში ტატო გრიგოლ ორბელიანს ახსენებს დაპირებას და სთხოვს, რომ უშუამდგომლოს და რენენკამპფთან დაანიშნინოს მისი თავი, რომელიც ესტონური წარმომავლობის რუსი გენერალია და აქტიურად არის ჩართული სამხედრო საქმეებში [12]. ეს ფაქტები იძლევა იმის საფუძველს, რომ ეჭვი შევიტანოთ პ. ინგოროყვას ვარაუდში ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულების შესახებ ილია ორბელიანის რუსეთის ჯარში სამსახურთან დაკავშირებით და ჰიპოთეზის სახით შეიძლება დავუშვათ, რომ ამოღებულ ტექსტში შესაძლებელია ტატოს მხრიდან რამე შეუფერებელი ან კადნიერი ხუმრობა ეწერა, რაც პ. უმიკაშვილმა საჭიროდ ჩათვალა რომ ამოეღო.*

თუმცა დავუბრუნდეთ სათქმელს „მერანი“-ის ადრესატთან დაკავშირებით. პავლე ინგოროყვა აგრძელებს საუბარს ტატოს გრ. ორბელიანისადმი 1942 წელს მიწერილ წერილზე და საბოლოოდ დაასკვნის: „თვით ნ. ბარათაშვილი იმავე წერილში სწერს გრიგოლ ორბელიანს, რომ, როდესაც გავიგეო ილია ორბელიანის დატყვევება და ილიას მიერ გამოჩენილი ვაჟკაცობა, „სამი დღე გაბრუებული ვიყავ სხვადასხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით“. ს უ რ ვ ი ლ ი თ! ეს იყო სურვილი, რომ მას ეხილა სხვა ვაჟკაცები, თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის თავგანწირულნი და თავდადებულნი.

ამრიგად, ადრესატი „მერანისა“ არის არა სხვა ვინმე, არამედ თვით ნიკოლოზ ბარათაშვილი; ხოლო ბარათაშვილთან ერთად რუსთაველის მიერ დახატული გმირი ავთანდილი. ბარათაშვილი თავისი „მერანით“ გადაჰკვეთს ბედის საზღვარს, რათა მოძმესა თვისსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს; ასევე ავთანდილი (რომლის აღთქმაა - „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“) ველად არის გაჭრილი და მოივლის მსოფლიოს ტყვეობაში მყოფი ნესტან-დარეჯანის სახსნელად. *ასეთია უსაზღვრო არე და სული მერანისა“ [13].*

თუმცადა ილია ორბელიანის რუსულ ჯარში სამსახურის გამო ტატოს მხრიდან საყვედურის ვერსიას ვერ გავიზიარებთ, მაგრამ ის ნაწილი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი თავადვე „მერანი“-ის ადრესატი, სარწმუნოდ მიგვაჩნია. წერილში იგი ამბობს: „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად“, ეს ფრაზა, ჩვენის აზრით, უნდა ნიშნავდეს - „აი, როგორ მოიქცეოდა პოეტი ილიკოს ადგილზე“, ანუ გაიქცეოდა, თავს დაადწევდა ყოველგვარ წინააღმდეგობას და მის ამ სწრაფვას ვერაფერი დააოკებდა. თითქოს, ამით ერთგვარად ურჩევს ტყვეობიდან გაქცევას, (ისიც გავითვალისწინოთ, რომ ილია ორბელიანმა მართლაც სცადა ტყვეობიდან გაქცევა, თუმცა კი მაინც შეიპყრეს და უკან დააბრუნეს), თითქოს, საკუთარი მაგალითით უჩვენებს, რომ ბედთან ბრძოლაში ფარ-ხმალი არ უნდა დაყარო, რომ ის, ტატო ბარათაშვილი უფრო მეტ წინააღმდეგობას ეჩეხება ცხოვრებაში, ის არის დევნილი რუსული მთავრობისგან საკუთარ ქვეყანაში, მას არ აძლევენ გასაქანს, მისი გაქანების ადამიანი პალატაში გამოკეტეს, სადაც დროის ხარჯვა უსახურ ბიუროკრატიულ ქაღალდების გადაწერაზე უწევს, მისი ოჯახი უკიდურეს სიღატაკეშია ჩავარდნილი, ის კი უარს ამბობს ქრთამის აღებასა თუ ვინმეს უსამართლოდ შევიწროებაზე [14]; სანიშნულო სიბეჯითეს უჩვენებს აქაც [15], მაინც ეკლად ესობა გულზე აქაურ რუს მმართველებს, მშვიდად ვერ არიან, სანამ ტატო თბილისშია და ნახიჩევანში გაამწესეს, შემდეგ - განჯაში, სადაც გარდაიცვალა კიდევ უსახსრობაში, სიღარიბეში, ყველასგან დაუტირებელი. და მაინც, ამ მოჯადოებული წრის მიუხედავად, ტატო აგრძელებდა წერას, წერას სამშობლოზე, თავისუფლებაზე, სიყვარულზე, მშვენიერებაზე... ეს იყო მისი უდრეკი პასუხი, მისი მერანის თავდაუზოგავი ჭენება ბედის საზღვარის გადასალახად და მისი მოძმე, ვინც მის ნაკვალევს უნდა გაჰყოლოდა ბედთან ამ შეუპოვარ ბრძოლაში, იყო დატყვევებული ილია ორბელიანი.

იგივე განდევნისა და გადასახლების გზა გაიარეს ჯ. ბაირონმა და ა. მიცკევიჩმაც. მათი მხედარიც გათანგულია ბედთან ჭიდილში. თუმცა „ფარისი“-სა და „მერანი“-ის სიუჟეტისგან განსხვავებით, სულ სხვა ტიპის ამბავი უდევს საფუძველად „მაზეპა“-ს. „მაზეპა“ ჭუჭყიანს, „დასვრილს“ ნიშნავს და სათაური თითქოს გვაშინავს ნაწარმოების შინაარსისთვის, რომლის მთავარი გმირიც თითქოს „ამოსვრილია“ საკუთარ ხორციელ ვნებებში. პოემა ნარატიული ხასიათისაა. ის ეყრდნობა ლეგენდას ივან მაზეპას (1639-1709; შემდგომში უკრაინის ჰეტმანი) ახალგაზრდობისდროინდელ ამბავზე. პოემის მიხედვით, ახალგაზრდა მაზეპას სასიყვარულო კავშირები ჰქონდა გაბმული პოლონელ გრაფინიასთან, ტერეზასთან, რომელიც გათხოვილი იყო თავისზე ბევრად უფროს გრაფზე. ამ ამბის გამოამჟღავნების

შემდეგ გრაფმა გადაწყვიტა მაზეპას დასჯა: გაუხედნავი ცხენის ზურგზე მიაბმევინა იგი სრულიად შიშველი და ცხენი ალალ-ბედზე გააშვებინა. პოემის ძირითად ნაწილში აღწერილია ცხენის ზურგზე თასმებით მიბმული გმირის მტანჯველი მოგზაურობა.

პოემა იწყება შესავალი ამბით: უკრაინის ჰეტმანი მაზეპა და შვედეთის მეფე ჩარლზ XII, თავიანთ ჯართან ერთად უკან იხევენ პოლტავიდან, სადაც მარცხი განიცადეს რუსეთის იმპერატორთან ბრძოლაში. დაღლილებმა და ომით მოქანცულებმა გაშალეს ბანაკი ღამის გასათევად (თავი 1-2). მეფე აღფრთოვანდა მაზეპას ცხენოსნობით და მაზეპამ უყვება მეფეს, თუ რამ დაახელოვნა ამ საქმეში (თავი 4). ამის შემდეგ თხრობა პირველ პირში გრძელდება. მაზეპა აღწერს თავის ახალგაზრდობას, როდესაც პოლონეთში მეფე იოანე II კაზიმირთან მსახურობდა პაჟად (თავი 4) და როდესაც გაიცნო ტერეზა, ლამაზი აღმოსავლური გარეგნობის ქალი „აზიური თვალებით“, რომელიც გათხოვილი იყო თავისზე ოცდაათი წლით უფროს გრაფზე. მაზეპას ვნებიანად შეუყვარდა იგი, მას არ შეუძლია ამ ვნების დამორჩილება, ისინი ხვდებიან ღამით და ხორცს შეასხამენ თავიანთ სიყვარულს (I. 298-300).

თუმცაღა, გრაფის ხალხმა შეისწრო ისინი და გრაფს მიჰგვარა. გრაფმა ბრძანება გასცა, რომ აღესრულებინათ უჩვეულოდ სასტიკი სასჯელი: მაზეპა ღვედებით მიაკოჭეს გაუხედნავი ცხენის ზურგს, შემდეგ ცხენს სარჭი ჩაარჭეს და ალალ-ბედზე მიუშვეს (თავი 9). 10-18 თავები ეძღვნება ცხენის ჭენების აღწერას აღმოსავლეთ ევროპაში, ამასთან ერთად ხაზგასმულია ის ტანჯვა, ტკივილი და გაოგნება, რომელსაც მაზეპა განიცდის. თუმცა ცხენს თითქოს უსაზღვრო ენერჯია აქვს და მაზეპა ორჯერ კინაღამ მოკვდა. მეცამეტე თავში იგი საკუთარ თავს აღწერს, როგორც „სიკვდილის პირას“ მყოფს, მაგრამ ძალებს აღიდგენს, როდესაც ცხენი მდინარეს გადაცურავს. მეთვრამეტე თავი მთავრდება მაზეპას გაშემშებული სხეულის აღწერითა და მის მიერ ყორანის ხილვით, რომელიც თავს დასტრიალებს და მზად არის მის ცხედარზე ნადიმის დასაწყებად. თუმცა მეცხრამეტე თავში გაღვიძებული მაზეპა საწოლში აღმოჩნდება და მის ჭრილობებს „კაზაკი გოგონა“ უვლის. ბოლო თავში მაზეპას თხრობა მთავრდება. პოეტი-მთხრობელი გვიხატავს მაზეპას სურათს, რომელიც საწოლს იმზადებს დასაძინებლად. მეფე კი „უკვე ერთი საათის ჩამინებულია“ [16].

შეკითხვა იმაზე, უნდა მოსწონდეს თუ არა მკითხველს მაზეპა, დიდი ხანია მწვავე განხილვის საგნად იქცა. კრიტიკოსები. უ. ჰ. მარშალი თვლის, რომ მაზეპა სრულიად არაპოზიტიური გმირია - „ენაჭარტალა და ეგოისტი მოხუცი კაცია“, რომელიც არასოდეს აგებს პასუხს თავის დანაშაულზე და რომლის ბანალური აღწერა საკუთარი ვნებისა ტერეზასადმი „იმთავითვე მოსაწყენი ხდება“ [17]. თუმცა ჯერომ მაკგანი (1968) საწინააღმდეგო პოზიციას აცხადებს, რომ მაზეპას „შლეგი ჭენება“ ერთგვარი „დასაწყისია იმ პროცესისა“, რომელიც მას გმირად აყალიბებს, გმირად, რომელსაც შეუძლია მოთოკოს საკუთარი ვნებები მეფე ჩარლზისგან განსხვავებით [18].

ჰუბერტ ბაზინსკი (1974) ასევე გვთავაზობს მაზეპას პოზიტიურ პერსონაჟად აღქმას. იგი ხაზს უსვამს მის გულისხმიერებას ჩარლზისა და ცხენებისადმი ნაწარმოების დასაწყისსა და ბოლოში. ბაზინსკის მოსაზრებით მაზეპას გმირი „ბაირონის ერთ-ერთი ყველაზე რეალისტური ქმნილებაა, ჰეროიკული ადამიანური პოტენციალის ფარგლებში“ და რომ ის „კაცობის კარგი ნიმუშია“ [19]. ის ასევე ამტკიცებს, რომ მაზეპას სამკვდრო-სასიცოცხლო გამოცდილება მისი ამ „შლეგი ჭენების“ დროს არის პოემის მთავარი სათქმელი და სიმბოლურად აღნიშნავს ადამიანის გარდაქმნისა და ხელახლა დაბადების შესაძლებლობას. იგი ასევე ამტკიცებს, რომ ფრანგმა მხატვრებმა, რომლებმაც აიტაცეს მაზეპას თემა შემდგომში უფრო განავრცეს ეს იდეა [20].

ამრიგად, ჩვენ ვნახეთ, რომ ჯ. ბაირონის „მაზეპა“-ს საფუძვლად უდევს ლეგენდა კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოები გაორებულ გრძნობას იწვევს, მასში დრამატული მოვლენები მსუბუქ შავ იუმორთან ერთად არის შეზავებული (ბოლო ეპიზოდი, როდესაც მაზეპა ასრულებს თხრობას და ხედავს, რომ მეფეს უკვე დიდი ხანია ჩასძინებია). გარდა ამისა, პოეტი ლექსით ძირითადად თავის თავს წერს, თავისი შინაგანი სამყაროს შესახებ წერს. ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ ბაირონმა ეს პერსონაჟი აირჩია თავისი ნაწარმოების მთავარ გმირად. პერსონაჟი, რომელიც ამართლებს თავის გვარს („მაზეპა“ ნიშნავს „ბინძურს“, „დასვრილს“) თავისი ავხორცული ქცევით: ვნებას აყოლილმა უკანონო კავშირზე დაიყოლია ახალგაზრდა ქალი და დაანგრია მისი ცხოვრება, თავს კი მხოლოდ იმით იმართლებს, რომ ვნება წყლავდა, რომელსაც ვეღარ აკონტროლებდა:

*„But all men are not born to reign,  
Or o'er their passions, or as you  
Thus o'er themselves and nations too.  
I am – or rather was – a prince,  
A chief of thousands, and could lead  
Them on where each would foremost bleed;  
But could not o'er myself evince  
The like control – But to resume:  
I loved, and was beloved again [21].*

*მაგრამ ყველა კაცი არ არის ისე გაჩენილი,  
რომ მართოს თავისი ვნებები და ან თქვენსავით  
საკუთარი თავიც და მთელი ერები.  
მე ვარ - ან უკეთ - ვიყავი თავადი,  
ათასობით კაცის მთავარი და შემემლო მათ წავძლოლოდი  
იქითკენ, სადაც გაჩაღებულიყო სისხლისმღვრელი ბრძოლა;  
მაგრამ არ შემემლო საკუთარ თავზეც გამომეჩინა  
მსგავსი ძალა-უფლება - რომ შევაჯამო:  
მე მიყვარდა, და ვიყავი საყვარელი მე მისთვის კვლავაც [22].*

ვფიქრობთ, რომ აქ ჯ. ბაირონი საკუთარ თავსაც ამხელს იმ აურაცხელ სასიყვარულო თავგადასავლების გამო, იმ ვნებათაღელვების გამო, რომელიც მას კონტროლს აკარგვინებდა საკუთარ თავზე. მისი მხრიდან ეს ერთგვარ აღსარებასავით ჟღერს. ის ასამართლებს საკუთარ თავს, სჯის კიდეც და სასჯელის შემდეგ იწყალებს კიდეც - მაზეპას უცნობი ადამიანები გადაარჩენენ და სიცოცხლეს უბრუნებენ. ჩვენის აზრით, ბაირონისეული მაზეპა არც გმირი და არც ანტიგმირი არ არის, ის უბრალოდ ადამიანურია თავისი დაცემებითა და შეცდომებით, თუმცა ის განცდები, რასაც მხედარი ცხენის მოგზაურობისას განიცდის და რასაც მას მიაწერს ბაირონი, სწორედ ეს არის ჰეროიკული, სწორედ ეს არის ის მძაფრი პოეტური გრძნობები, რასაც თავად ავტორი განიცდის და რაც ასე თანგავს მის სულს. თუმცაღა, დავუბრუნდეთ ისევ სათქმელს და ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ბაირონის მხედარი მიბმულია თასმებით ცხენის ზურგს, რომელზეც ვნებებმა დააკრა, და მთლიანად მიხდობილია მის ჭენებას. აქ ალეგორიულად ცხენში შეიძლება იგულისხმებოდეს ბედისწერა, რომელსაც ვეღარ მართავს მისი მხედარი, რადგან ხორციელ ვნებას შეუკრავს მისთვის ხელ-ფეხი. ვნებას აღძრავს კი მასში ქალის ფიზიკური სილამაზე და ამ გარეგნულ სილამაზეს ბაირონის მხედარი შინაგან სილამაზესთან აიგივებს, პოემაში არაფერია ნათქვამი ქალის თვისებებზე, ოღონდაც მისი გარეგნობის აღწერის შემდეგ მისი გამოხედვა შედარებულია წმინდანების გამოხედვას მოწამეობრივი აღსასრულის წინ:

*„She had the Asiatic eye,...  
Dark as above us in the sky;  
But through it stole a tender light,  
Like the first moonrise at midnight;  
Large, dark, and swimming in the stream,  
Which seem'd to melt to its own beam;  
All love, half languor, and half fire,  
Like saints that at the stake expire,  
And lift their raptured look on high,  
As though it were a joy to die.” [23].*

*“მას ჰქონდა აზიური თვალები,...  
მუქი, როგორც ჩვენს თავზე ზეცა;  
თუმცაღა ნაზი შუქი ანათებდა მას,  
ვით შუალამეს ახლადამოსული მთვარე,  
დიდი, მუქი და თითქოს შუქის ნაკადში მოცურავე,  
რომელიც თითქოს დნება საკუთარ ნათებაში;*

*სრულად სიყვარული, ნახევრად მთვლემარე, ნახევრად მგზნებარე,  
მსგავსად წმინდანებისა, კოცონზე რომ ცოცხლად წვავენ,  
მათ კი აღტაცებული მზერა ზე-აღუპყრიათ,  
თითქოსდა უხაროდეთ სიკვდილი.“ [24].*

იქნებ სწორედ აქ არის ბაირონის გმირის საბედისწერო შეცდომა: იგი ხორციელში ეძიებს სულიერს. მაგრამ ხორციელი სილამაზე ყოველთვის არ ნიშნავს სულიერ მშვენიერებასაც, რაც ასე კარგად აქვს გამიჯნული ბარათაშვილს თავის ერთ-ერთ ლექსში:

*„სილამაზეა მხოლოდ ნიჭი ხორციელების,  
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების;  
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდამი შენამსჭვალეზი,  
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!  
მშვენიერება ნათელია, ზევით მოსული,  
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,  
და კაცთა შორის ვით კერძოსა ღვთაებობისა,  
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?“ [25].*

ამიტომაც, ბაირონი ვერ პოულობს-რა თავისი სულის მონათესავეს, ყოველ ჯერზე იმედგაცრუებული რჩება.

მსგავსების მიუხედავად, სამივე ნაწარმოების დასასრული სხვადასხვაა: „მაზეჰა“-ს ბოლო კეთილი აქვს – მის გონიხდილ მხედარს კეთილი ადამიანები პოულობენ და გადაარჩენენ. „ფარისი“ ს მხედარი, სამშვიდობოს გასულა და მის წინაშე გახსნილია უსაზღვრო თვალსაწიერი:

*„თვალთა ისარი გამიხდა გრძელი,  
მზერა მაქვს ღრმა და საოცრად ვრცელი:  
ამდენი სივრცე ხედვის არეში  
არ დამტევია არც ერთ მხარეში“ [26].*

მაგრამ ეს უკვე სულისთვის დამახასიათებელი ხილვადობაა, ჭემმარიტების წვდომაა, ფიზიკური სხეულისათვის ესოდენ შეუსაბამო და ლოგიკურია, რომ ბოლო სტროფით ავტორი გვატყობინებს მხედარის მიცვალებას იმიერ სამყაროში, მხედრისა, რომელიც შეებრძოლა ყოველგვარ განსაცდელს, მაგრამ სამშვიდობოს გასული ძალაგამოცლილი დაეცა:

*„რა კარგი არის მხრები ლაღად რომ გაშლილია!  
სამყაროს მკლავნი გავუწოდე ალურსიანად,  
ვგონებ, ჩავიკრა დედამიწა მკერდში მთლიანად!  
ცისფერ სივრცეში ფიქრი ჩემი მიეჭანება,  
სულ ზევით, ზევით - ცის გუმბათის თაღს ეტანება.  
ვით ფუტკრის ნესტარს გადაჰყვება თან მისი გული,  
მეც ლაჟვარდ ცაში ფიქრთან ერთად ჩავძირე სული!“ [27].*

„მერანი“-ს მხედრის ბოლო კი ბუნდოვანია, თუმცა მასში უდიდესი წინააღმდეგობების მუხტი იგრძნობა, ერთი შეხედვით გადაულახავი დაბრკოლებები ეღობება წინ, მაგრამ ასევე დიდია მხედრის თავგანწირვაც, ავბედითი წინათგრძნობის მიუხედავად, გადარჩენის იმედი მაინც ცოცხლობს - ეს დაუშრეტელი სიცოცხლისუნარიანობა უკვე ქართული ხასიათია, ათასწლეულების განმავლობაში გენეტიკურ დონეზე ჩამოყალიბებული, და თუ არ უწერია ამ იმედს ასრულება, მაშინ რჩება მაინც უდიდესი ნუგეში, რომ ეს თავგანწირვა ამაო არ იქნება, რომ მისი გაკვალული ბილიკი მოძმეს გზას უჩვენებს და სავალს გაუიოლებს...

*„დაე, მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!  
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!  
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი,  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!  
ცულად ხომ მაინც არ ჩავილის ეს განწირული სულის კვეთება,  
და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,*



და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს!“ [28].

აკი, უჩვენა კიდეც – მთელი შემდეგი თაობები გაიზარდნენ ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაზე, მის წინაშე კრძალვით თავს ხრიდნენ, ლექსებს უძღვნიდნენ, განიცდიდნენ მის გავლენას ისეთი დიდი პოეტები და მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ბორის პასტერნაკი, არტურ ლაისტი, ავეტიქ ისააკიანი და ა.შ. [29].

ჯ. ბაირონის „მაზეპა“ ძალიან პოპულარული იყო რომანტიზმის ადრეულ ხანაში; მაზეპას თემაზე იწერებოდა პიესები, მუსიკალური ნაწარმოებები. ზოგადად ბაირონმა მიმართულება მისცა მთელს ეპოქას, თუმცა დღესდღეობით „მაზეპა“ ნაკლებად იპყრობს კრიტიკოსების ყურადღებას. „ფარისი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა პოლონელ, რუს და ქართველ მოაზროვნეებს შორის. ისიც ცნობილია, რომ მას ხშირად კითხულობდნენ საქართველოს 1832 წლის შეთქმულების მონაწილენიც. რაც შეეხება ბარათაშვილის „მერანი“-ს, ის ღრმად აღიბეჭდა გულში ყოველმა ქართველმა. „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება!“ – 180 წელზე მეტია უკვე ქართველობა ამ სიტყვებით იმხნეებს თავს და ყველაზე უკიდურეს გასაჭირშიც კი გვჯერა, რომ ამოდ არ ჩაივლის თავგანწირული სულისკვეთება. მაშ, ღირს ბრძოლა და ღირს თავდადება!

### ლიტერატურა

1. ი. მეუნარგია: „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ გამომც. „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1968 წ. 5. ციტირებულია: One Hundred Modern Poems Selected, A Mentor Book, New York: The New American Library, 1951, 7.
2. ადამ მიკვიევიჩი; რჩეული თხზულებანი; „ფარისი“, „საბჭოთა საქართველო“ 1986 წ.
3. ნიკოლოზ ბარათაშვილი თხზულებანი; გამომც.: „საბჭოთა საქართველო“ 1968 წ.;
4. ნიკოლოზ ბარათაშვილი, „პირადი წერილები“, მ. ცერცვაძე, თბილისი, 2015წ. გამომც. „არტანუჯი“.
5. პ. ინგოროყვა, „ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი“; გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1968 წ.
6. მ. ცერცვაძე, „100 ამბავი. ნიკოლოზ ბარათაშვილი“; გამომც. „არტანუჯი“, 2020 წ.
7. G. Byron “Mazeppa”.
8. “ნიკოლოზ ბარათაშვილი „ფოტოალბომი“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1968 წ.
9. ნ. ბარათაშვილი, „რად ჰყვედრი კაცსა“.
10. [https://en.wikipedia.org/wiki/Mazeppa\\_\(poem\)](https://en.wikipedia.org/wiki/Mazeppa_(poem)) ; Overview; (თარგმანი მ.ნიკოლაძე).
11. Marshall, W. H. (1961). "A Reading of Byron's Mazeppa". *Modern Language Notes*. 76 (2): 120 doi:10.2307/3040622. JSTOR 3040622.
12. McGann, Jerome (1968). *Fiery Dust: Byron's Poetic Development*. Chicago: University of Chicago Press. pp. 177–184.
13. Babinski, p. 46.
14. Bialas, Zbigniew (1999). *East-Central European Traumas and a Millennial Condition*. East European Monographs. New York: Columbia University Press.
15. <https://vasmer.slovaronline.com/7294>-<https://allpoetry.com/poem/8532063-Faris-by-Adam-Mickiewicz>
16. Adam Mickiewicz, “Faris”, Analysis; (თარგმანი მ.ნიკოლაძე) <https://allpoetry.com/poem/8532063-Faris-by-Adam-Mickiewicz>

About the issue of the addressees and motives of „Mazeppa“, „Faris“ and „Merani“

Maia Nikoladze

### Abstract

In the beginning of the XIX century three poetic masterpieces – “Mazeppa” by G.G. Byron, “Faris” by A. Mickiewicz and “Merani” by N. Baratashvili were written. These were the poems, which greatly affected the following epoch in literature. They have many issues in common, though differences are also obvious. Among differences can be assumed the addressees of the poems and to some extent the motives as well. These issues are discussed in the article.

0231 ენის დაუფლება LANGUAGE ACQUISITION

Nihil sub Sole Novum /არაფერია მზის ქვეშ ახალი  
Marcus Fabius Quintilianus

ქეთევან ფუტკარაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Akaki Tsereteli State University

E-mail: Putkaradze.ketevani@atsu.edu.ge

რეზიუმე

პირველი საუკუნის მიწურულს რომაელმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსმა დაწერა ტრაქტატი სახელწოდებით Institutio Oratoria, რომელიც ქართულად ითარგმნა, როგორც „მჭევრმეტყველების სწავლება“. ნაწარმოები კვინტილიანუსმა დაწერა იმ მიზნით, რომ შეექმნა ზოგადად ადამიანის და კონკრეტულად, მჭევრმეტყველის იდეალური მოდელი, რომელიც, რომელიც ავტორის მიხედვით, თავის თავში გულისხმობს შესანიშნავ ორატორს და კიდევ უფრო კარგ, პატიოსან პიროვნებას, რაც, კვინტილიანუსის მიხედვით, ასე ჟღერს: Vir bonus, dicendi peritus - კარგი კაცია, კარგად ლაპარაკობს. როდესაც ნაშრომს ეცნობი, ხვდები, რამდენი რამე უნდა ისწავლო, რომ იყო კარგი ადამიანი და რამდენი კიდევ დაამატო, რომ გახდე კარგი ორატორი, ანუ თავს უფლება მისცე, საჯაროდ ესაუბრო ადამიანებს. ფაქტობრივად, წიგნი მჭევრმეტყველებაზე კი არა, უფრო სწორად, არა მხოლოდ მჭევრმეტყველებაზე, არამედ განათლებასა და კარგი მოქალაქის აღზრდაზეა, განათლების და აღზრდის საკითხები კი ყოველთვის, ყველა ეპოქაში, ყველა ტიპის საზოგადოებაში აქტუალურია და დიდ ინტერესს იწვევს.

*“როცა მე ამ მძიმე შრომას შევუდექი, ვერ გეტყვით, მქონდა თუ არა წარმოდგენილი მთელი ის სირთულე, რასაც ახლა ვგრძნობ. მაშინ ვერ ვიფიქრებდი, რომ ამ ტვირთის აღება საკუთარ თავზე შემძლებოდა. თუმცა, დასაწყისშივე კარგად მქონდა გააზრებული, რომ რასაც შეგპირდით, ის ვალდებულება უნდა შემესრულებინა. ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ შრომა ყოველ ეტაპზე უფრო და უფრო რთულდებოდა, გადავწყვიტე, ყველა დაბრკოლებისთვის გამეძლო და არ მეფიქრა, რომ უაზრობაა ის, რასაც შევეჭიდე (მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი. „მჭევრმეტყველების სწავლება“. წიგნი 12, თავი 1. სტრიქონები 1-9).*

პირველი საუკუნის მიწურულს რომაელმა მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსმა დაწერა ტრაქტატი სახელწოდებით Institutio Oratoria, რომელიც ქართულად ითარგმნა, როგორც „მჭევრმეტყველების სწავლება“. ნაწარმოები კვინტილიანუსმა დაწერა იმ მიზნით, რომ შეექმნა ზოგადად ადამიანის და კონკრეტულად, მჭევრმეტყველის იდეალური მოდელი, რომელიც, რომელიც ავტორის მიხედვით, თავის თავში გულისხმობს შესანიშნავ ორატორს და კიდევ უფრო კარგ, პატიოსან პიროვნებას, რაც, კვინტილიანუსის მიხედვით, ასე ჟღერს: Vir bonus, dicendi peritus - კარგი კაცია, კარგად ლაპარაკობს. როდესაც ნაშრომს ეცნობი, ხვდები, რამდენი რამე უნდა ისწავლო, რომ იყო კარგი ადამიანი და რამდენი კიდევ დაამატო, რომ გახდე კარგი ორატორი, ანუ თავს უფლება მისცე, საჯაროდ ესაუბრო ადამიანებს. ფაქტობრივად, წიგნი მჭევრმეტყველებაზე კი არა, უფრო სწორად, არა მხოლოდ მჭევრმეტყველებაზე, არამედ განათლებასა და კარგი მოქალაქის აღზრდაზეა, განათლების და აღზრდის საკითხები კი ყოველთვის, ყველა ეპოქაში, ყველა ტიპის საზოგადოებაში აქტუალურია და დიდ ინტერესს იწვევს.

ვინ იყო მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი?

საჭიროდ ჩავთვალეთ, რომელიც ავტორის ბიოგრაფიული მომენტების მაქსიმალურად სრული ვერსია მოგვეწოდებინა. მოვიძიეთ ჩვენამდე მოღწეული ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეპიზოდები კვინტილიანუსის ცხოვრებიდან, მით უმეტეს, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მასზე ბევრი არაფერია ცნობილი.

კვინტილიანუსს ხშირად ახსენებდნენ ანტიკური ეპოქის ავტორები. მაგალითად, სვეტონიუსმა, მისი გარდაცვალებიდან მალევე, მიუძღვნა ერთი თავი ტრაქტატში De Illustribus Grammaticis და De Claris Rhetoribus, როგორც ეს ჩანს ამ ტრაქტატის რამდენიმე ხელნაწერის ინდექსში. ეს თავი დაკარგულია, მაგრამ იგი გამოიყენა იერონიმემ, რომლის „ქრონიკები“ შეიცავს ორ მნიშვნელოვან და

საკმაოდ საკამათო ტესტიმონიას კვინტილიანუსის ცხოვრების შესახებ.

რენსესანსის დროს, როცა 1416 წელს ხელახლა აღმოაჩინეს კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლება“, რომელიც მაშინვე აღიარეს ერთ-ერთ გავლენიან ნაშრომად, გაიზარდა მისი ავტორისადმი ინტერესი. ნაშრომი იმდენად ეფექტური იყო, რომ მაშინვე დაიწყეს მისი შემქმნელის ცხოვრების შესწავლა, უფრო მეტიც, პარალელურად, დაიწყეს მისი ცხოვრებისეული მომენტების რომანტიზირება.

მე-15 საუკუნის დასასრულიდან ნაპოვნია პირველი მცდელობები, შეეთავსებინათ ანტიკური ეპოქის ბიოგრაფიული ტესტიმონიები (Schanz 1913: 453) და თავად კვინტილიანუსის ავტობიოგრაფიული ჩანართები „მჭევრმეტყველების სწავლებიდან“, ასევე ინფორმაციები სხვადასხვა ნაწარმოებებიდან (Garin 1952: 870–885; Schönberger 2011: 101–104), რომლებიც აისახა ანონიმურად, ერთ ფურცელზე დაბეჭდილ მოკლე ბიოგრაფიაში, 1494 წლის ერთ-ერთ ვენეციურ გამოცემაში.

კვინტილიანუსის ამ ბიოგრაფიის ავტორობა საკმაოდ საკამათო იყო საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ 2015 წლიდან უკვე ცნობილია, რომ იგი ეკუთვნის ლორენცო ვალას, პომპონიუს ლეტუსის დამატებებით (იხ.: Stok 2015). ცოტა უფრო ადრე, მემატანე ჯაკომო ფილიპო ფორესტიმ დაწერა მოკლე შენიშვნები თავის ნაწარმოებში Supplementum chronicarum (Bergomensis 1485:150), რომ კვინტილიანუსი იყო გამოჩენილი ადამიანი ნერონის მეფობის დროს. ორივე ბიოგრაფია რამდენჯერმე გამოიცა მე-19 საუკუნის დასაწყისამდე (Poliziano. Opera of 1536, ed. Burman and Lemaire, vol. 7; Valla. Biography, Paris 1538; Leiden 1665; Burman's edition; Rollin's abridged edition of 1715; and Lemaire's edition, vol. 7).

XVII საუკუნის ბოლოს, კვინტილიანუსის პირველი ყოვლისმომცველი და დეტალური ბიოგრაფია გამოქვეყნდა ათ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში: 22-ე თავში დომიტიანუსის შესახებ ტილემონის *რომის იმპერატორების ისტორიაში* (Tillemont 1691: 113–115, 540); ნიკოლაუს ანტონიოს მიერ (დ. 1684) მის ესპანურ ბიოგრაფიულ ლექსიკონში იმპერატორ ავგუსტუსიდან 1500 წლამდე, რომელიც გამოქვეყნდა 1696 წელს (Antonio 1696: 1.12.52–61), და ჰენრი დოდველის *Annales Quintilianeae*, რომელიც გამოქვეყნდა ანტონიოს ნაშრომიდან ორი წლის შემდეგ, მაგრამ, როგორც სჩანს, მისგან დამოუკიდებლად დაიწერა (Dodwell 1698, გადაბეჭდილი Lemaire-ში 1825: 139–265).

დოდველის *Annales Quintilianeae* გვთავაზობს მწერლის დეტალურ ბიოგრაფიას წლების მიხედვით. ნაშრომი ტოვებს ფაქტებში ზედმეტად დარწმუნებულობის შთაბეჭდილებას, მოვლენებისათვის კონკრეტული თარიღების მინიჭებისას კვინტილიანუსის ცხოვრებიდან. დოდველის შემდეგ, არაერთი მეცნიერი, ძირითადად, საფრანგეთიდან და გერმანიიდან, ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა კვინტილიანუსის ბიოგრაფიის შესწავლაში, მაგრამ არავის გაუკეთებია წყაროებისა და მითითებების ფუნდამენტურად ახალი ინტერპრეტაციები.

მეთვრამეტე საუკუნეში პიერ ბეილმა დაწერა მოკლე ლემა კვინტილიანუსის ცხოვრების შესახებ დეტალური შენიშვნებით (1702). ჩარლზ როლინმა დაბეჭდა კვინტილიანუსის მოკლე ბიოგრაფია 1715 წლის ანთოლოგიაში. ნიკოლა ჟედუანი „მჭევრმეტყველების სწავლების“ თარგმანის წინასიტყვაობაში (1718), იძლევა კვინტილიანუსის ბიოგრაფიის მცირე მონახაზს, რომელშიც იგი რომაელს წარმოაჩენს პატივცემულ მასწავლებელად და სახელმწიფო ხელფასის ბენეფიციარად, რომელმაც აღადგინა მჭევრმეტყველების დიდება. გერმანიაში იოჰან მათიას გესნერმა წარმოადგინა კვინტილიანუსის ცხოვრების სრული და კარგად დოკუმენტირებული გამოკვლევა, რომელიც, ძირითადად, დოდველის ინფორმაციას ეყრდნობოდა (1738).

მეცხრამეტე საუკუნეში ფრიდრიხ მიულერმა გამოაქვეყნა თავისი კვლევის შედეგები კვინტილიანუსის ბიოგრაფიაზე, რომელიც მან აიღო, როგორც შესავალი კურსი „მჭევრმეტყველების სწავლების“ (Müller 1840). ე. ჰამელმა დაამუშავა ბიოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ინფორმაციები (Hummel 1843) და ჰამელის პასუხად, დრაიზენმა სასკოლო კურიკულუმის შესავალი ნარკვევი მიუძღვნა იმ პრობლემებს, რომლებიც წარმოიქმნება „მჭევრმეტყველების სწავლების“ გაცნობისას (Driesen 1845).

გარდა ამისა, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების სხვადასხვა გამოცემების შესავალი შეიცავს დისკუსიებს მრავალ საკითხზე კვინტილიანუსის ბიოგრაფიიდან (Dossou 1884: 5-17; Peterson 1891: 1-13; Colson 1924: 9-20). 1931 წელს ქაზანმა გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც განიხილავდა აზრთა სხვადასხვაობას კვინტილიანუსის დაბადების ადგილსა და დროსთან დაკავშირებით, მისი ქორწინებისა და გარდაცვალების თარიღთან და ტრაქტატზე მუშაობის დაწყების თარიღთან დაკავშირებით (Cousin 1931). არსებობს კვინტილიანუსზე ბიოგრაფიული ტრადიცია ბატლერის და რასელის Loeb-გამოცემებიდან; კლარკის 1967 წლის ბიოგრაფიული ჩანახატი (Clarke 1967) და კენედის მონოგრაფიის პირველი თავი კვინტილიანუსის შესახებ (Kennedy 1969, შესწორებული გამოცემა 2013), რომლებიც გვაწოდებს მოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველ განხილვებს კვინტილიანუსისა ცხოვრების შესახებ. McDermott and Orentzel 1979 მოიცავს მოკლე ინფორმაციას კვინტილიანუსის ბიოგრაფიის დომიტიანუსთან ურთიერთობის კვლევის კონტექსტში,

კოლსონი შენიშნავს, რომ არაჩვეულებრივი რაოდენობის საეჭვო ან თუნდაც დაუსაბუთებელი განცხადებები გაკეთდა სხვადასხვა მწერლების მიერ კვინტილიანუსის ცხოვრების თემაზე (Colson 1924: 9 n. 1). კვინტილიანუსის ცხოვრებისა ამბის დადგენის მცდელობები ამის შემდეგაც კარგა ხანს გრძელდებოდა.

**როდის დაიბადა და როგორი განათლება მიიღო განათლებაზე ტრაქტატის ავტორმა?** კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლებაში“ ნათლად ჩანს იმ ორატორების შესახებ, რომლებიც აქტიურობდნენ რომში პირველი საუკუნის შუა ხანებში, განსაკუთრებით, სერვილიუსი (დ. 60; 10.1.102), გალერიუსი, ტრახალუსი (6.3.78, 8.5.19, 10.1.119, 12.5.5, 10.11), ვიბიუს კრისპუსი (10.1.119, 12.10.11), იულიუს სეკუნდუსი (10.1.120, 12.10.11), იულიუს აფრიკანუსი (10.1.118) და აგრეთვე, დომიტიანუსი (დ. 59/60; 10.1.118 და მრავალი სხვა ადგილი).

რომმა დიდი წვლილი შეიტანა კვინტილიანუსის ორატორად ჩამოყალიბებაში, თუმცა, არ ვიცით, მიიღო თუ არა მან განათლება სრულად რომში. ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, გესნერი (1738:7), მართებულად მიიჩნევს იუვენალისის სქოლიასტის შენიშვნას - სქოლიო 6.452 (Gesner 1931:102), სადაც აღნიშნულია, რომ კვინტილიანუსი იყო მოსწავლე გრამატიკოს რემიუს პალემონის, რომელიც მოღვაწეობდა რომში ტიბერიუსის და კლავდიუსის მმართველობის დროს, რადგან თავად კვინტილიანუსი ახსენებს ამ გრამატიკოსს (1.4.20).

ჰამელმა (1843: 13-14) ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ კვინტილიანუსი ახსენებს პალემონს მხოლოდ წარსულში და რომ თავად პალემონი საკამათო ფიგურა იყო (Suet. Gram. 23). ჰამელის აზრით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კვინტილიანუსი თავისივე სკოლაში სწავლობდა. იგი ფიქრობს, რომ კვინტილიანუსი არცერთს არ ახსენებს მისი ცნობილი მასწავლებლებიდან. მან, შესაძლოა, განათლება მიიღო მასწავლებლებისგან, რომლებიც უცნობი იყვნენ რომში (Hummel 1843: 14).

ანალოგიურად, კოლსონი (Colson 1924: 11-13) წერს, რომ კვინტილიანუსის მოკლე შენიშვნები საკუთარი განათლების შესახებ (1.2.23 და 2.4.26, იმის შესახებ, რომ მასწავლებლები ანაწილებდნენ მოსწავლეებს კლასებში და ამზადებდნენ მათ; 1.7.26, 27, სიტყვების მართლწერის შესახებ; 1.10.39, მისი გაკვეთილების შესახებ გეომეტრიაში; 1.2.2, დაახლოებით თავის კლასში დეკლამაციური სავარჯიშოების ორგანიზების შესახებ) უნდა ამტკიცებდეს იმას, რომ მომავალმა ორატორმა დაწყებითი განათლება მიიღო რომში. ამრიგად, მკვლევარმა ღიად დატოვა შეკითხვა, სად გაატარა კვინტილიანუსმა ადრეული ასაკი. ეს კითხვა მჭიდროდ არის დაკავშირებული კითხვასთან - სად დაიბადა კვინტილიანუსი.

ნაკლებად სავარაუდოა, დღეს ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს, რომ კვინტილიანუსი დაიბადა კალაჰორაში (Calahorra), ესპანეთში, მაგრამ მრავალი საუკუნის განმავლობაში კვინტილიანუსის დაბადების ადგილი იყო კამათის საგანი, რადგან არსებული ინფორმაციები არ იძლეოდა დამაჯერებელ პასუხს ამის შესახებ.

ზოგიერთი ადრეული ბიოგრაფოსი, დაწყებული მემატანე ჯაკომო ფილიპო Hummel 1843) და ჰამელის პასუხად, დრაიზენმა სასკოლო კურიკულუმის შესავალი ნარკვევი მიუძღვნა იმ პრობლემებს, რომლებიც წარმოიქმნება „მჭევრმეტყველების სწავლების“ გაცნობისას (Driesen 1845).

გარდა ამისა, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების სხვადასხვა გამოცემების შესავალი შეიცავს დისკუსიებს მრავალ საკითხზე კვინტილიანუსის ბიოგრაფიიდან (Dossou 1884: 5-17; Peterson 1891: 1-13; Colson 1924: 9-20). 1931 წელს ქაზანმა გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც განიხილავდა აზრთა სხვადასხვაობას კვინტილიანუსის დაბადების ადგილსა და დროსთან დაკავშირებით, მისი ქორწინებისა და გარდაცვალების თარიღთან და ტრაქტატზე მუშაობის დაწყების თარიღთან

დაკავშირებით (Cousin 1931). არსებობს კვინტილიანუსზე ბიოგრაფიული ტრადიცია ბატლერის და რასელის Loeb-გამოცემებიდან; კლარკის 1967 წლის ბიოგრაფიული ჩანახატი (Clarke 1967) და კენედის მონოგრაფიის პირველი თავი კვინტილიანუსის შესახებ (Kennedy 1969, შესწორებული გამოცემა 2013), რომლებიც გვაწოდებს მოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველ განხილვებს კვინტილიანუსის ცხოვრების შესახებ. კვინტილიანუსი დაიბადა კალაგურისში (Calagurris). ეს დაშვება ეფუძნება ორ ჩვენებას: 1. იერონიმეს შენიშვნას ახ. წ. 88 წელს მისსავე „ქრონიკებში“ „სადაც კვინტილიანუსი მოხსენიებულია, როგორც კაცი კალაგურისელი (Quintilianus ex Hispania Calagurritanus, Helm 1956: 190); 2. ავსონიუსის პირველ ლექსს ბორდოს პროფესორების ხსოვნისადმი, სადაც ნათქვამია, რომ კალაგურისი ამაცობს, რომ კვინტილიანუსი მისი კურსდამთავრებული იყო (პროფ. 1.7). თუმცა, ლორენცო ვალა კამათობდა 1493 წელს, რომ მისი აზრით, კვინტილიანუსი დაიბადა რომში, პირველი იმიტომ, რომ მარციალისი არ ახსენებს კვინტილიანუსს პოემაში, რომელიც აღნიშნავს ზოგიერთ ცნობილ მწერალს ესპანეთიდან (1.61), მაშინ როცა ის სხვაგან ახსენებს მას, როგორც ცნობილ რომაელ მასწავლებელს და ორატორს (2.90; ვალა ციტირებს ამ პოემის პირველ ორ სტრიქონს); მეორე იმიტომ, რომ კვინტილიანუსი ამბობს, ის იცნობდა დომიტიუს აფერსა და სენეკას, ორ მამაკაცს, რომლებიც ნერონის მეფობის დროს დაიღუპნენ, როდესაც კვინტილიანუსი იყო *adulescentulus* (ახალგაზრდა კაცი) (5.7.7 და 8.3.31), თუმცა სინამდვილეში კვინტილიანუსი საკუთარ თავს უწოდებს *iuvenis admodum* (მალიან ახალგაზრდას) 8.3.31 და მესამე იმიტომ, რომ სენეკა უფროსი თავის ნაშრომში *Declamationes* ამბობს, რომ ვინც მალიან აქტიურობდა რომში პირველი ათწლეულების განმავლობაში, ახსენებდნენ *Quintilianus senex*-ს (მოხუც კვინტილიანუსს, *Sen. Contr. 10, pr. 2*; მისი ხუმრობა ნახსენებია კონტრ. 10.4.19-ში), რომელიც, ვალას მიხედვით, იყო კვინტილიანუსის ბაბუა.

ანტონიომ (1696: 53) უარყო ეს არგუმენტები, მაგრამ ორი წლის შემდეგ დოდველი დაუბრუნდა იმ აზრს, რომ კვინტილიანუსი, შესაძლოა, რომში იყოს დაბადებული. მას სჯეროდა, რომ კვინტილიანუსს უწოდეს კალიგურიტანელი არა იმიტომ, რომ იქ დაიბადა, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრობდა და მუშაობდა იქ 61 წლიდან 68 წლამდე (Dodwell 1698: 92–94).

დოდველის რწმენა ემყარება იერონიმეს ჩანაწერს, რომელიც თარიღდება 68 წლით, როცა გალბამ კვინტილიანუსი რომში ჩაიყვანა (*M. Fabius Quintilianus Romam a Galba perducitur*, Helm 1956: 186) და მისი ვარაუდია, რომ კვინტილიანუსი გალბას შეუერთდა ესპანეთის გუბერნატორის მისიის შესრულების დროს, რაც რვა წელი გაგრძელდა. დოდველის შემდეგ, გედოინმა (Gédoyn 1718: 108) მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომ კვინტილიანუსი იყო რომაელი. ის ამტკიცებს, სხვა საკითხებთან ერთად, რომ თუ ვინმე აღიარებს, რომ კვინტილიანუსი იყო წარმოშობით ესპანელი, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მან დაივიწყა მშობლიური ენა, რადგან უცხო სიტყვების მონაკვეთში აღნიშნავს, რომ მას უთხრეს სიტყვა *gurdus*-ს აქვს ესპანური წარმოშობა (1.5.57; Gédoyn 1718: 54; Colson 1924: 12 n.). როლინმა დაბადების ადგილთან დაკავშირებული მოსაზრებები მოგვიანებით საეჭვოდ ჩათვალა (Rollin 1741: 77).

კვინტილიანუსის დაბადების ადგილის საკითხი კვლავ განიხილეს მიულერმა (1840: 4–6), ჰამელმა (1843: 11–13) და დრაიზენმა (1845: 4–7). ყველამ დაასკვნა, რომ კვინტილიანუსი დაიბადა კალაგურისში და ადრეულ ასაკში ჩამოიყვანეს რომში. ეს მოსაზრება, რომელსაც არ ეთანხმება ზოგიერთი მკვლევარი (შდრ.: Schwabe 1909), მას შემდეგ ჭარბობს, რაც გამურინმა მოიპოვა ვოლსინიის წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი და მან მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომ კვინტილიანუსი წარმოშობით იტალიელი იყო (Gamurrini 1904); ხოლო კოლსონი თვლიდა, რომ კვინტილიანუსმა ადრეული ცხოვრება მთლიანად ესპანეთში გაატარა (Colson 1924: 9–13).

კვინტილიანუსის დაბადების თარიღის დადგენისას, რა თქმა უნდა, შევეცადეთ, გამოგვეყენებინა თავად კვინტილიანუსის რამდენიმე ცნობა „მჭევრმეტყველების სწავლებიდან“. 10.1.24-ში იგი აღნიშნავს, რომ როდესაც ბიჭი იყო (*nobis pueris*), გაიუს სალუსტიუს კრისპუსის და სხვების თვალსაჩინო დაცვა იყო მალიან ცნობილი. კრისპუსი გარდაიცვალა 49 წელს, იუვენალისის შესახებ სქოლიონის მიხედვით (*Schol. Vet. in Juv. Sat. 4.81*). კვინტილიანუსი ასევე ახსენებს დომიტიუს აფერს, რომელიც მაშინ მოხუცი კაცი იყო (5.7.7, შდრ. 12.11.3, სადაც ამბობს, რომ აფერი გვიან ნახა, სიბერეში).

ცნობილია, რომ დომიტიუს აფერი გარდაიცვალა 59/60 წელს (*Tac. Ann. 14.19*). 6.1.14-ში კვინტილიანუსი აღნიშნავს, რომ მოსამართლე კოსუტიანუს კაპიტოს შენიშვნა, რომელიც მან მოისმინა მოზარდობისას, გულისხმობდა, ალბათ, სასამართლო პროცესს 57 ან 58 წლებში, რომელშიც კოსუტიანუსი გაასამართლეს შანტაჟისთვის (*Tac. Ann. 13.33*). თუმცა, კოსუტიანუსი უკვე აქტიური იყო, როგორც მოსამართლე 47 წელს (*Tac. Ann. 11.6.5*) და კვინტილიანუსს, შესაძლოა, მოესმინა მისთვის

სასამართლო პროცესამდე, რომელშიც იგი ბრალდებული იყო.

სხვა პასაჟში კვინტილიანუსი აღნიშნავს, რომ როდესაც ის ახალგაზრდა იყო, სენეკასა და პომპონიუს სეკუნდუსს შორის გაიმართა დისკუსია იმის შესახებ, ფრაზა *gradus eliminat* იყო თუ არა გამოყენებული ტრაგედიებში (8.3.31). ვარაუდობენ, რომ ეს დისკუსია შეიძლება შედგა სენეკას გადასახლებიდან დაბრუნებისას - 50 წელს ან ცოტა ხნის შემდეგ.

ამრიგად, კვინტილიანუსი საკუთარ თავს მონაცვლეობით უწოდებს *puer*, *adulescentulus* და *iuvenis* ორმოციანი წლების დასასრულს და 60-ში. შესაბამისად, კვინტილიანუსის დაბადების თარიღად სახელდება სრულიად სხვადასხვა რიცხვები, კერძოდ: დაახლოებით 42 წელს, ან უფრო ადრე (Dodwell 1698: 69– 87); დაახლოებით 38 ან უფრო ადრე (Hummel 1843: 10); 35 წელს ან დაახლოებით (Driesen 1845: 2–4; Peterson 1891: 3–4) და დაახლოებით 30 წელს (Cousin 1931: 68; Cousin 1975: 15). თუმცა, ყველა თანხმდება იმაში, რომ კვინტილიანუსი რომში იმყოფებოდა ორმოციანი წლების ბოლოდან მაინც.

**როგორი იყო კვინტილიანუსის მასწავლებლობის კარიერა?** „მჭევრმეტყველების სწავლების“ რამდენიმე პასაჟი აჩვენებს, რომ კვინტილიანუსი იმყოფებოდა რომში ორმოციანი წლების ბოლოსა და 59/60 წლებს შორის; რომ მან რომი დატოვა გარკვეული დროით, დაახლოებით 59/60 ან სულ ცოტა მოგვიანებით, რადგან ეს ჩანს შენიშვიდან 68 წლით დათარიღებულ იერონიმეს „ქრონიკაში“: იმ წელს რომში კვინტილიანუსი მიიყვანა გალბამ (Fabius Quintilianus Romam a Galba perducitur).

გალბა ესპანეთის გუბერნატორი იყო *Tarraconensis*-ში რვა წლის განმავლობაში და დაბრუნდა რომში 68 წლის ბოლოს, ვარაუდობენ, ნერონის სიკვდილის შემდეგ. იერონიმეს ჩვენების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ კვინტილიანუსი ასოცირდებოდა გალბასთან, გარკვეულწილად, 68 წელს, მაგრამ ამის შესახებ მეტი არაფერია ცნობილი. ეს ჩვენება ცენტრალურ როლს თამაშობს მეცნიერთა სპეკულაციებში კვინტილიანუსის რომში ყოფნა/არყოფნის ხანგრძლივობის შესახებ. დამატებითი ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

ეს ასევე არის გადამწყვეტი ჩვენება კვინტილიანუსის, როგორც მასწავლებლის კარიერის თარიღების შესახებ დისკუსიებში, კარიერისა, რომელიც ოცი წელი გაგრძელდა, როგორც თავად კვინტილიანუსი ამბობს (1. pr. 1).

დოდველმა ჩათვალა, რომ კვინტილიანუსი გალბას პროტექტე იყო და ამიტომ შეუერთდა მას მისი რვაწლიანი მისიისას, როგორც ესპანეთის გუბერნატორს, 60/61 წლებში (დოდველი 1698: 92).

ჰამელმა გააპროტესტა ეს მოსაზრება და თქვა, რომ კვინტილიანუსმა 57/58 წელს ჩატარებული სასამართლო პროცესების შემდეგ დატოვა მასწავლებლის კარიერა, რაზეც, კვინტილიანუსი, სავარაუდოდ, მიუთითებს 6.1.14-ში და ასევე, აფერის გარდაცვალება 59/60 წლებში, რადგან ჰამელის შეხედულებით, კვინტილიანუსი აუცილებლად ახსენებდა აფერის გარდაცვალებას, რომლითაც იგი შეძრული იყო. ჰამელმა აქვე ვარაუდი გამოთქვა დოდველის შეხედულების საპასუხოდ, რომ გალბა გახდა კვინტილიანუსის მფარველი ესპანეთში ყოფნის დროს (1843: 19–20). სულ ერთია, შეიძლება ასეც იყოს, არავის არასოდეს ეპარებოდა ეჭვი, რომ კვინტილიანუსმა რომი დატოვა და მისი არყოფნა რომში გაგრძელდა რვა-ათი წელი.

რაც შეეხება კვინტილიანუსის მიერ რომის დატოვების მიზეზს, ვარაუდობენ, რომ იგი მშობლიურ პროვინციაში დაბრუნდა მასწავლებლად და ორატორად, რადგან მიხვდა, რომ მისი კარიერის შესაძლებლობები რომში მცირე იყო (Hummel 1843: 20; შდრ. Driesen 1845: 10). 1.2-ში მოყვანილი ავსონიუსის ჩვენება შეიძლება გულისხმობდეს, რომ კვინტილიანუსი მუშაობდა მასწავლებლად და ორატორად კალაპორაში (თუმცა, მეცნიერთა უმეტესობა არ ემხრობა ამ მოსაზრებას. შვაბე ვარაუდობს, რომ შესაძლოა, იგი დასახლდა პროვინციის დედაქალაქ ტარაკოში, რომელიც დიდად აყვავებული იყო ავგუსტუსის დროიდან, თუმცა ფაქტია, რომ ჩვენ გვაკლია ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ წავიდა კვინტილიანუსი ესპანეთში, სადაც ადრე ცხოვრობდა და იქ რას აკეთებდა. ასევე გაუგებარია, რატომ გადაწყვიტა დაბრუნდეს რომში, თუ მას არ ჰქონდა რაიმე მონაწილეობა მიღებული გალბას გეგმებში, რომში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ან არ იყო სხვაგვარად ერთგული მის მიმართ (1909: 1848).

იერონიმეს ჩანაწერი 68 წელს არის ასევე მთავარი ჩვენება თარიღების დადგენის მცდელობებისას კვინტილიანუსის მასწავლებლად მოღვაწეობის თვალსაზრისით. კვინტილიანუსის მიხედვით, ის ასწავლიდა ოცი წლის განმავლობაში და იერონიმეს ჩანაწერით, როგორც წინაპირობით, დოუველმა დაასკვნა, რომ კვინტილიანუსმა დაიწყო მასწავლებლობა რომში დაბრუნებისთანავე და დაასრულა იქვე, 88 წელს (Dodwell 1698: 98–99). თავისი მოსაზრების დასადასტურებლად, მან

მოიშველია იერონიმეს სხვა ჩანაწერი კვინტილიანუსზე 88 წელს. ამ ჩანაწერის ტექსტი მკვლევრებს საეჭვოდ ეჩვენებათ.

უმეტეს ხელნაწერებში, როგორც, მაგალითად, კასიოდორიუსის ტექსტში, ნათქვამია: კვინტილიანუსი, კაცი კალაგურისელი ესპანეთში, იყო პირველი მასწავლებელი რომში, რომელმაც მიიღო საჯარო სკოლა და ხელფასი ხაზინიდან და ის ცნობილი გახდა "Quintilianus ex Hispania Calaguritanus primus Romae publicam scholam et salarium e fisco accepit et claruit (1865: 1230). მეთექვსმეტე საუკუნეში ჯ. სკალიგერმა (Scaliger გამოქვეყნების თარიღი არ არის: 203) ასე შეცვალა ტექსტი: კვინტილიანუსი, კაცი ესპანეთის კალაგურისიდან, იყო პირველი მასწავლებელი რომში, რომელმაც გახსნა საჯარო სკოლა, ხელფასი მიიღო ხაზინიდან და გახდა ცნობილი.

მისი აზრით, კვინტილიანუსის მიერ ნახსენები ოცი წელი (1 pr. 1) დაიწყება არა კვინტილიანუსის რომში დაბრუნების შემდეგ, არამედ ესპანეთში ჩასვლის შემდეგ, რაც უნდა იყოს, ჰამელის თანახმად, 59 წელს, დომიტიუს აფერის გარდაცვალებამდე. ჰამელმა ივარაუდა, რომ კვინტილიანუსი ესპანეთში დაბრუნდა მასწავლებლად და ორატორად, რადგან მიხვდა, რომ მისი კარიერის შესაძლებლობები რომში მცირე იყო. ამ ჰიპოთეზის მიხედვით, კვინტილიანუსმა სწავლება 79 წელს დაასრულა, რამდენადაც არ არსებობს დამადასტურებელი ჩვენება, რომ კვინტილიანუსი 79 წლის შემდეგაც აქტიური მასწავლებელი იყო.

ჰამელის მიერ 79 წლამდე თარიღდება პლინიუს უმცროსის სწავლა კვინტილიანუსთან (Hamell 1843: 25–26). მეცნიერები თვლიან, რომ როგორც დოდველის, ასევე ჰამელის ქრონოლოგია არის სპეკულაციური და უნდა დავასკვნათ, რომ შეუძლებელია ზუსტად განსაზღვროს კვინტილიანუსის, როგორც მასწავლებლის ოცწლიანი კარიერის თარიღები.

კვინტილიანუსი რეგულარულად მოიხსენიებს სტუდენტებს, რომლებსაც ასწავლიდა წლების განმავლობაში (მაგ. 1 pr. 7, 3.6.68, 10.3.32), მაგრამ ის არასოდეს ახსენებს მათ სახელებს. კვინტილიანუსის ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი მოსწავლე იყო პლინიუს უმცროსი, რომელიც აღნიშნავს, რომ კვინტილიანუსი მისი დამრიგებელი იყო (Ep. 2.14.9) და რომ ის ესწრებოდა მის დისკურსებს (6.6.3).

საუკუნეების განმავლობაში, იუვენალისის ჩვენებები კვინტილიანუსის შესახებ (Sat. 6.75, 280, 7.186, 189) ზედმეტად იქნა ინტერპრეტირებული, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ ის თავად კვინტილიანუსის მოსწავლე იყო (Poliziano 1498: 1289; Friedländer 1895: 292), თუმცა, თვლიან, რომ სატირა 6.75 შეიძლება მართლაც ეხებოდეს კვინტილიანუსის სასკოლო პრაქტიკას და 7.186–189-ში იუვენალისი ახსენებს მის მაღალ ჰონორარს, თუმცა კაზინი მაინც აღნიშნავს, რომ იუვენალისი, შესაძლოა, იყო კვინტილიანუსის მოსწავლე და ამტკიცებს, ოღონდ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, რომ ტაციტუსი ნამდვილად მისი მოსწავლე იყო (Cousin 1975: 22).

კვინტილიანუსი აღნიშნავს თავისი ტრაქტატის მეოთხე წიგნის წინასიტყვაობაში, რომ როდესაც პენსიაზე გავიდა, დომიტიუსმა მას მიანდო თავისი დის შვილიშვილების განათლება (4 pr. 2; შდრ. 6 pr. 1). ესენი იყვნენ ფლავია დომიტილას და ფლავიუს კლემენსის ვაჟები, რომლებიც სიკვდილით დასაჯეს დომიტიუსის კონსულობის დასრულებამდე (Suet. Dom. 15).

ხშირად აღუნიშნავთ, სწორედ ამ კლემენსმა, ჯილდოდ კვინტილიანუსის შვილების მეურვეობისთვის, მიანიჭა მას საკონსულო ნიშნები, როგორც საპატიო წოდება და არა როგორც სიმბოლო ფაქტობრივი ძალისა (Aus. Grat. act. 7), სინამდვილეში კი, არ არსებობს მტკიცებულება, რომ ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან დაკავშირებულია რაიმე ფორმით (Kraus 1909: 1850). დოდველი ამტკიცებს, რომ კვინტილიანუსმა მიიღო საკონსულო ნიშნები არა დომიტიანუსის დროს, არამედ, მხოლოდ მოგვიანებით, ჰადრიანუსის დროს, სხვაგვარად უცნობი კლემენსისგან (Dodwell 1698: 146–154; შდრ.: Gesner 1738: 13–15).

საჯარო სკოლასა და სახელმწიფო ხელფასზე იერონიმეს ჩანაწერი კვინტილიანუსის შესახებ 88 წელს შეიცავს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომ კვინტილიანუსის სკოლა სახელმწიფოს მიერ იყო დაფინანსებული და რომ ის ხელფასს იღებდა ხაზინიდან. დოდველი და კიდევ რამდენიმე მეცნიერი ამ ინფორმაციის საფუძველზე ამტკიცებდნენ, რომ კვინტილიანუსი იყო ბენეფიციარი მთელი მისი კარიერის განმავლობაში.

ტილემონტი, რომლის ნაშრომი გამოიცა დოდველამდე შვიდი წლით ადრე, იყო პირველი მეცნიერი, ვინც დაუკავშირა იერონიმეს ჩვენებას სვეტონიუსის მტკიცება, რომ ვესპასიანუსი იყო პირველი იმპერატორი, რომელმაც დააარსა ყოველწლიური ასი ათასი სესტერცის ხელფასი ლათინური და ბერძნული რიტორიკის მასწავლებლებისთვის. მას ეთანხმებიან როლინი და გესნერი (Tillemont 1691: 114; Rollin 1715: 78; Gesner 1738: 8), თუმცა, კვინტილიანუსის ამ ორ ჩვენებას შორის კავშირი პრობლემურია, რადგან სვეტონიუსი არც ისე მკაფიოდ ახსენებს კვინტილიანუსს, როგორც ხელფასის ბენეფიციარს. უფრო მეტიც, გაუგებარია, იყო თუ არა აღნიშნული თანხა თითოეულ მასწავლებელზე,

თუ ყველა მასწავლებელზე ერთად (Kraus 2014: 128–129). გარდა ამისა, ვესპასიანუსის საზომი თარიღდება არა 68 წლით, როდესაც კვინტილიანუსმა დაიწყო კარიერა დოდველის მიხედვით, არამედ 71 წლიდან (Zonaras 65.12). და ბოლოს, ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს სარგებლობდნენ მკვერმეტყველების მასწავლებლები ამ ხელფასით, ამრიგად, უსაფუძვლოა იერონიმესა და სვეტონიუსის ჩვენებების საფუძველზე იმის თქმა, რომ კვინტილიანუსის სკოლა სახელმწიფოს მიერ იყო დაფინანსებული ოცი წლის განმავლობაში.

მიუხედავად ამისა, გედოინმა კიდევ უფრო შეალამაზა ეს ზედმეტი ინტერპრეტაცია იმით, რომ რომაელებმა თითქოს დაიქირავეს კვინტილიანუსი მკვერმეტყველების სწავლებისთვის, რადგან ისინი ძალიან მაღლიერნი იყვნენ მისი მკვერმეტყველებით და ლიტერატურული გემოვნებით (Gédoyn 1718: cir). როლინი კი ამბობს, რომ კვინტილიანუსი რიტორიკის კათედრაზე იყო ოცი წლის განმავლობაში და თითქოს სვეტონიუსმა თქვა, რომ ვესპასიანუსმა დააარსა რიტორიკის კათედრა და გადასცა იგი კვინტილიანუსს (Quintilien remplit la chaire de Rhétorique pendant vingt ans, avec un applaudissement général, Rollin 1741: 79).

იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას მის შეხედულებას, რომ კვინტილიანუსი იმყოფებოდა სამთავრობო სამსახურში, დოდველი ადარებს კვინტილიანუსის პენსიაზე გასვლას ოცი წლის სამხედრო სამსახურის შემდეგ საპატიო განთავისუფლებას (Dodwell 1698: 102). სხვა მეცნიერებიც ამტკიცებენ, რომ სწორედ იმპერატორმა მისცა კვინტილიანუსს პენსიაზე გასვლის ნებართვა მასწავლებლად ოცწლიანი სამსახურის შემდეგ (Tillemont 1691: 114; Antonio 1696: 54; Rollin 1740: 79).

მტკიცება, რომ კვინტილიანუსს ჰქონდა პროფესორის თანამდებობა, ანუ კათედრაც, გაიმეორეს სხვა მეცნიერებმაც (Friedländer 1871: 274; Bernhardt 1872: 856; Syme 1958: 88; Clarke 1967: 30–31; Kraus 2014: 126), მაგრამ, აშკარად, ასეთი შეხედულება არ დასტურდება წყაროებით. იერონიმეს 88 წლის შენიშვნისა და ვესპასიანუსის შესახებ სვეტონიუსის ჩვენების საფუძველზე შეიძლება მხოლოდ იმის მტკიცება, რომ კვინტილიანუსი, სავარაუდოდ, იყო ვესპასიანუსის მიერ 71 წელს დადგენილი წლიური ხელფასის ბენეფიციარი, მაგრამ უცნობია, როდის დაიწყო მისი მიღება, რამდენ ხანს იღებდა, იყო თუ არა ერთადერთი ორატორი, ვინც ეს თანხა მიიღო, რამდენი ხნის განმავლობაში იღებდა, რას ნიშნავდა ეს მისი სკოლის სტატუსისთვის. ჩვენებებით მარციალისისგან (2.90) და იუვენალისისგან (6.75, 279-280, 7.186-189) ვარაუდობენ, რომ ის იყო მდიდარი, ცნობილი და დიდად პატივცემული ადამიანი. იუვენალისი აღნიშნავს, რომ სტუდენტის მომზადების მისმა საფასურმა შეადგინა ორიათასი სესტერსი.

**რამდენიმე სიტყვა ორატორის კარიერაზე.** კვინტილიანუსი არა მხოლოდ რიტორიკის მასწავლებელი იყო; ის, ასევე, თავად იყო მოქმედი ორატორი და დეკლამატორი. ჩვენ არ ვიცით, როდის დაიწყო მუშაობა სასამართლოებში, მაგრამ ამის დასკვნა შეიძლება 2.12.12-ის მიხედვით, სადაც ნათქვამია, რომ მან მიატოვა იგი თავის სწავლებასთან ერთად.

მთელი რიგი ავტობიოგრაფიული შენიშვნებით გვრჩება შთაბეჭდილება მისი მოღვაწეობის, უნარების და მისი, როგორც ორატორის წარმატებაზე, მაგრამ არცერთი მათგანი არ შეიძლება დათარიღდეს ზუსტად. „მკვერმეტყველების სწავლების“ 4.2.86-ში ის იხსენებს, რომ საქმის გარკვევა, ჩვეულებრივ, მას ეკისრებოდა; 6.2.25-ში ხაზს უსვამს, რომ მისი განხილვა ემოციების აგზნებაზე ეფუძნება საკუთარ გამოცდილებას; 7.1-ში ის იწყებს მსჯელობას იურიდიულში კითხვების დაყოფის მეთოდების შესახებ საქმეების იმის ახსნით, თუ როგორ ქმნიდა სასამართლო საქმეების სამმართველოს (7.3 და სხვა); 9.2.73-ში განიხილავს მის მიერ ფიგურების გამოყენებას საქმეში, როდესაც ის იცავდა ქალს, რომელიც ბრალდებული იყო იმაში, რომ გააყალბა ქმრის ანდერძი და 11.2.39 -ში აღნიშნავს, რომ მისი მეხსიერება არც თუ ისე ძლიერი იყო. 9.2.73-ში, აღნიშნული შემთხვევის გარდა, კვინტილიანუსი მიუთითებს საქმეზე, რომელშიც მან ისაუბრა ებრაელი დედოფლის, ბერენიკეს სახელით და რომელიც უნდა მომხდარიყო 75 და 79 წლებში, როდესაც დედოფალი ბერენიკე ცხოვრობდა რომში.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელშიც რომაელი ავტორი მონაწილეობდა, მოხსენიებულია 6.1.39-ში, სადაც მოკლედ საუბრობს მის გამოსვლაზე უცნობი მამაკაცის, ნევიუს არპინიანუსის საქმეზე, კაცს ბრალი ედებოდა ცოლის ფანჯრიდან გადაგდებაში (7.2.24). ეს იყო ერთადერთი გამოსვლა, რომელიც კვინტილიანუსმა თავად გამოაქვეყნა, რომელსაც ხელმძღვანელობდა, მისივე სიტყვებით, ახალგაზრდული ლტოლვა დიდებისკენ (iuvenali cupiditate gloriae). ამავე პასაჟში ის აღნიშნავს, რომ მისი სახელით სხვა გამოსვლები ვრცელდებოდა, რომლებშიც სინამდვილის წილი ცოტა იყო. ეს ადგილები დაზიანებულია სტენოგრაფების დაუდევრობით. სავარაუდოდ, ის აქ საუბრობს მისი კარიერის შემდგომ გამოსვლებზე, როდესაც მას პატივს სცემდნენ და უკვე იყო ცნობილი ორატორი.

საბოლოოდ, 2.12.12-ში ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კვინტილიანუსმა დაასრულა სასამართლოებში საჯარო გამოსვლის კარიერა მასწავლებლად მოღვაწეობის პარალელურად. როგორც ზემოთ ვნახეთ, დოდველი და სხვები კი ამტკიცებენ, რომ არა მხოლოდ კვინტილიანუსის მასწავლებლის პენსიაზე გასვლა, არამედ საჯარო კარიერიდან მისი გამოსვლაც მოხდა იმპერატორის მიერ ოფიციალური განთავისუფლების გამო (შდრ. Dodwell 1698: 102; Tillemont 1691: 114; Antonio 1696: 54).

**როგორ გაატარა კვინტილიანუსმა ბოლო წლები? De causis corruptae eloquentiae**



(მჭევრმეტყველების გადაგვარების მიზეზების შესახებ) და De institutio oratoria-მჭევრმეტყველების სწავლებაში, როგორც ვნახეთ, შეუძლებელია კვინტილიანუსის პენსიაზე გასვლის თარიღის დადგენა მასწავლებლობისა და ორატორობის ოცლიანი კარიერის გასრულების შემდეგ. თუმცა, უსაფრთხოა ვივარაუდოთ, რომ სიბერით დასუსტებული პენსიაზე კარგა ხნით ადრე გავიდა და მოტივაცია განაპირობა იმან, რომ იყო პროდუქტიული, როგორც მწერალი და მრჩეველი ახალგაზრდებისთვის, როგორც მან მოგვიანებით სხვებს ურჩია (12.11.4 და შდრ. 2.12.12, სადაც ამბობს, რომ მან შეწყვიტა სასამართლოში მუშაობა მაშინ, როცა ის კვლავ მოთხოვნადი იყო).

პენსიაზე გასვლის შემდეგ, კვინტილიანუსი წერდა და აქვეყნებდა. გარდა მჭევრმეტყველების სწავლებისა, დაწერა ნაშრომი სახელწოდებით De causis corruptae eloquentiae (დასახელებულია შემდეგ ნაწილებში: 6 pr. 3 და 8.6.76, და შესაძლოა, მოხსენიებული იყოს სათაურის აღნიშვნის გარეშე - 5.12.23, 2.4.42 და 8.3.58).

მე-6 წიგნის წინასიტყვაობაში კვინტილიანუსი დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ დაკარგა მთელი ოჯახი, სანამ თვითონ ჯერ კიდევ კარგად იყო. მისი ცოლი პირველი გარდაიცვალა, ცხრამეტი წლისა (6.pr. 5), მალევე მიჰყვა მისი უმცროსი ვაჟი, ხუთი წლის (6.6-9). უფროსი ვაჟი გარდაიცვალა ათი წლის ასაკში, რვა თვის ავადმყოფობის შემდეგ (6 pr. 10-13). ამ აზნაურებში კვინტილიანუსი თავისუფლებას აძლევს თავისი სიყვარულისა და ერთგულების გამოხატვას, მის ცოლ-შვილზე დარდს, მის მწუხარებას მათი სიკვდილის გამო და ჩვილს საკუთარ ბედზე.

ემოციური მწერლობის ეს პასაჟი დღეს განიხილება, როგორც ემოციების შესახებ წიგნის სათანადო შესავალი ( Russel 2001: 3); როგორც საუკეთესო წარმართული სათნოების სრულყოფილი გამოხატულება (Rollin 1740: 83) და როგორც მწუხარების გადაჭარბებული გამოხატულება (Tillemont 1691: 114). კვლევისას შეგვხვდა მოსაზრებები, რომ მან მეორედ იქორწინა და შეეძინა ქალიშვილი, მაგრამ ვერ მოვიძიეთ ამის მყარად დამადასრურებელი არგუმენტები და არ ჩავთვალეთ საჭიროდ ამ საკითხზე უფრო მეტად შეგვეჩერებინა ყურადღება.

თუ De causis corruptae eloquentiae არის 2.4.42-ში ნახსენები ნაშრომი, როგორც ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი დასრულდა მანამ, სანამ კვინტილიანუსი თავისი ცნობილი ტრაქტატის წერას დაიწყებდა. დოდველის ქრონოლოგიის მიხედვით, კვინტილიანუსმა ის დაწერა 89-90 წლებში (Dodwell 1698: 187); როიტერი, კვინტილიანუსის დაკარგული ნამუშევრის შესახებ დეტალური კვლევის ავტორი, რომელმაც გამოითვალა ბიოგრაფიული მინიმუმები მე-6 წიგნის წინასიტყვაობაში და ვარაუდო, რომ „მჭევრმეტყველება“ დაიწერა 93 და 94 წლებში, ფიქრობს, რომ De causis corruptae eloquentiae უნდა იყოს დაწერილი 87 და 89 წლებში (Reuter 1887: 50-51).

მეთექვსმეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე იყო მწვავე დებატები იმის შესახებ, იყო თუ არა ტაციტუსის Dialogus de oratoribus-ში მოხსენიებული დაკარგული შრომა ტრაქტატი De causis corruptae eloquentiae ნამდვილად კვინტილიანუსის (Shulze 1788: 21-26).

პერიოდი, რომელშიც „მჭევრმეტყველების სწავლება“ დაიწერა, სხვადასხვაგვარად იქნა შეფასებული, რასაც თავად კვინტილიანუსი ჰყვება. ის თავდაპირველად დიდხანს ეწინააღმდეგებოდა მეგობრების თხოვნას, დაეწერა მჭევრმეტყველების თეორიაზე (1 pr. 1), ხოლო ტრაქტატის მეორე წიგნში აღნიშნავს, რომ მისი მასწავლებლობისა და ორატორობის მოღვაწეობის დრო სხვადასხვაა 2.12.12). როდესაც მან საბოლოოდ დაიწყო ტრაქტატზე მუშაობა, ეს გააკეთა არა მხოლოდ მეგობრების სურვილების დასაკმაყოფილებლად, არამედ იმიტომ, რომ რიტორიკის შესახებ ორი წიგნი ვრცელდებოდა მისი სახელით, რომელიც მან თავად არ გამოაქვეყნა ან არ შექმნა ამ მიზნით (1 pr. 1, 3, 7). ნაშრომი შეიცავს შვიდ წინასიტყვაობას, რომელთაგან სამი ეძღვნება კვინტილიანუსის მეგობარს M. Vitorius Marcellus-ს (წიგნები 1, 4 და 6), ხოლო წინასიტყვაობას წიგნებისა 5, 7, 8 და 12-ს არ ჰყავს ადრესატი.

წერილში მისი გამოცემლის, ტრიფოსადმი, რომელიც წინ უძღვის „მჭევრმეტყველების სწავლების“ ტექსტს, კვინტილიანუსი მიაჩნებდა, რომ მას ორ წელზე ცოტა მეტი დრო დასჭირდა, დაეწერა ეს ტრაქტატი და რომ მან გადაწყვიტა, გარკვეული ხნით განზე გადგომა, სანამ არ დამორჩილდა ტრიფოს დაჟინებულ თხოვნას მისი გამოქვეყნების შესახებ.

ყოველთვის ითვლებოდა, რომ „მჭევრმეტყველების სწავლება“ გამოქვეყნდა დომიტიანუსის იმპერატორობის დროს, მაგრამ გედოინი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ანონიმ მკვლევარს ეგონა, რომ იგი გამოიცა ტრაიანუსის დროს (Gédoyn 1718). თავად გედოინი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ეს ასე ყოფილიყო, რადგან ტრაქტატში კვინტილიანუსის ბევრი მამებელი გამონათქვამი სწორედ დომიტიანუსს ეკუთვნის (3.7.9, 4 პრ. 2, 10.1.91-92) და რომ „მჭევრმეტყველების სწავლება“ უნდა გამოცემულიყო 97-98 წლებში.

**როდის გარდაიცვალა კვინტილიანუსი?** უცნობია, როდის გარდაიცვალა კვინტილიანუსი. არაფერია ცნობილი კვინტილიანუსის შესახებ დომიტიანუსის სიკვდილის შემდეგ (Rollin 1715: 85; Cousin 1931: 76). სავარაუდოა, რომ იგი გარდაიცვალა ტრაიანუსის დროს (Gédoyn 1718), რომ არაფერია ცნობილი ასევე მას შემდეგ, რაც კვინტილიანუსმა დაასრულა „მჭევრმეტყველების სწავლება“ და მიიღო

საკონსულო ნიშნები, სავარაუდოდ, 93 წელს (Muller 1840: 24). პლინიუსის მოგონებები მისი ყოფილი მასწავლებლის შესახებ 6.6 და 2.14 წერილებში, რომლებიც დათარიღებულია მის მიერ 97–100 და 105 წლებით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის იმ დროისთვის გარდაცვლილი იყო (შდრ.: Klark 1967: 34).

ასეთი იყო მარკუს ფაბიუს კვინტილიანუს, ახ.წ. პირველი საუკუნის რომაელი ავტორი, რომლის იდეები სწავლების მეთოდები დღემდე აქტუალურია, რაც კვლავდაკვლავ გვახსენებს მისსავე სიტყვებს: *Nihil sub sole novum* /არაფერია მზის ქვეშ ახალი.

### ლიტერატურა

1. Antonio, N. 1696. *Bibliotheca Hispana vetus, sive Hispanorum, qui usquam unquamve scripto aliquid consignaverunt, notitia*. Vol. 1. Rome.
2. Bergomensis, J.P. 1485. *Supplementum Chronicarum*. Brescia.
3. Bernhardt, G. 1872. *Grundriss der Römischen Literatur*. Fünfte Bearbeitung. Braunschweig
4. Clarke M.L (1967) *Quintilian: a biographical sketch*, Vol. 14, No. 1.
5. Colson, F.H. 1924. *M. Fabii Quintiliani Institutionis oratoriae Liber 1*. Edited with introduction and commentary. Cambridge (reprint, 2014).
6. Cousin J. (1936). *Etudes sur Quintilien*, Paris (En deux parties: presentation livre par livre; presentation par themes).
7. Gesner, I.M. 1738. *M. Fabii Quintiliani de institutione oratoria libri duodecim collatione codicis Gothani et Iensoniae editionis*, Göttingen.
8. Hummel, E. 1843. *Quintiliani vita*. Göttingen.
9. Kerr, R.A. 2002. *Criticism in Quintilian*. PhD diss. Glasgow.
10. Kraus, Manfred. "Exercitationes, Progymnasmata [Exercises for Text Composition]." *Rhetorik und Stilistik: Ein Internationales Handbuch Historischer und Systematischer Forschung [An International Handbook of Historical and Systematic Research]*. Vol. 2. Eds. Ulla Fix, Andreas Gardt, Joachim Knape. Berlin: Walter de Gruyter, 2009. 1396–1405. Print.
11. Leiden, 3–41. Kennedy, G.A. 1998. 'Quintilian on Retirement'. In *Quintiliano: Historia y actualidad de la retórica*, vol. 1, edited by T. Albaladejo et al. Longroño.
12. Müller, F. 1840. *Quaestiones Quintilianeae*. Halle.
13. Peterson, W. (ed) (1891) *M. Fabii Quintiliani Institutionis Oratoriae Liber Decimus* (with commentary), Oxford: Clarendon Press.
14. Rollin, C. 1715. *M. Fabii Quintiliani Institutionum Oratoriarum libri duodecim. Ad usum scholarum accommodati, recisus quae minus necessaria visa sunt, et brevibus notius illustrati*. Paris. Rollin, C. 1740. *Histoire ancienne des Egyptiens, des Carthaginois, des Assyriens*. Tome sixième. Paris.
15. Steel, C. 2006. *Roman Oratory*. Cambridge. Street, A. 1987. 'The Rhetorico-Musical Structure of the "Goldberg" Variations: Bach's "ClavierÜbung" IV and the "Institutio Oratoria" of Quintilian'.

**Nihil sub Sole Novum /here is nothing new under the sun**

**Marcus Fabius Quintilianus**

**Ketevan Futkaradze**

### Abstract

At the end of the first century, the Roman Marcus Fabius Quintilianus wrote a treatise called *Institutio Oratoria*, which was translated into Georgian as "The Teaching of Oratory". The work was written by Quintilian in order to create an ideal model of a person in general and an eloquent in particular, which, according to the Roman author, implies an excellent orator and an even better, honest person, which, according to Quintilian, sounds like this: *Vir bonus, dicendi peritus* - He is a good man, he speaks well. When you get acquainted with the work, you realize how much you have to learn to be a good person and how much more you have to add to become a good orator, that is, to allow yourself to speak to people in public. In fact, the book is not about eloquence, or rather, not only about eloquence, but about education and the upbringing of a good citizen, and the issues of education and upbringing are always relevant and of great interest in every era, in every type of society. In the article, we tried to study the biography of this interesting author.

0231 ენის დაუფლება LANGUAGE ACQUISITION

Vir Bonus, Dicendi Peritus

კვინტილიანუსის „კარგი კაცის“ ფილოსოფიური აპექტები

ქეთევან ფუტკარაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Akaki Tsereteli State University

E-mail: Putkaradze.ketevani@atsu.edu.ge

რეფერატი

სტატიის მიზანია, ავხსნათ კვინტილიანუსის vir bonus-ის დოქტრინა პლატონიზმის ფონზე. ამ ორს აკავშირებს მნიშვნელოვანი თემები, რომლებიც გადის რიტორიკის განხილვაზე: განუყოფლობა სიბრძნის, სიკეთის და მჭევრმეტყველების; მორალურად მდგრადობა. სწორედ ამ ორი თემის გამოა, vir bonus-ის დოქტრინა მნიშვნელოვანი რომ გახდა თანამედროვე დისკუსიების, რიტორიკის ეთიკისთვის. პლატონი და კვინტილიანუსი განსხვავდებიან სიკეთისა და სამართლიანობის განსაზღვრისას. პლატონი მათ უფრო შინაგანი მდგომარეობის (soul) საკითხად მიიჩნევს, ხოლო კვინტილიანუსი ხედავს მათ უფრო საზოგადოებრივი ქვეყნისა და რეპუტაციის თვალსაზრისით, მაგრამ ორივესთვის არსებობს კონცეპტუალური კავშირები რიტორიკასა და სამართლიანობას შორის, რაც გამორიცხავს რიტორიკის მორალურად ნეიტრალური კონცეფციის შესაძლებლობას. ორივესთვის რიტორიკა არის „კარგად ლაპარაკი“ და ორივესთვის „კარგად ლაპარაკი“ ნიშნავს სამართლიანად ლაპარაკს. ასეთი იყო მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი - თავადვე კარგი კაცი, რომელიც არა მხოლოდ კარგად ლაპარაკობდა, კარგადაც წერდა.

მეთორმეტე წიგნის პირველ თავში კვინტილიანუსი წერს: „ორატორი უნდა იყოს კარგი კაცი, როგორც კატო ამბობს“. ამ ნაწილში შევეცდებით გავაანალიზოთ კვინტილიანუსის დოქტრინა - ორატორი უნდა იყოს კარგად მოსაუბრე კარგი კაცი. აქ დაწვრილებით არ შევხებით, რამ განსაზღვრა მისი ასეთი დამოკიდებულება ბიოგრაფიულად და ისტორიულად, ეს დაგვეხმარებოდა აგვეხსნა მისი აქცენტირება მორალურ მხარეზე. იქონია მათზე გავლენა სტოიციზმმა? კვინტილიანუსი არ არის განსაკუთრებით ფილოსოფოსი, მაგრამ მისი მსჯელობა vir bonus-ზე ფილოსოფიურია. აქ ბევრი კონცეფცია იყრის თავს. შეიძლება მისი ამ ფილოსოფიის გაგება საუკეთესოდ მოვახერხოთ პლატონიზმის ჭრილში.

„მჭევრმეტყველების სწავლების“ XII წიგნის პირველი თავის პირველ აბზაცში კვინტილიანუსი ამბობს, რომ ისეთი ორატორი, რომლის ჩამოყალიბებაც ის აპირებს, იქნება ორატორი, როგორც მარკუს კატონმა განსაზღვრა, „კარგი ადამიანი, მეტყველებაში დახელოვნებული“, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მას უნდა ჰქონდეს ის თვისება, რომელსაც კატო ანიჭებს და რომელიც არის „საგანთა ბუნებაში“ უდიდესი - რაც მთავარია, კარგი კაცი უნდა იყოს.

კვინტილიანუსი პრინციპულად აყენებს ორატორის კარგი კაცობის საკითხს. განსაკუთრებული არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ შესაძლოა, ამ დოქტრინის აღიარებაში დიდი როლი ითამაშა მისმა ბიოგრაფიამ, ან ისტორიულმა გარემოებებმა, რომლებიც, შესაძლოა, დაეხმარა ავტორს, მორალურ მხარეზე გაეკეთებინა აქცენტი. შესაძლოა, შეგნებულად, თუ არა ცნობიერად, ფილოსოფოსების მოსაზრებებმა იქონიეს გავლენა, მაგალითად, სტოიკოსების (Tellegen 2003: 332).

ორატორის მორალურ მხარეზე კვინტილიანუსი დაჟინებით საუბრობს პირველ და მეორე წიგნში, როცა ითხოვს, მიძიებს და მასწავლებლებს ჰქონდეთ მაღალი მორალი, როცა ისინი სრულიად ახალგაზრდებს ასწავლიან რიტორიკას (1.1.4; 2.2.2-5). კიდევ უფრო მკაცრად ითხოვს ამას, როცა საუბრობს vir bonus-ზე მე-12 წიგნში, სამართლიანობის კონტექსტში. მეორე წიგნში 15.27. -ში იმოწმებს პლატონს, რომ ორატორი უნდა იყოს სამართლიანი. მისთვის კარგი კაცი ნიშნავს რომაელ „ჯენტლმენს“ და მორალური ხარისხიც მისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი. აქვეა ორატორიც.

მე-12 წიგნში, სულ ცოტა, სამი წაკითხვა შეიძლება ვიპოვოთ კარგი კაცის მნიშვნელობის:

- ორატორი უნდა იყო კარგი;

- ორატორი ეფექტს მოახდენს მხოლოდ მაშინ, თუ იქნება კარგი;
- ორატორი კარგია როგორც განმარტება.

შეხედულება, რომ ორატორი უნდა იყოს კარგი კაცი, არ უნდა ეკუთვნოდეს პირველს კვინტილიანუსს. ასეთი აზრი გამოიხატა გორგიასის, პროტაგორასის, ისოკრატოსის, არისტოტელეს და ციცერონის მიერ, მაგრამ ასეთი თქმა ტრივიალური გვეჩვენება, რადგან ფიზიკოსიც უნდა იყოს კარგი ადამიანი. საქმე იმაშია, რომ ორატორს საქმე აქვს სამართლიანობასთან. მასალა, რომელზეც უნდა იმუშაოს ორატორმა, განსხვავდება ყველა სხვა მასალისგან, რაზეც სხვა პროფესიის ადამიანები მუშაობენ, ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ადამიანი, რომელსაც ამ მასალასთან აქვს საქმე, იყოს კარგი ადამიანი. რასაც ორატორი აკეთებს, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რასაც, მაგალითად, დურგალი აკეთებს.

არსებობს გარკვეული შინაგანი კავშირი კარგ პიროვნებასა და კარგ ორატორს შორის. „კარგი“ სიტყვათშეთანხმებაში „კარგი ორატორი“ არ არის იმავე მნიშვნელობის, როგორც წყვილში „კარგი კაცი“. „კარგ“ წყვილში „კარგი დურგალი“ აქვს მნიშვნელობა, რომ ის თავის საქმეს კარგად აკეთებს, მარგამ კარგი დურგალი იქნება მაშინაც, თუ ის კარგად აკეთებს საქმეს, მაგრამ არ არის კარგი (მორალური თვალსაზრისით) ადამიანი. მორალი ვერ განსაზღვრავს დურგლობის ხარისხს. ორატორის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა.

მე-12 წიგნის 1.3-ში კვინტილიანუსი წერს: მე არ ვამტკიცებ, რომ იდეალური ორატორი უნდა იყოს კარგი ადამიანი, მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ვერ იქნება ადამიანი ორატორი, თუ ის არ არის კარგი კაცი“. მომდევნო განხილვა აჩვენებს, კვინტილიანუსი ამაში რას გულისხმობს (12.1.3). დაახლოებით იმეორებს პლატონის მოსაზრებას, რომ ცუდი კაცი აუცილებლად სულელია (12.1.4) ხოლო სულელი, მისი აზრით, ვერ იქნება ეფექტური ორატორი.

რომ შევაჯამოთ, ორატორი საუბრობს იმ საქმეებზე, რომელიც შეიძლება გადიოდეს სამართლიანობისა და უსამართლობის ზღვარზე. უსამართლო ადამიანი მიიღებს უსამართლო გადაწყვეტილებას.

კვინტილიანუსი თვლის, რომ ორატორი არა უბრალოდ უნდა იყოს პატიოსანი ადამიანი, შეუძლებელია იყო კარგი ორატორი, თუ არ იქნები კარგი ადამიანი: მართლაც, როგორ ვუწოდოთ ჭკვიანი იმით, ვინც თავის წინ ხედავს კარგს და ცუდს და მოინდომებს ცუდის არჩევას? როგორ ჩავთვალოთ კეთილგონიერად ის, ვინც ხშირად ნებაყოფლობით ირჩევს, იყოს უმკაცრესი არა კანონის, არამედ საკუთარი უსინდისობის გამო, რასაც ყოველთვის ახლავს მკაცრი სასჯელი, ისე, რომ არც კი დაფიქრდება საკუთარი ქმედების შედეგებზე? თუ არა მხოლოდ ბრძენების მიერ, არამედ საერთოდ აღიარებული აზრის მიხედვით არავინ იქნება ბოროტი, თუ უგონო არ არის, მაშინ უაზრო ადამიანი ვერასდროს იქნება ორატორი. ამას ისიც დაუმატეთ, რომ გონება ისე ვერაფერ სიკეთეს ვერ იქმს, თუ ყველანაირი ნაკლისაგან არ არის თავისუფალი (12.1.3-4).

და ეს იმიტომ, უპირველეს ყოვლისა, რომ ერთსა და იმავე გულში არ არის ერთდროულად ადგილი პატიოსნებისა და ნაკლისათვის, ისე, როგორც შეუძლებელია, ერთიდაიგივე ადამიანი ერთდროულად კეთილიც იყოს და ბოროტიც. მეორეც, იმ მიზეზით, რომ კარგი საქმისთვის მომართული აზრი თავისუფალი უნდა იყოს ყველაზე უფრო უმნიშვნელო ნაკლისგანაც კი. მხოლოდ მაშინ დაკავდება იგი თავისი ნამდვილი საქმით მთელი არსებით. თუ ზედმეტად ვართ დაინტერესებული მიწათმოქმედებით, ან სხვადასხვა საშინაო საქმეებით, ნადირობით, ან თეატრით, ეს დიდად შეუშლის ხელს სასწავლო საქმიანობას. ერთი საქმიანობისთვის გამოყოფილი დრო მეორეს აკლდება. მაშინ, რა ვუყოთ ძლიერ ვნებათღელვას, პატივმოყვარეობას, სიძულვილს, რომლებიც არასდროს გვამღევეს მოსვენებას - არც დღე, არც ღამე, სიზმარშიც კი.

კვინტილიანუსი სვამს ბევრ შეკითხვას და თავადვე პასუხობს: სწავლის დროს ზომიერების დაცვა საჭიროა? მაგრამ რას უნდა ველოდოთ იმ ადამიანისგან, ვინც შეპყრობილია ფუფუნების და პატივის სიყვარულით? შექება ხომ არ არის სწავლის დროს მასტიმულირებელი? მაგრამ ავი ადამიანები რაიმედ დაგიდევნენ ქებას? ვინ არ იცის, რომ მჭევრმეტყველების დიდი ნაწილი ეფუძნება პატიოსნებას და სამართალს? განა შეუძლია ამაზე ღირსეულად ილაპარაკოს იმ ადამიანმა, რომელიც ავია უსამართლო? წარმოვიდგინოთ, რომ ყველაზე ბოროტ ადამიანს იმდენივე ჭკუა და ინფორმაცია აქვს, რამდენიც ყველაზე კეთილს. რომელ მათგანს დაუმახებ უკეთეს ორატორს? რა თქმა უნდა იმას, ვინც მორალურად უფრო მდგრადია. შესაბამისად, ბოროტ ადამიანს არ შეუძლია იყოს სრულფასოვანი ორატორი, რადგან თუ რაიმე უკეთესი არსებობს, ის აღარ შეიძლება იყოს სრულყოფილი. მაგრამ თუ ვერ აჩვენებ, რომ ჩვენ სოკრატეს მოსწავლეების მსგავსად, საკუთარ შეკითხვებზე თვითონვე ვეძებთ

პასუხებს, დაე, ვინმე გახედოს და ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგ ამტკიცოს, რომ იმავე ჭკუის და შესაძლებლობების მქონე ადამიანი, როგორც კეთილია, მაგრამ ბოროტი ადამიანი არ იქნება უფრო ცუდი ორატორი (12.1.9-10).

კვინტილიანუსი თვლის, რომ აღმოვაჩენთ ამ მტკიცების უხერხულობას, რადგან ყველა ორატორი ცდილობს სასამართლოზე თავისი საქმე წარადგინოს, როგორც წესიერი და სამართლიანი. ამას ვინ უკეთ მოახერხებს - კეთილი თუ ბოროტი? რა თქმა უნდა, კეთილი. იგი უფრო ხშირად მიმართავს წესიერებას და სამართლიანობას. მაშინაც კი, როცა გარემოებათა გამო იძულებული იქნება ტყუილი თქვას (ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ შეიძლება ასეც მოხდეს), მოსამართლე მას უფრო მეტი გულისხმიერებით მოუსმენს. ხოლო უსინდისო ადამიანი, რომელიც არად დაგიდევს სამართლიანი და პატიოსანი კაცის სახელს, ხშირად კარგავს ზომიერების გრძნობას და უსირცხვილოდ ამტკიცებს უსამართლობას, უსინდისოდ გაჯიქდება და უსარგებლო საქმეც ამას მოჰყვება (შდრ.: Pennacini 2001:145; Robinson 2002: 200-205). ასეთი ადამიანები, როგორც ყველა სხვა საქმეში, სასამართლო საქმეებშიც უაზრო და საეჭვო იმედებით აღიჭურვებიან. ხშირად მათი არ სჯერათ, მაშინაც კი, როცა მართლაც ამბობენ და ამით ისინი იმ საქმესაც აფუჭებენ, რომლის დაცვასაც აპირებენ:

ახლა მე იმათ უნდა ვუპასუხო, რომლებსაც ჩემი არ სჯერათ. ისინი ამბობენ, განა ამის გამო დემოსთენესი არ იყო დიდი ორატორი? როგორც ამბობენ, იგი არცთუ წესიერი ადამიანი იყო. არც ციცერონი? ბევრი ეჭვქვეშ აყენებს მის მორალურ მხარესაც. რა გავაკეთო? ბევრს უნდა ვაწყენინო, მაგრამ შევეცდები, ვიყო ზომიერი. მე არც დემოსთენესის ამორალობის მჯერა, როგორც ხმებს უვრცელებენ, როცა ისტორიაში ვკითხულობ მის დიდ დამსახურებებზე სამშობლოს წინაშე და ღირსეულ გარდაცვალებაზე. ვერც ტულიუსის, მსოფლიოს საუკეთესო მოქალაქის, არასაკმარის გულმოდგინებაში დავეთანხმები ვინმეს. ამაზე მეტყველებს მისი დიდებული კონსულობა, პროვინციის უნაკლო მართვა, უარის თქმა იმაზე, რომ ყოფილიყო ოცთაგან ერთ-ერთი კომისარი, სამოქალაქო ომების დროს მისი ქმედებები, მისი ჩართულობა ყოველგვარი შიშის გარეშე იმ კრიტიკულ მოვლენებში, რომლებიც ხდებოდა მის დროს ქვეყანაში. ზოგი მას უგულო ადამიანად თვლის. ამათ ციცერონი თავადვე პასუხობს, რომ იგი მშობარა მხოლოდ მაშინ იყო, როცა რაიმე საფრთხე აღმოცენდებოდა და არა მაშინ, როცა წინააღმდეგობის გაწევა იყო საჭირო. ამაზე დიდსულოვნებით და სიმტკიცით გამორჩეული მისი სიკვდილიც მეტყველებს (12.1.15017).

ხოლო იმაზე, რომ ეს ადამიანები არ იყვნენ ღირსეულები, საიდანაც წარმოიშვა შეკითხვა, ანუ არც ორატორები იყვნენ, კვინტილიანუსი პასუხობს ისევე, როგორც ამას სტოიკოსები აკეთებენ, როცა მათ ეკითხებიან, ვინ უფრო ჭკვიანი იყო - ზენონი, კლავანია თუ ქრისიპოსი, ისინი პასუხობენ - მართალია, სამივენი დიდებული, პატივის ღირსი მამაკაცები იყვნენ, მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს იმ სრულყოფილებას, რომელიც ადამიანის ბუნებას აღემატება (დაწვრ. იხ.: Monfasani 1992:75).

კვინტილიანუსი იხსენებს, რომ პითაგორასაც სურდა მისთვის ეწოდებინათ არა ბრძენი, როგორც ამას მისი წინამორბედები აკეთებდნენ, არამედ სიბრძნის მოყვარული, მაგრამ თავად ხშირად უწოდებს, როგორც ეს არის კიდევ მიღებული, ციცერონს სრულყოფილ ორატორს, ისე როგორც მეგობრებს - პატიოსნებს და ჭკვიანებს. თუმცა თვლის, რომ ასეთ თვისებებს მხოლოდ ბრძენს მიაწერენ, მაგრამ თუ საჭიროა, ყველაზე დიდ ჭეშმარიტებაზე ვისაუბროთ, მაშინ რომელი ავტორიც ეძებს ისეთსავე ორატორს, როგორსაც ციცერონი ეძებდა: უნდა ვაღიარო, რომ არავინ იყო მასზე უფრო დიდი მჭევრმეტყველი. მე მასთან ვერანაირ ნაკლს ვერ ვპოულობ. უფრო მეტიც გააკეთა. ასე ამბობენ სწავლულები, რომლებიც მასთან პოულობენ უამრავ ღირსებას და ძალიან ცოტა ნაკლს. თავადვე აღიარებს, რომ თავის თხზულებებში ბევრი რამ ახალგაზრდული გულწრფელობით მოუვიდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით თავმოყვარე იყო, საკუთარ თავს ბრძენს არ უწოდებდა. მაშინ, როცა შეეძლო, მჭევრმეტყველება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანა, უფრო დიდხანს და ისეთ დროში რომ ეცხოვრა, როცა მშვიდი, სწავლისთვის განწყობილი, ნიჭიერი სწავლულები ცხოვრობდნენ. მაშინ შემძლია თუ არა ვამტკიცო, რომ ვერავინ მიაღწია მჭევრმეტყველებაში ისეთ მწვერვალებს, როგორც ეს ციცერონმა შეძლო? სხვა შეხედულებების რომ ვყოფილიყავი, მაშინაც კი ჩემს აზრს თავისუფლად და დაჟინებით დავიცავდი. განა მარკუს ტულიუსი თავადვე არ აღიარებდა, რომ არასდროს უნახავს ადამიანი პირდაპირ მჭევრმეტყველი? (12.1.21).

კვინტილიანუსი, ციცერონის მსგავსად, აღნიშნავს, რომ დაუჯერებელია, მაგრამ მაინც, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მოიძებნება კაცი, ცუდი მორალით და კარგი მჭევრმეტყველებით - მე მაინც არ ვიტყვი, რომ ის ორატორია, ისე, როგორც უხემ ადამიანზე არასდროს ვიტყვი, რომ ის მამაცია. სიმამაცე გარკვეულ ღირსებებსაც გულისხმობს. განა ადამიანს, რომელმაც ვინმე უნდა დაიცვას, არ

ჭირდება ისეთი ერთგულება, რომელიც არანაირ ქრთამზე არ გაიყიდება, ან შიშისგან არ შედრკება? და ჩვენ მოვალაობას, გამყიდველს, მექრთამეს ვუწოდებთ ორატორის წმინდა სახელს? და რატომ არ შეიძლება, რომ ორატორი, რომელიც ჯერ არ გამოჩენილა, მაგრამ მომავალში გამოჩნდება, იყოს ისეთივე კეთილი, როგორც კარგი მჭევრმეტყველი? (12.1.25).

კვინტილიანუსი თვლის, რომ ჩვენ გვჭირდება არა უბრალოდ კანონმდებლის აღზრდა, რომელიც შუამავლის როლს ძლივს შეასრულებს, არამედ ბუნებისგან დიდი ნიჭიერებით დაჯილდოებული ადამიანი, სხვადასხვა ღირსებით შემკული, ადამიანების საკეთილდღეოდ გამოგზავნილი, კარგად მოაზროვნე და საუკეთესოდ მოსაუბრე.

რა სარგებელს მოიტანს ასეთი ადამიანი, როცა უდანაშაულოს დაიცავს, ან ბოროტა სიავეს შეაკავებს, ან ფულთან დაკავშირებული პრობლემების გარკვევას შეეცდება? კვინტილიანუსი თვლის, რომ უდიდეს სარგებლობას, მაგრამ კიდევ უფრო დიდ სარგებლობას მოიტანს, როცა სენატში საჭირო აზრს წარმოთქვამს, ან გაურკვევლობაში მყოფ ადამიანებს დააკვლიან: განა ზუსტად ასეთ მამაკაცს არ გვიხატავს ვერგილიუსი - საკუთარი ტომის დამცველს და ყველა გაჭირვებასთან შემრკინებელს? *Tum pietate gravem et meritis si forte virum quem Conspexere, silent, arrectisque auribus astant,* [Aen. i. 148.] ჯერ აღნიშნავენ, რომ ის არის კარგი კაცი, შემდეგ ამბობენ, რომ არის კარგი მოსაუბრე *Ille regit dictis animos, et pectora mulcet.* განა ომის დროს სიმამაცე არ შთააგონებს მებრძოლს იმ სიტყვებს, რომლის წარმოთქმაც სურს? როცა მას საშინელი ომი ემუქრება, შიში ეუფლება მოსალოდნელი ჭრილობების გამო, როგორღა ჩავუნერგოთ სამშობლოს სიყვარული, სიმამაცე და დიდების სურვილი? ვის შეუძლია უკეთ ამ გრძნობების გაღვივება, თუ არა მას, ვინც თავად არის ამ ემოციებით გამსჭვალული? (12.1.26-28).

მოჩვენებითობა, მთელი თავისი სიფრთხილით, საკუთარ თავს თვითონვე ყიდის. დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც არ წაიბორძიკებს, თუ ისეთ რამეებს ამბობს, რომელსაც მისი გული არ ეთანხმება, ხოლო უღირსი ადამიანი სხვას ამბობს, სხვას გრძნობს. ამის საწინააღმდეგოდ, პატიოსან ადამიანს ყოველთვის მზად აქვს პატიოსანი სიტყვა, იგი ყველაფერში ხელმძღვანელობს კეთილგონიერებით. მისი სიტყვა თავისუფალია ხელოვნური ეშმაკობებისგან, ხოლო გულწრფელი სიტყვა ყოველთვის ნდობას წარმოშობს (Murphy 2016:135-143).

კვინტილიანუსი თვლის, რომ ახალგაზრდა, ან ნებისმიერი ასაკის ადამიანი (რადგან სიკეთისკენ სწრაფვა ყველა ასაკში საჭიროა), უნდა ისწრაფვოდეს იმ სრულყოფილებისკენ, და შესაძლოა, გამოუვიდეს. მისი აზრით, თუ ბუნება არ არის წინააღმდეგი იმისა, რომ ადამიანი წესიერად იყოს და კარგი ორატორიც, რატომ უნდა გვეშინოდეს, რომ ვინმე ვერ მოახერხებს ამ ორი თვისების ერთდროულად დაუფლებას? ყოველ შემთხვევაში, მისწრაფება ორივე საქმეში საჭიროა. საერთოდ უნდა ამოვადოთ თავიდან ის აზრი, რომ დიდი მჭევრმეტყველება ნაკლოვან გულში თავსდება.

კვინტილიანუსი ხაზს უსამს, რომ თუ ბოროტ ადამიანს ერგო სიტყვის წარმოთქმის ნიჭი, ეს შეიძლება ჩავთვალოთ ბოროტებად, რომელიც ნელ-ნელა მას კიდევ უფრო ცუდს გახდის. ამასთან, ფიქრობს, რომ ამის საწინააღმდეგოდ ყოველთვის გამოჩნდება ხალხი, რომლებსაც ურჩევნიათ იყვნენ კარგი მჭევრმეტყველები, ვიდრე კარგი ადამიანები და იტყვიან: მაშინ რატომღა ამბობენ, რომ მჭევრმეტყველება ხშირად მიმართავს სხვადასხვა ეშმაკობებს? მე თვითონვე რაღად ვლაპარაკობდი ცოტ-ცოტა ეშმაკობებზე რთული საქმის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე და მაშინაც, როცა აშკარა დანაშაულთან გვაქვს საქმე? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მჭევრმეტყველების ხელოვნება და ძალა ზოგჯერ ჭეშმარიტების წინააღმდეგ წასვლაში მდგომარეობს? თუ წესიერი ადამიანი დასაცავად მხოლოდ სამართლიან საქმეებს იღებს, მაშინ ჭეშმარიტება თავად დაიცავს საკუთარ თავს, წესებისა და კანონების ცოდნის გარეშე.

აქ კვინტილიანუსს აქვს ასეთი პოზიცია: თავდაპირველად ვიტყვი საკუთარი თავის გასამართლებლად, მერე კი იმათთვის, ვინც მეწინააღმდეგება, რატომ არის ზოგჯერ პატიოსანი ადამიანი იმულებული დაიცვას დამნაშავე. იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ რატომ უნდა დავიცვათ სიცრუე და ტყუილი, ან ის, რაც უსამართლოა, არ არსებობს სხვა მიზეზი, ვიდრე ის, რომ ასე ჩვენ უფრო მარტივად შეგვიძლია გავაქარწყლოთ მანკიერი არგუმენტები, როგორც ექიმი მიმართავს ხოლმე მკურნალობისთვის იმ საშუალებებს, რომლებიც მტკივნეულია (12.1.30).

სასწავლებლებში ატარებენ ხოლმე შეჯიბრებებს. ერთსა და იმავე ქმედებას ერთი იცავს, მეორე - უარყოფს, მაგრამ არცერთის ბუნება არ დგება ეჭვქვეშ. არც კარგად ცნობილი კარნეადესი, რომელიც, როგორც ამბობენ, კამათობდა ცენზორ კატოს წინაშე, ჩაუთვლია ვინმეს ამორალურ ადამიანად იმის გამო, რომ არანაკლები ძალით ამართლებდა იმას, რაც წინა დღეს დიდი მონდომებით უარყო და დაადანაშაულა, მაგრამ, კვინტილიანუსი თვლის, რომ ხშირად ბოროტება, დაპირისპირებული

სათნობასთან, მეტი ძალით აჩვენებს, რა არის სათნობა. სამართლიანობა ცხადი ხდება უსამართლობასთან შეპირისპირებისას. საერთოდ ბევრი რამ მტკიცდება საწინააღმდეგოთი. ორატორისთვის მისი მოწინააღმდეგეების ზრახვები ისევე კარგად უნდა იყოს ცნობილი, როგორც ბრძოლის ველზე სტრატეგოსისთვის მტრის განზრახვა.

რომაელი ავტორი ფიქრობს, რომ შეიძლება ისეც მოხდეს (რაც საკმაოდ უცნაური ჩანს), რომ პატიოსანი ადამიანიც იძულებული გახდეს, სასამართლოს დაუმალოს საქმის ჭკმმარიტი არსი. თუ ვინმეს ეს სიტყვები გაუკვირდება (თუმცა, ამას მართლაც არ ვამბობს, ბევრი ისეთი ადამიანიც, რომლებიც ცნობილი მორალისტები არიან), იცოდეს, რომ ჩვენი ქმედებების უმეტესი ნაწილი - არა ჩადენილი, არამედ განზრახული, ან წესიერია, ან არაწესიერი.

თუ ზოგჯერ ადამიანის მოკვლა კეთილშობილ საქმედ ითვლება, ბავშვების მსხვერპლად შეწირვა - დიდ მამაცობად, დასაშვებად კიდევ ბევრად უფრო სასტიკი საქციელი, როცა ამას გარემოება მოითხოვს, აქაც უნდა დავფიქრდეთ, პატიოსანი ადამიანი რატომ იღებს ამა თუ იმ არასამართლიან საქმეს დასაცავად.

კვინტილიანუსი საუბროს იმაზე, რაზეც ყველაზე უფრო მკაცრი სტოიკოსებიც არ დავობენ: ზოგჯერ პატიოსანი ადამიანი იძულებულია ტყუილი თქვას სულ მცირე მიზეზის გამოც (დაწვრილ.: Kennedy 2013:243-245). კვინტილიანუსს მაგალითად მოჰყავს ბავშვებს ავადმყოფობის დროს, მათივე სასარგებლოდ, ბევრ ტყუილს რომ ვპირდებით; ასევე, მაშინ, როცა სურს არ დაუშვას მკვლელობა, ან როცა სამშობლო საფრთხის წინაშე. ასე რომ, ზოგჯერ ცუდი ქმედებაც გარკვეულ გარემოებებში ქების ღირსია. აქედან გამომდინარე, უკვე მაქვს რამდენიმე მიზეზი იმისათვის, რომ ვამტკიცო, ორატორს ღირსების შელახვის გარეშე შეუძლია ხელი მოჰკიდოს ისეთ საქმეს, რომელსაც, ჩვეულებრივ, კანონისა და პატიოსნების გარეშე არ შეეჭიდებოდა (12.1.38).

კვინტილიანუსი არ ამტკიცებს, რომ იგივე ორატორმა უნდა მოიმოქმედოს მაშინ, როცა საფრთხე ემუქრება მეგობარს, ძმას, მამას. თუმცა, აქაც საქმე რთულადაა. ერთის მხრივ, დგას კანონი, მეორეს მხრივ, ნათესაობისა და მეგობრობის წმინდა მოვალეობა. ამას ამბობს ზოგადად, მაგრამ იქვე ხსნის: თუნდაც ვინმე თავს დაესხა ადამიანს, რომელიც სახიფათოა მთელი საზოგადოებისთვის და ამის გამო მას ასამართლებენ. ნუთუ ამგვარი ადამიანის ხსნას ორატორი არ მოინდომებს? არ გამოიყენებს ყველა იმ საშუალებას, რასაც არასამართლიანი საქმის მოსაგებად იყენებენ ორატორები? (12.1.40).

რა მოხდება მაშინ, თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ დავაჯეროთ მოსამართლე წესიერი ადამიანის უდანაშაულობაში? განა ასეთ დროს ორატორი მთელი ძალით არ შეეცდება, გადაარჩინოს არ მხოლოდ წესიერი, არამედ საპატივცემულო მოქალაქე? არსებობს ბევრი რამ, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ გარემოებათა გამო სრულიად უსარგებლოა საზოგადოებისთვის. არ მოვინდომებთ ჩვენი სიტყვა გავამყაროთ არცთუ სწორი, ეშმაკური, ცოტა ცრუ არგუმენტებით, მაგრამ კარგი განზრახვით? გარდა ამისა, არავის ეპარება ეჭვი, რომ თუ ზოგჯერ ბოროტი ადამიანების გამოსწორება შეიძლება, მაშინ საზოგადოებისთვის ჯობია მათ მივუტევოთ, ვიდრე დავსაჯოთ. თუ ორატორი დარწმუნებულია, რომ დამნაშავე შეიცვლება, განა ის არ გამოიყენებს ყველა საშუალებას იმისათვის, რომ ეს ადამიანი გამართლებული იქნას?

კვინტილიანუსი წერს: წარმოვიდგინოთ, მართებულად ასამართლებენ რომელიმე აშკარა დანაშაულის გამო საპატივცემულო მხედართმთავარს, რომლის გარეშე მთელი სახელმწიფოც კი უსაფრთხოდ ვერ იქნება. ნუთუ, საზოგადოებრივი აზრი არ მოუწოდებს ორატორს მისი დაცვისკენ? ამის სამაგალითოდ კვინტილიანუსს მოჰყავს: როდესაც რესპუბლიკას საფრთხე დაემუქრა, ფაბრიციუსმა კარგად იცოდა, რომ კორნელიუს რუფინუსი იყო ცუდი მოქალაქე და მისი პირადი მტერი, მაგრამ კარგი მხედართმთავარი, ამიტომ უყოყმანოდ მისცა ხმა მის კონსულად არჩევას. როცა ზოგიერთებს მისი ასეთი არჩევანი გაუკვირდათ, ფაბრიციუსმა უპასუხა: მირჩევნია გამძარცვოს საკუთარმა მოქალაქემ, ვიდრე გამყიდოს მტერმა. როგორ გგონიათ, ფაბრიციუსი რომ ორატორი ყოფილიყო, უარს იტყოდა დაეცვა რუფინუსი, რომელსაც აშკარა ძარცვაში ადანაშაულებდნენ (12.1.42).

ამის მსგავსი კიდევ ბევრი მაგალითის მოხმობა შეგვიძლია, მაგრამ ერთიც საკმარისია, რადგან კვინტილიანუსს არ სურს, ორატორმა, რომლის აღსაზრდელადაც ამ დარიგებებს წერს, ხშირად იკისროს ამგვარი საქმეების დაცვა. უბრალოდ, სურდა ეჩვენებინა, რომ თუ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო იგი იძულებული იქნება, ხელი მოჰკიდოს ასეთ საქმეს, ჩვენი განსაზღვრება ყოველთვის მართებული იქნება - ორატორი არის წესიერი, პატიოსანი ადამიანი, სიტყვის დიდოსტატი.

კვინტილიანუსი თვლის, რომ წესების ცოდნა, თუ გართულებულ სიტუაციებში როგორ მოვიქცეთ, იმისთვის არის საჭირო, რომ ყველაზე უფრო სამართლიანი საქმეც კი შეიძლება ჩანდეს

უსამართლოდ. უდანაშაულო ბრალდებულსაც აქვს უამრავი მისი საწინააღმდეგო სამხილი. შესაბამისად, საჭიროა იგი ისეთივე წესებით დავიცვათ, როგორც დამნაშავე. უამრავ გარემოებათა გათვალისწინება ორივე საქმისთვის ერთნაირად აუცილებელია - სამართლიანისთვისაც და უსამართლოსთვისაც: მოწმეები, წერილები, ეჭვი, ცრურწმენა; ისევე უკუაგდებენ და იღებენ სიმართლეს და ჭეშმარიტებას. ამიტომ ორატორმა თავისი სიტყვა უნდა ააგოს სიმართლის შესაბამისად, მაგრამ ცივი გონებით და პატიოსნად (12.1.45).

კვინტილიანუსი თვლის, რომ როცა ორატორი პატიოსანი ადამიანია (ხოლო პატიოსანი ვერ იქნები კეთილქმედების გარეშე), რომელიც ბუნებამ დააჯილდოვა ნიჭით, იგი სრულყოფილებისთვის მაინც გარკვეულ დარიგებებს საჭიროებს. პირველ რიგში, უნდა შეეცადოს საკუთარი ზნის გაუმჯობესებას, პატიოსნებასა და სამართლიანობაზე უნდა გამოიმუშაოს სწორი წარმოდგენა, მხოლოდ ხელოვნურად, სიტყვებით ამის გამოხატვა არ არის საკმარისი. (12.2.1).

კვინტილიანუსი ახენებს ლუციუს კრასიუსს, რომელიც ორატორის შესახებ მესამე წიგნში არცთუ უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ სამართლიანობაზე, სწორსა და ჭეშმარიტზე, კეთილზნობაზე და ამათ საპირისპიროზე ყველანაირი მსჯელობა ორატორის პრეროგატივაა, და რომ ფილოსოფოსები, იცავენ რა ამ სიკეთეებს მჭევრმეტყველების ძალით, იყენებენ რიტორების და არა საკუთარ იარაღს. ამავე დროს, იგივე კრასიუსი აღიარებს, რომ ახლა ეს ფილოსოფიისგან უნდა ვისესხოთ, რადგან ამჟამად იგი ფილოსოფიაში უფრო მეტია.

ციცერონიც თავის ბევრ თხზულებაში ამტკიცებს, რომ სიტყვიერების ძალა მომდინარეობს სიბრძნის დაუშრეტელი წყაროებიდან და რომ ამავე მიზეზით ძველად მჭევრმეტყველებას და ზნე-ჩვეულებებს ერთიდაიგივე მასწავლებლები ასწავლიდნენ. იგი აღნიშნავს, რომ მისი მიზანი არ არის, ორატორი აქციოს ფილოსოფოსად, რომლის ცხოვრების წესიც შორს არის სამოქალაქო ვალდებულებებიდან და შეუთავსებელია ორატორის მოვალეობებთან (შდრ.: Fleming 2008:343).

კვინტილიანუსი აღნიშნავს, რომ არცერთი ფილოსოფოსი არ სტუმრობდა სასამართლო პროცესებს და არ გაუთქვამს სახელი სახალხო გამოსვლებით, არცერთი არ ყოფილა დაკავებული სახელმწიფო საქმეებით. ბევრი მათგანი ამ ყველაფრისგან გაქცევასაც კი ქადაგებდა. კვინტილიანუსს კი სურს, რომ აღსაზრდელიდან შექმნას ბრძენი რომაელი, რომელიც ნამდვილი სახელმწიფოს მოქალაქე იქნება, არა ყველაფერს ჩამოშორებული, არამედ თავისი გამოცდილებით და საქმეებით ქვეყნისთვის სასარგებლო. მთლიანად უნდა მიუძღვნას მან თავი მჭევრმეტყველების დაუფლებას, პარალელურად კი, სიბრძნის დაუფლებასაც. პირდაპირ სასამართლო პროცესებზე წარსდგომით კი არ უნდა დაიწყოს, არამედ ჯერ სკოლებს, გიმნასიონებს, პორტიკებს უნდა ესტუმროს. რაც მჭევრმეტყველებას სჭირდება, ყველაფერს რიტორიკის მასწავლებლები ვერ ასწავლიან. რაღაც მათ ფილოსოფოსებისგან უნდა ისესხონ. რატომ უნდა ვიკითხოთ დიდი ყურადღებით ის ავტორები, რომლებიც წერდნენ მაღალი მორალის მქონე, კეთილი საქმეების მკეთებელ ადამიანებზე? - კითხულობს კვინტილიანუსი და თავადვე პასუხობს: რათა ორატორმა შეიმეცნოს ღვთიური და ადამიანური საქმეები. იცით, როგორ დიდებულად მოგვეჩვენება ადამიანი, რომელიც ამ საქმეებზე მჭევრმეტყველური ოსტატობით საუბრობს? (12.2.9).

ამგვარად, ჩვენი მიზანი იყო, აგვეხსნა კვინტილიანუსის *vir bonus*-ის დოქტრინა პლატონიზმის ფონზე. ამ ორს აკავშირებს მნიშვნელოვანი თემები, რომლებიც გადის რიტორიკის განხილვაზე: განუყოფლობა სიბრძნის, სიკეთის და მჭევრმეტყველების; მორალურად მდგრადობა. სწორედ ამ ორი თემის გამოა, *vir bonus*-ის დოქტრინა მნიშვნელოვანი რომ გახდა თანამედროვე დისკუსიების, რიტორიკის ეთიკისთვის. პლატონი და კვინტილიანუსი განსხვავდებიან სიკეთისა და სამართლიანობის განსაზღვრისას. პლატონი მათ უფრო შინაგანი მდგომარეობის (*soûl*) საკითხად მიიჩნევს, ხოლო კვინტილიანუსი ხედავს მათ უფრო საზოგადოებრივი ქცევისა და რეპუტაციის თვალსაზრისით, მაგრამ ორივესთვის არსებობს კონცეპტუალური კავშირები რიტორიკასა და სამართლიანობას შორის, რაც გამორიცხავს რიტორიკის მორალურად ნეიტრალური კონცეფციის შესაძლებლობას. ორივესთვის რიტორიკა არის კარგად ლაპარაკი და ორივესთვის კარგად ლაპარაკი ნიშნავს სამართლიანად ლაპარაკს. ასეთი იყო მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი - თავადვე კარგი კაცი, რომელიც არა მხოლოდ კარგად ლაპარაკობდა, კარგადაც წერდა.



ლიტერატურა

1. Gibson, Craig A. (2014), Better Living through Prose Composition? Moral and Compositional Pedagogy in Ancient Greek and Roman Progymnasmata. *Rhetorica* 32.1.
2. Fleming, David. (2008). Ed. and trans. Libanius' Progymnasmata: Model Exercises in Greek Prose Composition and Rhetoric. Atlanta: Society of Biblical Literature.
3. Kennedy, G.A. (2013). Quintilian. A Roman Educator and his Quest for the Perfect Orator. Revised Edition. No place given. (Original edition, New York).
4. Murphy, J.J., (2016). An Ancient Master Teacher Speaks to the Modern World: What Quintilian Can Tell Us About Modern Pedagogy. *Advances in the History of Rhetoric* 19.2. Special issue. Murphy, J.J. 2016b. 'Introduction: A Quintilian Anniversary and Its Meaning'. *Advances in the History of Rhetoric* 19.2.
5. Monfasani, J. (1992). Episodes of Anti-Quintilianism in the Italian Renaissance: Quarrels on the Orator as a Vir Bonus and Rhetoric as the Scientia Bene Dicendi. *Rhetorica* 10.2.
6. Morgan T. (2000). A good man Skilled in Politics. Quintilian's Political Theory.' In *Pedagogy and Power: Rhetorics of Classical Language*, edited by Y. Lee and N. Livingstone. Cambridge.
7. Pennacini, A. (2001). Quintiliano Institutio Oratoria I. Turin. Penwill, J.L. 2000. 'Quintilian, Statius, and the Lost Epic of Domitian'. *Ramus*.
8. Robinson, O.F.( 2002). 'Quintilian and Adultery'. In *Iurisprudentia universalis: Festschrift fur Theo Mayer-Maly zum 70*, edited by M.J. Schermaier, J.M. Rainer, and L.C. Winkel.
9. Tellegen, J.W. (2003). The Reliability of Quintilian for Roman Law: On the Causa Curiana'. In *Quintilian and the Law*, edited by O. Tellegen-Couperus. Leuven.
10. Winterbottom, M. (1983). Quintilian and Declamation'. In *Hommages à Jean Cousin: Rencontres avec l'Antiquité classique*. Besançon.
11. Woods, Marjorie C. (1992). Among Men—Not Boys: Histories of Rhetoric and the Exclusion of Pedagogy." *Rhetoric Society Quarterly* 22.
12. Zamora J.C. (1998) Quintilian on the Adoption of Loanwords. Vol.23, No. 2,25<sup>th</sup>.

**Vir Bonus, Dicendi Peritus**  
**Quintilianus Philosophical aspects of "good man"**

**Ketevan Futkaradze**

**Abstract**

The purpose of this article is to explain Quintilian's doctrine of vir bonus in the light of Platonism. The two are linked by important themes that run through the discussion of rhetoric: the inseparability of wisdom, goodness, eloquence and moral stability. It is because of these two themes that the doctrine of vir bonus has become important for modern discussions, the ethics of rhetoric. Plato and Quintilian differ in defining goodness and justice. Plato sees them more as matters of inner state (soûl), while Quintilian sees them more in terms of public behavior and reputation, but for both there are conceptual connections between rhetoric and justice that preclude the possibility of a morally neutral conception of rhetoric. For both, rhetoric is "speaking well," and for both, "speaking well" means speaking fairly. Such was Marcus Fabius Quintilianus - a good man himself, who not only spoke well, but also wrote well.

0313 ფსიქოლოგია - Psychology

ემპათია და კონფლიქტურ სიტუაციაზე რეაგირების ქცევის ფორმები მშობლებსა და შვილებში

ნათია ვარდია, ნანა ბურდული  
საქართველოს უნივერსიტეტი  
University of Georgia  
E-mail: natiavardia@gmail.com

**რეზიუმე**

მოზარდობის ასაკი საკმაოდ რთული და პრობლემური ასაკია. ეს არის გარდამავალი ასაკი ბავშვობასა და დედობას შორის, მოზარდებს უჩნდებათ განსხვავებული მოთხოვნილებები, ეცვლებათ ავტორიტეტები და ა.შ. ეს ცვლილებები, რომელიც ხდება მოზარდის ცხოვრებაში აისახება მათ მშობლებზე და ეწყებათ შფოთვა, რომელიც სამწუხაროდ, ხშირად მთავრდება იმით, რომ ერთმანეთის არ ესმით. აღსანიშნავია, რომ 70-ზე მეტი კვლევის ანალიზით, რომელიც 200 000 ბავშვს მოიცავდა, გამოვლინდა, რომ მოზარდები, რომელთა მშობლებიც მათ მიმართ უგულვებელყოფით გამოირჩეოდნენ, ან ფიზიკურ სასჯელს მიმართავდნენ აღზრდის დროს, სხვა ბავშვები მათთვის ჩაგვრის სამიზნეს წარმოადგენდა (Preidt, R. 2013).

**საკვანძო სიტყვები.** ბულინგი, მეტა-ანალიზი, ემპათიურობა, პროსოციალური ქცევა, კორელაცია, რეაგირების პატერნები, კონფლიქტური სიტუაციები.

**მიზანი**

წინამდებარე კვლევის მიზანია შევისწავლოთ, არის თუ არა კავშირში მოზარდის ემპათიურობა კონფლიქტზე რეაგირების ქცევის სტრატეგიებთან და რა გავლენას ახდენს მშობელი შვილის ემპათიურობასა და კონფლიქტზე რეაგირების ქცევის პატერნების ჩამოყალიბებაზე. ვივარაუდებთ, რომ ის მოზარდები, რომლის ემპათიის დონე მაღალია, ხშირად იყენებენ კონფლიქტურ სიტუაციაზე რეაგირების ქცევის ისეთ ფორმებს, როგორცაა კომპრომისი და თანამშრომლობა. ასევე, მიგვაჩნდა, რომ მეტოქეობა, განრიდება და შეგუება დამახასიათებელი იქნებოდა ნაკლებად ემპათიური მოზარდებისთვის. მიგვაჩნდა რომ დადებით კორელაცია იქნებოდა როგორც მშობლის და შვილის ემპათიურობას, ასევე ქცევის სტრატეგიების გამოყენებას შორის. კვლევის ჰიპოთეზების ნაწილი გამართლდა, ნაწილი კი არა.

წარმოდგენილ სამაგისტრო კვლევას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. ის საშუალებას გვაძლევს მომავალში გამოვიკვლიოთ საინტერესო და მნიშვნელოვანი თემები. შეგვიძლია მოვიძიოთ დამატებითი ცვლადები, რომელიც განსაზღვრავს მაგალითად იმას, თუ რატომ მივიღებთ უარყოფითი კორელაცია მშობლის და შვილის ქცევის პატერნებს შორის. ჩვენი ინფორმაციით საქართველოში მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა. ამ მხრის ის წარმოადგენს სიახლეს კვლევით სფეროში.

ამერიკის განათლების ნაციონალური ცენტრის 2016 წლის მონაცემების მიხედვით, ყოველი 5 ბავშვიდან 1 ბულინგის მსხვერპლია. 2014 წელს გაკეთებული 80 კვლევის მეტა-ანალიზი ცხადყოფს, რომ 12–18 წლის მოზარდების 35% განიცდის ტრადიციულ ბულინგს (ფიზიკური, სიტყვიერი აგრესია), ხოლო 15%– „კიბერ-ბულინგს“. (Modecki, Minchin, Harbaugh, Guerra & Unions, 2014).

ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, არსებობს კავშირი აღზრდის სტილსა და ემპათიურობას შორის. ის ბავშვები, რომელთა მშობლებიც იყენებდნენ ავტორიტეტულ აღზრდის სტილს, იყვნენ მეტად ემპათიურები და მეტად იყვნენ ჩართული პროსოციალურ საქმიანობაში. (Eisenberg et al., 2006). გარდა ამისა, ეიზენბერგი და ჰოფმანი (Eisenberg, Hofmann., 2006) კორელაციას ასაკსა და ემპათიურობას შორის. კვლევამ აჩვენა რომ მათ შორის რაიმე სახის კორელაცია არ არსებობდა, თუმცა იყო დადებითი კავშირი ემპათიური გამოცდილების გახსენებასა და ასაკს შორის.

ეიზენბერგის (Nancy Eisenberg) და შეფარდის (Stephanie Shepard) კვლევამ, რომელიც მიზნად ისახავდა კავშირის დადგენას მშობლისა და შვილის ემპათიურობასა და პროსოციალურ ქცევას შორის აჩვენა, რომ არათუ ძლიერი დადებითი კორელაციაა მათ შორის, ის ასევე კავშირშია მათ პოზიტიურ სოციალურ ფუნქციონირებასთან. (Child Development, May/June 2002, Volume 73, Number 3, Pages 893-915). ანუ მოზარდი, რომლის მშობელიც ემპათიურია თვითონაც მაღალი პასუხისმგებლობა აქვს გაიზიაროს სხვისი განცდები და ეს ეხმარება მას, რომ დადებითად და პოზიტიურად იფუნქციონიროს სოციალურ გარემოში.

### კვლევის მიზანი და ჰიპოთეზები

განხილული თეორიებიდან, კვლევებიდან და მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზნად დავისახეთ გაგვერკვია არის თუ არა კავშირი კონფლიქტურ სიტუაციებში მოზარდის ქცევის სტრატეგიასა და მის ემპათიურობას შორის. და რა გავლენას ახდენს მშობელი შვილის ემპათიურობასა და ქცევის რეაგირების პატერნების ჩამოყალიბებაზე.

### კვლევის ჰიპოთეზები:

1. მოზარდი, რომლის ემპათიის დონე მაღალია, უფრო ხშირად იყენებს კონფლიქტის რეგულირების ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა კომპრომისი და თანამშრომლობა;
2. კონფლიქტზე რეაგირების ფორმები, როგორცაა მეტოქეობა და განრიდება ახასიათებს ნაკლებად ემპათიურ მოზარდებს.;
3. ძლიერი დადებითი კორელაციაა მშობლის და შვილის ემპათიურობას შორის;
4. შვილის კონფლიქტზე რეაგირების სტრატეგიები დადებით კავშირშია მშობლის ქცევის იმავე სტრატეგიებთან.

მოცემული მიზნებიდან და ჰიპოთეზებიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. მეთოდოლოგიის შერჩევა;
2. მშობლებსა და შვილებში ემპათიურობის და კონფლიქტის მართვის სტრატეგიების განსაზღვრა
3. მონაცემების შეგროვება და ანალიზი;
4. შედეგების ინტერპრეტაცია.

### კვლევის ადეკვატური მეთოდების შერჩევა

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ რომ კვლევა ჩატარდა 11-14 წლის მოზარდებსა და მათ მშობელთან. კვლევაში გამოყენებული იქნა ორი ძირითადი კითხვარი. 1. თომასის ტესტი - რომელიც გვიჩვენებს კონფლიქტურ სიტუაციებში რომელ ქცევით სტრატეგიას იყენებს მოზარდი და მშობელი. ის გამოყოფს კონფლიქტის რეგულირების ისეთ ხერხებს როგორცაა შეჯიბრი, შეგუება, კომპრომისი, თავის არიდება და თანამშრომლობა.

და მეორე კითხვარი ეს იყო მერაბიანისა და ეშტეინის ემპათიის საზომი კითხვარი, რომელიც დაგვებმარა ემპათიის დონის დადგენაში. კვლევა მოიცავს ტესტის ჩატარებას, შემდეგ მონაცემების შეგროვებას, მათ შეყვანას კომპიუტერულ პროგრამაში - SPSS, რომელიც დაგვებმარა მის სტატისტიკურ ანალიზში და ანალიზის ინტერპრეტაციის შემდგომ მივიღეთ საბოლოო შედეგი.

### მიღებული შედეგების სრული მონაცემების სტატისტიკური, პროცენტული და კორელაციური კავშირის ანალიზი

კვლევის მონაცემები დავამუშავეთ სტატისტიკური პროგრამის SPSS-ის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ჯამში 164 ადამიანმა. აქედან 82 იყო მოზარდი, ხოლო დანარჩენი 82 მათი მშობლები. კვლევის ნაწილი ჩატარდა ხობის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, ნაწილი კი იუჯი სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. პანდემიისგან გამოწვეული შეზღუდვების გათვალისწინებით ზოგიერთი რესპოდენტის პასუხები მივიღეთ ინტერნეტის საშუალებით. მშობლის ასაკი გადანაწილდა 29 დან 50 წლამდე, ამიტომ გამოყვავით ორი ჯგუფი. პირველში გავაერთიანეთ 29 დან 37 წლამდე ასაკის მშობლები, ხოლო მეორეში 38 დან 50 წლამდე მშობლები. ასაკის პროცენტული განაწილება შემდეგნაირი აღმოჩნდა: 29 დან 37 წლამდე იყო მშობლების 41% (სულ 34 მშობელი), ხოლო 58.5%-ს წარმოადგენდა 38 დან 50 წლამდე მშობლები (სულ 48 მშობელი). რაც შეეხება შვილების ასაკს, კვლევა მოიცავდა მოზარდების კვლევას, შესაბამისად მათი ასაკი იყო 11 დან 16-მდე. მოზარდების ასაკში ჯგუფების გამოყოფა არ მომხდარა. ყველაზე მეტი რესპოდენტი იყო 12 და 13 წლის, ჯამში 50%.

ჩვენი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დეტალურად განვიხილოთ კავშირი ემპათიასა და კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის პატერნებს შორის, როგორც მოზარდებში ასევე მათ მშობლებთან. ჩვენი კვლევის მთავარ მიზანსაც სწორედ ამის გარკვევა წარმოადგენდა, გაგვერკვია არის თუ არა კავშირში ემპათიის დონე კონკრეტულ ქცევის სტრატეგიებთან და რა როლი ჰქონდა მშობელს მათ ჩამოყალიბებაში. ვივარაუდეთ, რომ მივიღებდით დადებით კორელაციურ კავშირს მშობლის და შვილის ემპათიურობას შორის და ასევე მივიღებდით ერთმანეთის მსგავს ქცევის პატერნებს მშობლებსა და შვილებში. ასევე ჩვენი მიზანი იყო გაგვერკვია მოზარდის მაღალი ემპათიურობა ნიშნავდა თუ არა იმას, რომ ის იყენებდა თანამშრომლობის ან კომპრომისის სტრატეგიას კონფლიქტურ სიტუაციაში.

თეორიული მიმოხილვის საფუძველზე ვვარაუდობდით, რომ ჩვენი ჰიპოთეზები გამართლდებოდა, თუმცა ამავე საფუძველზე ვუშვებდით სხვა, უფრო განსხვავებული შედეგების მიღების ალბათობასაც, რადგან საქმე გვქონდა მოზარდებთან, ყველაზე არაპროგნოზირებად და საინტერესო ჯგუფთან. ჩვენ ასევე ვუშვებდით, რომ შეიძლებოდა ჯგუფები დიფერენცირებულიყო ასაკის, სქესის ან დასაქმების მიხედვითაც. შეიძლება ვთქვათ, რომ ვარაუდების ნაწილი გამართლდა, თუმცა მივიღეთ განსხვავებული შედეგებიც.

აღნიშნული ფსიქოლოგიური მახასიათებლების საკვლევად გამოვიყენეთ, ისეთი კვლევის ინსტრუმენტები, როგორცაა თომასის და კილმანის ტესტი და მერამიანის და ეპშტეინის ემოციური ემპათიის საკვლევი კითხვარი. მონაცემების დასამუშავებლად გამოვიყენეთ SPSS პროგრამა, კერძოდ აღწერითი სტატისტიკა. კორელაციური კავშირის დასადგენად გამოვიყენეთ კენდალის კორელაცია. როგორც თეორიულმა მიმოხილვამ, ასევე მონაცემთა ანალიზმაც გამოკვეთა კავშირები ამ ცვლადებს შორის.

### დასკვნა

განვიხილეთ კავშირი მოზარდის ემპათიასა და თანამშრომლობას შორის. კორელაციის კოეფიციენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათ შორის არსებობს დადებით კავშირი, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ არის. ასევე არ გვაქვს მყარი, სტატისტიკურად სანდო კავშირი კომპრომისსა და ემპათიას შორის. თუმცა დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვა სტრატეგიებთან შედარებით ემპათია დადებით კავშირშია თანამშრომლობასა და კომპრომისთან. ამით ჩვენი ჰიპოთეზა ნაწილობრივ დასტურდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მოზარდები, რომლებმაც აქვთ ემპათიის მაღალი დონე ანუ აქვთ უნარი გაიზიარონ სხვების განცდები და ემოციები, უფრო ხშირად იყენებენ თანამშრომლობის და კომპრომისის სტრატეგიებს კონფლიქტურ სიტუაციებში.

რაც შეეხება მეორე ჰიპოთეზას, სადაც ვთქვით, რომ მეტოქეობა და თავის არიდება ახასიათებს ნაკლებად ემპათიურ მოზარდებს, ესეც ნაწილობრივ დადასტურდა, რადგან ნამდვილად მივიღეთ უარყოფითი კორელაცია ემპათიასა და ამ ორ ცვლადს შორის, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგი აქაც ვერ მივიღეთ.

მესამე ჰიპოთეზის შემოწმებისას აღმოვაჩინეთ რომ ის ნამდვილად დადასტურდა. ანუ მშობლის და შვილის ემპათიურობას შორის მივიღეთ ძლიერი დადებითი კორელაცია და შედეგიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

რაც შეეხება კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის სტრატეგიებს, აქ ჩვენი ჰიპოთეზა არ გამართლდა იმასთან დაკავშირებით რომ ჩვენ ვვარაუდობდით მოზარდებს და მშობლებს ექნებოდათ მსგავსი ქცევის პატერნები კონფლიქტურ სიტუაციებში, კვლევამ კი პირიქით აჩვენა. უფრო კონკრეტულად, მშობლის მეტოქეობის ქულასა და შვილის მეტოქეობის ქულას შორის მივიღეთ უარყოფითი კავშირი, ისევე როგორც მშობლის თანამშრომლობას და შვილის თანამშრომლობის სტრატეგიას შორის, ასევე უარყოფითი კავშირი მივიღეთ კომპრომისის სკალაზე მიღებულ მშობლის და შვილის ქულებს შორის. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ მშობლისთვის პრიორიტეტულია მეტოქეობის სტრატეგია, შვილი იმავე სტრატეგიას უფრო ნაკლებად იყენებს. იგივე ხდება თანამშრომლობის და კომპრომისის სტრატეგიების შემთხვევაშიც.

რაც შეეხება ჯგუფებს შორის განსხვავებას, შედეგებმა არც სქესის, არც ასაკის და არც დასაქმების კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავება არ აჩვენა.

სამომავლოდ საინტერესო იქნება თუნდაც ანალოგიური კვლევის ჩატარება სხვა ასაკობრივ ჯგუფებში. მაგალითად ტორონტოს უნივერსიტეტში ჩატარდა (2014) კვლევა, სადაც აღმოჩნდა რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვების კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის პატერნები ემთხვევა მშობლის ქცევის პატერნებს. (R. Lawer)

შედეგების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშობლის და შვილის ემპათიებს შორის მივიღეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი, ხოლო კონფლიქტური სიტუაციის ქცევის სტრატეგიებში, როგორცაა მეტოქეობა, კომპრომისი და თანამშრომლობა - მშობლისა და შვილის ქულებს შორის მივიღეთ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია.

**დასკვნის** სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ჰიპოთეზები ნაწილობრივ დადასტურდა და ასევე გამოვლინდა სხვა საინტერესო შედეგები. როგორც ვნახეთ მშობლის და შვილის ემპათია საკმაოდ მსგავსია, ხოლო განსხვავებულია კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის პატერნები. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მოზარდობის ასაკში წინააღმდეგობის გაწევა, მშობლებთან ჯიბრში ჩადგომა და მათგან განსხვავებული ქცევა აქტუალურია, შესაძლოა ამიტომაც მივიღეთ მსგავსი შედეგი.

### ლიტერატურა

1. სუმბაძე, ნ., ქიტიაშვილი, ა., ფირცხალავა, ე., მაისურაძე, მ. (2012)
2. ოზოლაძე, თ., ოჯახური პრობლემები და ბავშვის ემოციური პრობლემები. (2000-2005)
3. ჩომახიძე, ე. (2020). ფსიქოდიანოსტიკის რიდერი. გვ. 38.
4. მელიქიშვილი, მ. (2014). განვითარების ფსიქოლოგია
5. Goldstein, A. P., & Michaels, G. Y. (1985). Empathy: Development, training, and consequences. Hillsdale, NJ: Erlbaum.
6. Hodges, S.D., & Klein, K.J. (2001). Regulating the costs of empathy: the price of being human. Journal of Socio-Economics.
7. Happiness Genes: Unlock the Positive Potential Hidden in Your DNA, New Page Books (April, 2010). Michael Carroll.
8. How Empathy Paves the way for Innovation from Fearless at Work by Michael Carroll, © 2012 by Michael Carroll.
9. Hoffman, M. (2000). Empathy and moral development. Implications for caring and justice. New York: Cambridge University
10. Howard, J. A. (1983). Preschoolers' empathy for specific affects and their social interaction (Doctoral dissertation, Kansas State University, Manhattan). Dissertation Abstracts International, 44, 3954B.
11. Jackson, S., Bijstra, J., Oostra, L. & Bosma, H. (1998). Adolescents' perceptions of communications with parents relative to specific aspects of relationship with parents and personal development. - J. Adolescence 21: 305-322.

**Natia Vardia, Nana Burduli**

### **Empathy and behavior patterns of response to conflict situation in parents and children**

#### **Summary**

Adolescence is quite a difficult and problematic age. It is a transitional age between childhood and adulthood, adults have different needs, authority figures change, etc. These changes that take place in the life of a teenager affect their parents and start anxiety, which unfortunately often ends with them not understanding each other. It is worth noting that an analysis of more than 70 studies, which included 200,000 children, revealed that adolescents whose parents were neglectful towards them, or used physical punishment during upbringing, were the targets of oppression for them by other parents (Preidt, R. 2013

0541 მათემატიკა MATHEMATICS

$A(q)$  ოპერატორის თვისება

როლანდ ბაკურაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლ. ჭავჭავანიძის სახ. კიბერნეტიკის ინსტიტუტი  
Vladimer Chavchanidze Institute of Cybernetics of the Georgian Technical University

E-mail: bakuradze@yahoo.com

რეზიუმე

ნაშრომში შესწავლილია სპექტრალური ანალიზის ინვერსიულ პრობლემა შტურმ-ლიუვილის ოპერატორებისთვის. მიღებულია შედეგი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება კლასიკური ინვერსიული პრობლემის ფორმულირებისგან. შესწავლილია ჩვენს მიერ მიღებული  $A(q)$  ოპერატორის თვისება. შედეგები გამოიყენება დიფერენციალური განტოლების სპექტრალური თეორიის გადრმავებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ჰილბერტის სივრცე, ლიუვილ-შტურმის ოპერატორი, სპექტრალური თეორია.

$L_2[0, \pi]$  ჰილბერტის სივრცეში განვიხილოთ  $[0, \pi]$  მონაკვეთზე გენერირებული ლიუვილ-შტურმის თვითშეუღლებული  $L$  ოპერატორი შემდეგი დიფერენციალური გამოსახულებით:

$$L[y] = -y''(x) + q(x)y(x) \tag{1}$$

და თვითშეუღლებული სასაზღვრო პირობით:

$$y'(0) - hy(0) = 0, \tag{2}$$

$$y'(\pi) - Hy(\pi) = 0, \tag{3}$$

სადაც,  $h$  და  $H$  - სასრული ნამდვილი რიცხვებია.

შემდგომში ჩავთვალოთ, რომ  $q(x)$ -საკმაოდ გლუვი ნამდვილი ფუნქციაა და დავუშვათ, რომ  $q(x) \in C^2[0, \pi]$ . ცნობილია [1],  $L$  ოპერატორის სპექტრი შემოსაზღვრულია ქვემოდან და შედგება მარტივ საკუთარი  $\{\lambda_j\}, j = 0, 1, \dots, n, \dots$  რიცხვებისგან.  $\varphi(x, \lambda_j)$ -ით აღვნიშნოთ საკუთარი ფუნქცია, რომელიც შეესაბამება  $\lambda_j$  საკუთარ რიცხვს და აკმაყოფილებს ნორმირების პირობას

$$\int_0^\pi \varphi^2(x, \lambda_j) dx = 1. \tag{4}$$

შემოვიღოთ აღნიშვნა  $\Psi(x, \lambda)$ , რომელიც

$$l[y] = \lambda y \tag{5}$$

განტოლების ამონახსნია და აკმაყოფილებს შემდეგ სასაზღვრო პირობას:

$$\Psi(0, \lambda) = 1, \Psi^{(1)}(0, \lambda) = h. \tag{6}$$

$\Psi(x, \lambda)$  ი  $\Psi^{(1)}(x, \lambda)$  ფუნქციები ყოველი ფიქსირებული  $x$  მნიშვნელობისათვის წარმოადგენს  $\lambda$ -ის მიმართ ანალიზურ ფუნქციას.  $L$  ოპერატორის საკუთარი რიცხვები ემთხვევა  $\Psi'(\pi, \lambda) + H\Psi(\pi, \lambda)$  ფუნქციის ნულებს.

აღვნიშნოთ, აგრეთვე, რომ  $\varphi(x, \lambda_n), n = 0, 1, \dots$ -ის  $n$ -ურ საკუთარ ფუნქციას  $(0, \pi)$  ინტერვალზე აქვს ზუსტად  $n$  ცალი მარტივი ნული [1].

$\Psi(x, \lambda_n)$ , ფუნქციის ნორმირებული კოეფიციენტისათვის შემოვიღოთ აღნიშვნა:

$$\alpha_n = \int_0^\pi (\Psi(x, \lambda_n))^2 dx, \tag{7}$$

ხოლო  $\alpha(t)$ -თი აღვნიშნოთ შემდეგი სახის ნამდვილი ცვლადის ფუნქცია

$$\alpha(t) = \sum_{\lambda_j < t} \frac{1}{\alpha_n}. \tag{8}$$

ფუნქცია  $a(t)$ , რომელსაც ეწოდება  $L$  ოპერატორის საკუთარი ფუნქცია, წარმოადგენს მონო-ტონურად ზრდად ფუნქციას და წარმოქმნის  $L_2(f(x), da(t))$  ჰილბერტის სივრცეს. არსებობს სივრცეთა  $L_2[0, \pi] \rightarrow L_2(f, da(t))$  უნიტარული გარდაქმნა.

ზოგიერთი პრობლემის გადაჭრისას, რომელიც წარმოიქმნება დიფერენციალურ ოპერატორებში, ვარაუდობენ, რომ სპექტრული ფუნქცია ცნობილია და უნდა განისაზღვროს პოტენციალი. ეს პრობლემა მიეკუთვნება შტურმ-ლიუვილის ოპერატორებისთვის სპექტრული ანალიზის ე.წ. შებრუნებული ამოცანების კლასს და პირველად იქნა მოხსენებული. ი.მ. გელფანდისა და ბ.მ. ლევიტანის მიერ [2]. შტურმ-ლიუვილის ოპერატორებისთვის სპექტრული ანალიზის ინვერსიული ამოცანები ასევე შესწავლილი იყო ცალკეულ შემთხვევებში: ნამ-დვილ ნახევარწრფესა და მთელ წრფეზე. სპექტრული ანალიზის შებრუნებული ამოცანების თეორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები მიღებულია ვ. ა. ამბარცუმიანის [3], ი. მ. გელფანდის [4], ვ.ა. მარჩენკოს [5], მ. გ. გასიმოვის [6], ბ.ა.დუბრონინის [8] და სხვათა შრომებში. ამ შედეგების დეტალური მიმოხილვა მოცემულია ბ.მ. ლევიტანის მონოგრაფიაში [9].

უნდა აღვნიშნოთ, რომ სპექტრულური ანალიზის შებრუნებული ამოცანა შტურმ-ლიუვილის ოპერატორებისთვის, რომელიც ხშირად განიხილება მათემატიკურ ლიტერატურაში შესწავლილია იმ ვარაუდით, რომ ცნობილია ოპერატორის სპექტრზე განსაზღვრული გარკვეული ფუნქციები. ასეთი ფუნქციების ერთობლიობას ეწოდება მონაცემების გაბნევა.

ამ ნაშრომში ჩვენ ვსწავლობთ სპექტრული ანალიზის ინვერსიულ პრობლემას შტურმ-ლიუვილის ოპერატორებისთვის, ფორმულირებით, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება კლასიკური ინვერსიული პრობლემის ზემოთ მოტანილი ფორმულირებისგან. ქვემოთ განხილული სპექტრული ანალიზის ინვერსიული პრობლემა ასეთია: დავუშვათ, მოცემულია  $n, n > 1$  დადებითი რიცხვი და  $n$  ცალი არაუარყოფითი მთელი რიცხვი  $k_1, k_2, \dots, k_n$ .  $k_1 k_2 < \dots < k_n$ . დავუშვათ, რომ  $M = (k_1, k_2, \dots, k_n)$  დალაგებულ  $k_1, k_2, \dots, k_n$  ინდექსთა ნაკრებია.  $P_M$ -ით აღვნიშნოთ  $n$  - განზომილებიან ინვარიანტულ  $H_M$  ქვესივრცეზე  $L$ -ოპერატორის პროექცია, რომელიც შემოუსაზღვრელია და მის ბირთვს  $P_M(x, y)$  აქვს სახე:

$$P_M(x, y) = \sum_{l=1}^n \varphi(x, k_l) \varphi(y, k_l) \quad (9)$$

შემოვიღოთ აღნიშვნა:

$$\rho_{j,M}(x) = \sum_{l=1}^n \lambda_{k_l}^j (\varphi(x, k_l))^2, \quad j = 0, 1, 2, \dots \quad (10)$$

**თეორემა.** თუ  $L_2[0, \pi]$  სივრცეში განვიხილავთ (11)-(13) სასაზღვრო ამოცანას

$$-y^{(2)}(x) + q(x)y(x) = \lambda y(x), \quad (11)$$

$$y^{(1)}(0) - hy(0) = 0, \quad (12)$$

$$y^{(1)}(\pi) + Hy(\pi) = 0, \quad (13)$$

და  $C^{(2)}[0, \pi]$  სივრცეში ამოცანას (14)-(16) საკუთარი მნიშვნელობებისათვის

$$A(q) f(x) = \lambda f(x), \quad (14)$$

$$f^{(1)}(0) - 2hf(0) = 0, \quad (15)$$

$$f^{(1)}(\pi) + 2Hf(\pi) = 0, \quad (16)$$

სადაც ოპერატორი  $A(q)$  განსაზღვრულია ფორმულით (17), [10]

$$A(q)f(x) = q(x)f(x) + h^2 f(0) - \frac{1}{4} f^{(2)}(x) - \frac{1}{4} f^{(2)}(0) - \frac{1}{2} \int_0^x q^{(1)}(t) f(t) dt. \quad (17)$$

და 
$$\rho_{k,j}(x) = A(q)\rho_{k,j-1}(x), \quad j = 0, 1, 2, \dots, \dots \quad (18)$$

მაშინ (11)÷(12) და (14)÷(16) სასაზღვრო ამოცანებით გაანსაზღვრული ოპერატორების სპექტრები ემთხვევა ერთმანეთს, შესაბამისი საკუთარი ფუნქციები კი დაკავშირებულია თანაფარდობით:

$$y^2(x) = f(x). \quad (19)$$

**დამტკიცება:** ვთქვათ  $\varphi(\lambda, x) - (11) \div (13)$  ამოცანის ამონახსნია. ოპერატორი  $A(q)$  - კი გაანსაზღვრულია ფორმულით (17). ფორმულაში (10) ჩავსვათ  $n = 1$  და  $j = 1$ , მივიღებთ, რომ  $\varphi(\lambda, x)$  ფუნქციის კვადრეტი აკმაყოფილებს განტოლებას:

$$A(q)\varphi^2(\lambda, x) = \lambda\varphi^2(\lambda, x) \quad (20)$$

ფუნქცია  $\varphi^2(\lambda, x)$  აკმაყოფილებს (15) და (16) სასაზღვრო პირობებს. ამგვარად,  $L$  ოპერატორის ნებისმიერი საკუთარი ფუნქცია წარმოადგენს  $q(x)$  ფუნქციაზე დამოკიდებულ წრფივი  $A(q)$  ოპერატორის საკუთარ ფუნქციას, რომელიც ამავე ოპერატორის იმავე  $\lambda$  საკუთარ რიცხვებზეა დამოკიდებული.

დავამტკიცოთ მოცემული თეორემის შებრუნებული.

ვთქვათ  $\lambda$ -ნებისმიერი კომპლექსური რიცხვია, მაშინ (14) განტოლებას აქვს ერთადერთი ამონახსნი, რომელიც აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობას:

$$f(x, 0) = 1. f^{(1)}(\lambda, 0) = 2h. \quad (21)$$

ეს მტკიცება შემოწმდება პირდაპირ, რადგან:

$$A(q)f(\lambda, x) = \lambda f(\lambda, x) \quad (22)$$

წარმოადგენს მეორე რიგის ინტეგრო-დიფერენციალ განტოლებას და ადვილად დაიყვანება ვოლტერის ინტეგრალურ განტოლებამდე. მეორე მხრივ განვიხილოთ ფუნქცია  $\varphi^2(\lambda, x)$ , სადაც  $\varphi(\lambda, x)$  გახდება 1-ის ტოლი როდესაც  $x = 0$ ;  $\varphi^{(1)}(\lambda, 0) = 1$  და აკმაყოფილებს (15) სასაზღვრო პირობას. გარდა ამისა:

$$-\varphi^2(\lambda, x) + q(x)\varphi(\lambda, x) = \lambda\varphi(\lambda, x). \quad (23)$$

ამიტომაც  $\varphi^2(\lambda, x) = f(\lambda, x)$ .  $f(\lambda, x) -$  ისათვის (16) სასაზღვრო პირობა შესრულდება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც  $\varphi(\lambda, x) -$  ფუნქციისათვის შესრულდება (13) პირობა. თეორემა დამტკიცებულია.

#### ლიტერატურა

1. Б.М. Левитан и И.С Саргсян Введение в спектральную теорию. М., 1970.
2. И.М. Гельфанд,и Б.М. Левитан Об определении днфкренциального уравнения по его спект- ральной функции// Извю АН, сер. матем., 1951, т.15, с.309÷360.
3. ვ. ა. აზბარცუმიან Über eine Frage der Eigenwertheorie//Zeitschr für Physik, 1929, Bd. 53.S.690÷695.
4. И.М. Гельфанд О тождествах для собственных значений дифференциального оператора вто-рого порядка //Успехи матем. наук, 11,1(67) 1956, с. 191÷198.
5. В.А.Марченко Спекральная теория оператора Штурма-Лиувилля Киев,Наукова думка 1972.
6. М.Г. Гасимов Обратная задача теории рассеяния для системы ураревний Дирака лорядка  $2n$  // Труды Моск. матем. Об-ва19((1968).
7. Б.А. Дубровин Периодическая задача для уравнения Кортевега де Фриза в классе конечзонных потенциалов // Функц. ан. и приложенияб 1975,т. 9, №3, с. 41÷51.
8. Б.М. Левитан Обратные задачи Штурма-Лиувилля. М., 1984.
9. 9. Р. Ш. Бакурадзе, И. В. Станкевич О некоторых свойствах операторов проектирования, порождаемых оператором Штурма-Лиувилля. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.134, №2, გვ.257÷260.

#### A property of the operator A(q)

Roland Bakuradze

#### Abstract

The inverse problem of spectral analysis for Sturm-Liouville operators is studied in the paper. The result is obtained, which is significantly different from the classical inverse problem formulation.



0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

INFORMATION AND COMMUNICATION TECHNOLOGIES (ICTS)

უსადენო ლოკალურ ქსელში მარშრუტიზაციის უსაფრთხოების ამალღების ალგორითმი

ზებურ ბერიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Batumi Shota Rustaveli State University

E-mail: zazaber@mail.ru

რეფერატი

უსაფრთხოების მზარდამჭერი ავტომატიზებული სისტემის გადაწყვეტის ეფექტურობა დამოკიდებულია სისტემის ალგორითმულ უზრუნველყოფაზე. ამ საკითხის ოპტიმალური გადაწყვეტისათვის უსაფრთხოების ამოცანის თითოეული მეთოდი იყოფა ცალკეულ ალგორითმებად. ნაშრომში განხილულია უსადენო ლოკალურ ქსელში მარშრუტიზაციის უსაფრთხოების ამალღების მიზნით შემუშავებული მეთოდის ალგორითმი.

დღეისათვის უსადენო ტექნოლოგიები ფართოდ გამოიყენება მთელ სამყაროში, რათა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა დიდი რაოდენობის საკომუნიკაციო მოთხოვნები. უსადენო ტექნოლოგიების არსებულ პოპულარობას რამდენიმე მიზეზი გააჩნია. უსადენო მოწყობილობების ფასი საგრძნობლად შემცირდა, რაც მომსახურების პროვაიდერს საშუალებას აძლევს მნიშვნელოვნად შეამციროს უსადენო სერვისის ღირებულება და იგი მეტად მისაწვდომი გახადოს მომხმარებლისთვის.

არსებობს უსადენო კავშირების სხვადასხვა ნაირსახეობა, მაგრამ უსადენო ქსელების ძირითად თავისებურებად ითვლება ის, რომ კავშირი მყარდება კომპიუტერულ მოწყობილობებს შორის. მომხმარებლების, სერვერებისა და მონაცემთა ბაზების ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად უსადენო ქსელები, როგორც გადამცემი საშუალება, იყენებს რადიოტალღებს ან ინფრაწითელ დიაპაზონს. ინფორმაციის გადაცემის ეს არეალი უხილავია ადამიანისათვის.

უსადენო ლოკალური ქსელები გამოირჩევა მაღალი თვისებებით. ის უზრუნველყოფს ინფორმაციის გადაცემას ოფისში და ოფისს გარეთ. უსადენო ლოკალური ქსელები მარტივად უზრუნველყოფს იმ თვისებებს, რომლებიც აუცილებელია მაღალი დონის სისტემების უწყვეტად შესრულებისათვის. ასეთი ქსელის მომხმარებლებს სერვერიდან შეუძლიათ მიიღონ დიდი მოცულობის ელექტრონული ფოსტა ან ვიდეოს ნაკადი. უსადენო ლოკალური ქსელები სრულიად აკმაყოფილებს ყველა საოფისე სისტემის მოთხოვნებს [1].


განვიხილოთ უსადენო ლოკალურ ქსელში მარშრუტიზაციის უსაფრთხოების ამალღების მიზნით შემუშავებული მეთოდის ალგორითმი (ნახ. 1.).


ყველა ქსელურ მოწყობილობას გააჩნია თავისი უნიკალური MAC მისამართი და მისი და IP მისამართების გადამოწმებით ინფორმაციის გადაცემამდე მოწყობილობების იდენტიფიკაციის დასადგენად უნდა მოხდეს ორმხრივი აუტენტიფიკაცია.


შემოვიტანოთ მომხმარებლების სიმრავლე და წვდომის წერტილების სიმრავლე. თითოეული სიმრავლისთვის შემოვიღოთ სტატუსები, რომლებსაც ენიჭება გარკვეული რიცხობრივი მნიშვნელობები.

როდესაც მომხმარებელი ამოწმებს წვდომის წერტილის იდენტიფიკაციას, სტატუსი ხდება - 1, აუტენტიფიკაცია წარმატებით განხორციელდა, სტატუსს მიენიჭება - 2, ხოლო აუტენტიფიკაცია უშედეგოდ განხორციელდა მაშინ სტატუსი ხდება - 0 და ადგილი აქვს კავშირის გაწყვეტას.

ანალოგიურად განისაზღვრება წვდომის წერტილის სტატუსები მომხმარებლის იდენტიფიკაციის შემოწმების მიზნით.







ნახ. 1. უსადენო ლოკალურ ქსელში მარშრუტიზაციის უსაფრთხოების ამაღლების ალგორითმი

თითოეული მომხმარებლისთვის განსაზღვრულია მისაერთებელი წვდომის წერტილის MAC მისამართი და ინფორმაციის გადაცემამდე მომხმარებელი ამოწმებს წვდომის წერტილის MAC მისამართს და ამის შესაბამისად ცვლის მისი სტატუსის მნიშვნელობას [2].

ასევე წვდომის წერტილიც ამოწმებს მომხმარებლის IP მისამართს და ამის შესაბამისად ცვლის მისი სტატუსის მნიშვნელობას.

ორმხრივი აუტენტიფიკაციის წარმატებით განხორციელების შემდეგ ხდება კოორდინაციის გამანაწილებელი ფუნქციის ამოქმედება.

მთელ რიგ ორგანიზაციებში, მაგალითად, უსადენო ლოკალური ქსელი გამართულია იმ მიზნით, რომ მან უზრუნველყოს ნოუთბუქებიდან წვდომა კორპორატიულ სისტემებზე. ასეთი სახის სისტემებში მომხმარებელს, რომელიც, ვთქვათ იმყოფება საკონფერენციო დარბაზში ან შენობის სხვა ადგილას, თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს ქსელური მომსახურებები, რომელიც ეხმარება მას თავისი ვალდებულებების ეფექტურად შესრულებაში.

დღესდღეობით უსადენო ლოკალური ქსელების ადაპტერები ნოუთბუქების უმრავლესობაშია ჩაშენებული. უსადენო პერსონალური, ლოკალური, რეგიონალური და გლობალური ქსელები ურთიერთშემავსებელიანია და აკმაყოფილებს სხვადასხვა მოთხოვნას.

### დასკვნა

მომხმარებლის თვალსაზრისით რომ ვიმსჯელოთ მომავალ პერსპექტივებზე, მაშინ უსადენო ქსელების სახეობებს შორის არსებული საზღვრები უნდა წაიშალოს. უკვე შექმნილია კომპიუტერული მოწყობილობების სპეციალური ქსელური ადაპტერები, რომელთაც გააჩნია უსადენო ქსელების სხვადასხვა სახეობის მუშაობისადმი მხარდაჭერა.

### ლიტერატურა

1. Didmanidze Ibraim, Zaslavski Vladimir, Beridze Zebur, Didmanidze Didar. Analysis of wireless network security systems problems and those solutions. Works of conferences. No. 4 (2020), 5-7 november, Rivne, Ukraine, p. 139-140. ISSN 2707-1049, Doi 10.31713/MCIT.2020.18. <https://itconfdoc.nuwm.edu.ua/index.php/ITConf/issue/view/5>
2. T. Kaishauri, O. Shonia, Z. Beridze. Basic Objectives of Automated Systems of Security of Wireless Networks. Georg. Inter. J. Sci. Tech., Nova Science Publishers, Volume 3, Issue 4 (2011)

### Algorithm for increasing security of routing in wireless local area network

Zebur Beridze

#### Abstract

The effectiveness of an automated security-enhancing system solution depends on the algorithmic provisioning of the system. For the optimal solution of this issue, each method of the security task is divided into separate algorithms. The paper discusses the algorithm of the method developed to increase the security of routing in a wireless local network.

0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები  
INFORMATION AND COMMUNICATION TECHNOLOGIES (ICTS)

მოთხოვნის დამუშავება გენეტიკური პროგრამირების მეშვეობით

**ბადრი მეფარიშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

E-mail: meparishvilibadri08@gtu.ge

**გიორგი მურადოვი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

E-mail: muradovi.giorgi22@gtu.ge

**რეზიუმე**

მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებში მოთხოვნის დამუშავება არის კვლევისა და განვითარების კრიტიკული მიმართულება, რომელიც ფოკუსირებულია მოთხოვნის შესრულების ოპტიმიზაციაზე მასშტაბურობისა და სიზუსტის გათვალისწინებით. გენეტიკური პროგრამირება (GP) პერსპექტიული მიდგომაა რთული ოპტიმიზაციის პრობლემების გადასაჭრელად, მათ შორის მოთხოვნის დამუშავებისას. სტატიაში განხილულია გენეტიკური პროგრამირების გამოყენების შესაძლებლობები მოთხოვნის დამუშავებაში. წარმოდგენილია აღნიშნული მიდგომის პოტენციური სარგებელი, გამოწვევები და კვლევის მიმდინარე ტენდენციები. განხილულია GP-ის ძირითად კონცეფციები, მისი ინტეგრაცია მოთხოვნის ოპტიმიზაციის ტრადიციულ მეთოდებთან და წარმოდგენილია აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული კვლევები, რომლებიც აჩვენებენ მის ეფექტურობას მოთხოვნის შესრულების გაუმჯობესებაში.

**საკვანძო სიტყვები:** მოთხოვნის ოპტიმიზაცია, გენეტიკური პროგრამირება (GP), ევოლუციური ალგორითმები.

მოთხოვნის დამუშავება მოიცავს საფეხურების სერიას მაღალი დონის მოთხოვნის ეფექტურად განხორციელების გეგმად გარდაქმნისთვის, რომელიც საჭირო მონაცემებს ამოიღებს მონაცემთა ბაზიდან. მოთხოვნის ოპტიმიზაციის ევრისტიკულ მეთოდში შევითხვის გეგმის არჩევის გადაწყვეტილება მიიღება წინასწარ შემოთავაზებული წესების საფუძველზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს წესები ეფუძნება ზოგად იდეებს და ყოველთვის არ იძლევა ეფექტურ შედეგებს. მაგრამ ეს მიდგომა საკმაოდ მარტივია რეალიზების თვალსაზრისით და ხშირად გამოიყენება წამყვან მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებშიც კი. თუმცა, ეს მეთოდები შეიძლება შეზღუდული იყოს რთული მოთხოვნების დამუშავებისა და მონაცემთა სტრუქტურების სირთულის შემთხვევებში. გენეტიკური პროგრამირება გვთავაზობს ახალ მიდგომას ბუნებრივი გადარჩევისა და ევოლუციის პრინციპების გამოყენებით ოპტიმიზებული გადაწყვეტილებების გენერირებისთვის [1][4].

გენეტიკური პროგრამირება, როგორც ევოლუციური გამოთვლების მეთოდი, რომელიც შთაგონებულია ბუნებრივი გადარჩევის თეორიით, მოიცავს გადაწყვეტილებებისთვის პოპულაციის წარმოქმნას, რასაც მოჰყვება შერჩევის განმეორებითი პროცესები, კროსოვერი, მუტაცია და ფიტნეს შეფასება. მოთხოვნის დამუშავების კონტექსტში, GP მიზნად ისახავს მოთხოვნის შესრულების გეგმების განვითარებას, რომლებიც ოპტიმიზებულია კონკრეტული მეტრიკებისთვის, როგორცაა შესრულების დრო, რესურსების გამოყენება ან მეხსიერების მოხმარება [1, 4].

კლასიკური გენეტიკური პროგრამირების (GP) ალგორითმი მსგავსია ბუნებრივი ევოლუციის პროცესის პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმიზაციისთვის. ის ავითარებს კომპიუტერული პროგრამების პოპულაციას ან ფუნქციებს გენეტიკური ოპერაციების მეშვეობით, როგორცაა შერჩევა, თანაკვეთა, მუტაცია. ქვემოთ მოცემულია გენეტიკური პროგრამირების ტიპური ალგორითმის აღწერა [4, 5]:

**ინიციალიზაცია**

პოპულაციის გენერაცია: იქმნება შემთხვევითი ხეების საწყისი პოპულაცია (ხეზე დაფუძნებული GP-ის კონტექსტში), რომელიც წარმოადგენს პრობლემის შესაძლო გადაწყვეტას.

### **შეფასება**

ფიტნეს შეფასება: პოპულაციის შეფასებისთვის გამოიყენება ფიტნეს ფუნქცია, რათა დადგინდეს მისი ხარისხი ან ვარგისიანობა საუკეთესო შედეგის მისაღებად. აღნიშნული ფუნქციის მეშვეობით შესაძლებელია ცალკეულ პოპულაციას ჰქონდეს შესაბამისი რეიტინგი.

### **შერჩევა**

მშობლის შერჩევა: შერჩევა ინდივიდები პოპულაციიდან, რომლებიც იქნებიან მშობლები მომავალი თაობისთვის. შესაძლებელია ზოგიერთი ინდივიდის პირდაპირი ასლის გადატანა მომავალ თაობაში მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად.

### **კროსოვერი (რეკომბინაცია)**

Crossover Operation: შემთხვევითი სახით დაწყვილებულ მშობლებში ხდება შეჯვარების ოპერაციის შესრულება, რაც წარმოქმნის ახალ შთამომავლებს. მსგავს რეკომბინაციას შემოაქვს მრავალფეროვნება და იძლევა ახალი გადაწყვეტილებების შესწავლის საშუალებას. ამავდროულად საჭიროა თანაკვეთის სიჩქარის კონტროლი, რათა შენარჩუნებულ იქნას ბალანსი მრავალფეროვნებასა და კონვერგენციას შორის.

### **მუტაცია**

მუტაციის ოპერაცია: შთამომავლებში შემთხვევითი ცვლილებების განხორციელება, დამატებითი ცვალებადობის დასაწერად. ეს შეიძლება მოიცავდეს კვანძების შეცვლას, კავშირების შეცვლას ან პროგრამის სეგმენტების შეცვლას. საჭიროა დარეგულირდეს მუტაციის სიხშირე, რათა თავიდან აცილებულ იქნას ნაადრევი კონვერგენცია და უზრუნველყოფილ იქნას საკმარისი მრავალფეროვნება.

### **ახალი პოპულაციის მიღება**

შთამომავლებისგან ახალი პოპულაცია ფორმირდება, რომლებიც წარმოიქმნება თანაკვეთისა და მუტაციის შედეგად, რითაც ახალი პოპულაცია ჩაანაცვლებს ძველს. აქაც საჭიროა პოპულაციის ზომის შენარჩუნება სტაბილური ევოლუციის უზრუნველსაყოფად.

### **შეწყვეტის კრიტერიუმი**

შეწყვეტის კრიტერიუმად ჩაითვლება მდგომარეობა, როდესაც ახალ პოპულაციაში ცვლილებები აღარ ხდება ანუ შედეგი გაჯერდება რაიმე ნიშნულზე. ალგორითმი იძლევა საუკეთესო შედეგს საბოლოო პოპულაციიდან [4][5].

როგორც ვხედავთ, კლასიკური გენეტიკური პროგრამირების ალგორითმში, პოპულაცია ვითარდება განმეორებითი პროცესის მეშვეობით, რომელიც მოიცავს შერჩევას, თანაკვეთას, მუტაციას და შეფასებას. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ შეწყვეტის პირობა არ დაკმაყოფილდება, რა დროსაც საუკეთესო გამოსავალი მიიღება საბოლოო პოპულაციისგან. თითოეული ნაბიჯი გადამწყვეტ როლს ასრულებს ალგორითმის ოპტიმალური ან დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტისკენ წარმართვაში. გენეტიკური პროგრამირების კლასიკური ალგორითმის ბლოკ-სქემა მოცემულია ნახ.1-ზე.

### **განვიხილოთ გენეტიკური პროგრამირების ძირითადი პროცესები მოთხოვნის დამუშავებაში**

#### **1. მოთხოვნის გეგმების კოდირება**

პირველი ნაბიჯი GP-ის გამოყენებისას მოთხოვნის დამუშავებაში არის მოთხოვნის შესრულების გეგმების კოდირება გენეტიკური ოპერაციებისთვის შესაფერ ფორმატში. ეს ხშირად გულისხმობს შესრულების გეგმების ხეების ან სხვა იერარქიული სტრუქტურების სახით წარმოდგენას, სადაც კვანძები წარმოადგენს მოთხოვნის ოპერაციებს (მაგ., შერთებას, ფილტრებს, პროგნოზებს) და წიბოები წარმოადგენს მონაცემთა ნაკადს [2][4].

#### **2. ფიტნეს ფუნქციის განსაზღვრა**

ფიტნეს ფუნქცია არის GP-ის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს თითოეული წევრის გადაწყვეტის ხარისხს. მოთხოვნის დამუშავებისას, ფიტნეს ფუნქციამ შეიძლება გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორცაა შესრულების დრო, მეხსიერების გამოყენება ან I/O ოპერაციები. ეფექტური ფიტნეს ფუნქცია წარმართავს ევოლუციურ პროცესს ოპტიმალური მოთხოვნის გეგმებისკენ [1][2][4].

#### **3. შერჩევა, კროსოვერი და მუტაცია**

შერჩევა გულისხმობს საუკეთესო შედეგის მქონე წევრების არჩევას ახალი თაობის შესაქმნელად. კროსოვერი და მუტაცია მრავალფეროვნებას ნერგავს პოპულაციაში, რაც შესაძლებელს ხდის სხვადასხვა შესრულების გეგმების შესწავლას. კროსოვერი აერთიანებს ორი მშობლის გადაწყვეტის ნაწილებს

შთამომავლობის შესაქმნელად, ხოლო მუტაცია იწვევს შემთხვევით ცვლილებებს ცალკეულ წევრებში [1][2][4].

#### 4. შეწყვეტის კრიტერიუმები

GP პროცესი გრძელდება მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება შეწყვეტის კრიტერიუმი, როგორცაა თაობების მაქსიმალური რაოდენობა ან შესრულების სამიზნე დონე. პროცესის დროს ნაპოვნი საუკეთესო გამოსავალი, როგორც წესი, შერჩეულია, როგორც მოთხოვნის შესრულების ოპტიმიზებული გეგმა [2][4].

#### გენეტიკური პროგრამირების უპირატესობები და გამოწვევები მოთხოვნის დამუშავებაში

მოქნილობა: GP-ს შეუძლია შეისწავლოს მოთხოვნის შესრულების გეგმების ფართო სპექტრი, მათ შორის არატრადიციული გადაწყვეტილებები.

ადაპტაცია: GP-ს შეუძლია მოერგოს მონაცემთა ბაზის გარემოს და მოთხოვნის შაბლონებს.

ოპტიმიზაციის პოტენციალი: GP-მ აჩვენა შესაძლებლობა, რომ ვიპოვოთ უფრო ოპტიმიზებული შესრულების გეგმები ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით [2][4][5].

სირთულე: GP-ის გამოთვლითი ზედნადები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, რაც მოითხოვს პარამეტრების ფრთხილად რეგულირებას და ეფექტურ განხორციელებას.

კონვერგენცია: გლობალურ ოპტიმალთან დაახლოების უზრუნველყოფა შეიძლება იყოს რთული, ლოკალური რისკებით.

ინტეგრაცია ტრადიციულ სისტემებთან: GP-ის ჩართვა მონაცემთა ბაზის მართვის არსებულ სისტემებში მოითხოვს თავსებადობას და მთლიანობას [2][5].

#### ჩატარებული კვლევები და შედეგები

რამდენიმე კვლევამ აჩვენა GP-ის გამოყენება მოთხოვნის დამუშავებაში, რაც ხაზს უსვამს GP-ის მრავალმხრივობას და მის პოტენციალს მოთხოვნის ოპტიმიზაციის გასაუმჯობესებლად [2][4][6].


#### შეერთების შეკვეთების ოპტიმიზაცია

ამ კვლევაში GP გამოიყენებოდა კომპლექსურ SQL მოთხოვნებში შეერთების შეკვეთების ოპტიმიზაციისთვის. შედეგებმა აჩვენა, რომ GP-ს შეეძლო უფრო ეფექტური შეერთების ბრძანებების პოვნა, რაც გამოიწვევს შესრულების დროის შემცირებას ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით [4][2].

#### ადაპტური მოთხოვნის ოპტიმიზაცია

ამ კვლევამ შეისწავლა GP-ის გამოყენება ადაპტური მოთხოვნის ოპტიმიზაციისთვის, სადაც სისტემა დინამიურად არეგულირებდა მოთხოვნის შესრულების გეგმებს მონაცემთა განაწილების შეცვლაზე დაყრდნობით. აღნიშნულმა მიდგომამ განაპირობა გაუმჯობესებული შესრულება დროთა განმავლობაში [2][4].

ამდენად, გენეტიკური პროგრამირების გამოყენება მოთხოვნის დამუშავებაში არის პერსპექტიული მიდგომა, რომელსაც აქვს განუსაზღვრელი კვლევის შესაძლებლობები. მომავალი სამუშაო ფოკუსირებული იქნება GP-ის ეფექტურობის გაუმჯობესებაზე, ფიტნესის ახალი ფუნქციების შესწავლაზე და GP-ის სხვა ოპტიმიზაციის მეთოდებთან ინტეგრირებაზე.



სურათი 1: გენეტიკური პროგრამირების კლასიკური ალგორითმის ბლოკ-სქემა



### ლიტერატურა

1. Goldberg, D. E. (1989). Genetic algorithms in search, optimization and machine learning.
2. Li, C., et al. (2019). Query Optimization Techniques in Big Data Analytics: A Survey.
3. Bellman, R. (1957). Dynamic programming.
4. Koza, J. R. (1992). Genetic Programming: On the Programming of Computers by Means of Natural Selection.
5. Beyer, H.-G., & Schwefel, H.-P. (2002). Evolution Strategies.
6. Fogel, L. J., et al. (1966). Evolutionary Programming.
7. Rumelhart, D. E., et al. (1986). Learning Representations by Back-Propagating Errors.

### Request Processing By Genetic Programming Method

Badri Meparishvili, Giorgi Muradovi

#### Abstract

Query processing in database management systems is a critical area of research and development, focusing on optimizing query performance with scalability and accuracy in mind. Genetic programming (GP) is a promising approach for solving complex optimization problems, including query processing. This article discusses the possibilities of using genetic programming in query processing. It presents the potential benefits, challenges, and current research trends of this approach. The main concepts of GP, its integration with traditional methods of query optimization, and studies demonstrating its effectiveness in improving query performance are discussed.

**Keywords:** query optimization, genetic programming (GP), evolutionary algorithms.

**0619 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები  
INFORMATION AND COMMUNICATION TECHNOLOGIES (ICTS)**

**Apache Spark MLlib პლატფორმა მონაცემთა ტბებში მოთხოვნების  
დამუშავებისთვის**

**გიორგი მურადოვი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

**E-mail:** muradovi.georgi22@gtu.ge

**რეზიუმე**

დიდი მონაცემების ეპოქაში, მონაცემთა ტბები შეუცვლელი გახდა სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ტიპის დიდი მასშტაბის მონაცემების შესანახად. ტრადიციული მონაცემთა ბაზებისგან განსხვავებით, მონაცემთა ტბები ინახავს ნედლ მონაცემებს საკუთარ ფორმატში, რაც უზრუნველყოფს მოქნილობას მომავალი ანალიზისთვის. თუმცა, მონაცემთა მოცულობა და მრავალფეროვნება მონაცემთა ტბებში წარმოადგენს გამოწვევებს მოთხოვნის ეფექტური დამუშავებისთვის. ნაშრომში წარმოდგენილია მონაცემთა ტბების, როგორც ცენტრალიზებული საცავის როლი და მნიშვნელობა მასშტაბური მონაცემების შენახვისა და ანალიზისთვის. ასევე მოცემულია მონაცემთა ტბების სირთულეები დამუშავების თვალსაზრისით. აღნიშნულ პრობლემასთან გამკლავების მიზნით წარმოდგენილია Apache Spark ინსტრუმენტის როლი, როგორც მოქნილი ანალიტიკური მექანიზმი მონაცემთა ფართომასშტაბიანი დამუშავებისთვის. აღწერილია Apache Spark MLlib უპირატესობები მონაცემთა ტბებში მოთხოვნების დამუშავების პრობლემების გადასაღწევად. წარმოდგენილია პლატფორმები და სერვისები, რომლებიც იყენებენ Apache Spark MLlib-ს ინდუსტრიის აპლიკაციებს. ასევე განხილულია რეალური თანამედროვე აპლიკაციები და კვლევის მომავალი ტენდენციები და მიმართულებები.

**საკვანძო სიტყვები:** მოთხოვნის დამუშავება, მონაცემთა ტბები, Apache Spark, MLlib, Big Data Analytics, Machine Learning.

**მონაცემთა ტბების სტრუქტურა და უპირატესობები**

მონაცემთა ტბები ცენტრალიზებული საცავია, რომელიც ინახავს სტრუქტურირებულ, ნახევრად სტრუქტურირებულ და არასტრუქტურირებულ მონაცემებს ნედლ ფორმატში, სანამ ის საჭირო იქნება ანალიზისთვის ან სხვა ტიპის დამუშავებისთვის. ტრადიციული მონაცემთა ბაზებისგან განსხვავებით, რომლებსაც აქვთ მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა, მონაცემთა ტბები საშუალებას იძლევა მონაცემთა შენახვა მოხდეს თავდაპირველ ფორმატში, რაც გაცილებით მეტ მოქნილობას სთავაზობს მომხმარებელს და შეიცავს მონაცემთა ტიპებისა და წყაროების მრავალფეროვნებას.

აღსანიშნავია მონაცემთა ტბების ძირითადი უპირატესობები [1]:

მასშტაბურობა: მონაცემთა ტბებს შეუძლიათ ჰორიზონტალურად მასშტაბირება, რათა უზრუნველყონ მზარდი მონაცემების მოცულობა.

მოქნილობა: ისინი მხარს უჭერენ მონაცემთა სხვადასხვა ფორმატსა და ტიპს, რაც საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს მიიღონ და შეინახონ მონაცემები წინასწარი სქემის განსაზღვრის გარეშე.

ხარჯების ეფექტურობა: ღრუბელზე დაფუძნებული შენახვის გადაწყვეტილებების და ღია წყაროს ტექნოლოგიების გამოყენება, როგორცაა Apache Hadoop და Apache Spark, ამცირებს ინფრასტრუქტურის ხარჯებს მონაცემთა შენახვის ტრადიციულ მიდგომებთან შედარებით. მიუხედავად მათი სარგებლისა, მონაცემთა ტბები ხასიათდება გარკვეული სირთულეებით, მათ შორის აღსანიშნავია:

მონაცემთა მენეჯმენტი: მეტამონაცემების მართვა და მონაცემთა ხარისხისა და მართვის უზრუნველყოფა კრიტიკულია.

მოთხოვნის დამუშავება: ჰეტეროგენული მონაცემების დიდი მოცულობის ეფექტურად მოძიება მოითხოვს დამუშავების მყარ ჩარჩოებს და ოპტიმიზებულ ტექნიკას.

სირთულე: მონაცემთა მრავალფეროვანი ფორმატის მართვა, სქემის ევოლუცია და მონაცემთა რეალურ დროში დამუშავება მოითხოვს დახვეწილ გადაწყვეტილებებს.

**Apache Spark MLlib, როგორც მძლავრი ინსტრუმენტი მონაცემთა დამუშავებისთვის**

